




1950年10月



20



ქართული
ზოგადიერება

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS



ს. ლაშვილი, 1937

ქართული
გერმონტი

ეკლესია ლანსტრე, 1937 წ.

ფიტარეთი



განმარტვის საჭიროებების სარეზიუმეო

საკრედიტო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, შალვა ამიკანაშვილი, ანდრია
აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე, ლევან გომთა, ლადო
გუდიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, თეიმურაზ
კანდელაკი, ირაკლი ზაქარიაშვილი, ნიკო კაცო-
შვილი, ლევან მატარაძე, ოთარ სანდუკიძე, ზაირა
სტურუა (პ/პ. მდიანი), გიორგი ჩიტაია, გიორგი
ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე, ლევან ხიშშია-
შვილი.



საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების IV ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მეოთხე რესპუბლიკური ყრილობის დელეგატებს და მათი სახით — საზოგადოების ყველა წევრს.

კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დროს, როცა საბჭოთა ხალხი ემზადება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად და წარმატებით იბრძვის კომუნისტების მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გვასწავლის, თუ რა სათუთად უნდა ვეკიდებოდეთ წარსულის კულტურას, მიგვითითებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ზედმიწევნით აუთვისებლად შეუძლებელია ვითარდებოდეს საბჭოთა ხალხის მრავალეროვანი სოციალისტური კულტურა.

ჩვენს სამშობლოში კულტურული მემკვიდრეობა საყოველთაო ზრუნვით არის ვარემოსილი. იგი ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შრომისა და შემოქმედების ნაყოფია, მთელი მისი კულტურული ცხოვრების ანარეკლია. ამ მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისება კიდევ უფრო ამდიდრებს საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროს. კულტურის ძეგლების დაცვა მშრომელთა ღვიძლი საქმეა. ამ საქმეში დიდ და კეთილშობილურ როლს ასრულებს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომელმაც თავისი არსებობის 10 წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობა გასწია.

საზოგადოების ამოცანაა მომავალში კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს თავის მოღვაწეობა, სანიმუშოდ მოაწესრიგოს წარსულის ძეგლთა შესწავლის, აღრიცხვის, დაცვისა და პოპულარიზაციის საქმე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ნაყოფიერ მუშაობას უსურვებენ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მეოთხე ყრილობას და გამოთქვამენ რწმენას, რომ საზოგადოების წევრთა მრავალათასიანი კოლექტივი ძალასა და ენერჯიას არ დაიშურებს იმ დიდი ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც მის წინაშეა დასმული.

საქართველოს
კომუნისტური
პარტიის
ცენტრალური
კომიტეტი

საქართველოს
სსრ უმაღლესი
საბჭოს
პრეზიდიუმი

საქართველოს
სსრ მინისტრთა
საბჭო




ვახტანგ დოლიძე

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

ქაზრეთის ხეობის ორი ხუროთმოძღვრული ძეგლი

ქვემო ქართლის ერთი უმთავრეს ნაწილთაგანი — დღევანდელი ბოლნისის რაიონი მდიდარია ქართული ხუროთმოძღვრების ნაირსახეობის ნაგებობებით. თვალსაჩინო ძეგლებითაა ცნობილი ეს რაიონი სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ ბოლო წლებში საკვლევე მუშაობა ჩატარდა ქაზრეთის ხეობაშიც, რომელიც მდინარე მაშაურის შუა წელშია, მის მარჯვენა ნაპირზე. არქეოლოგებმა ქაზრეთის



სურათი 1 1 1 1 1 1 1


სურათი. ეკლესიის გეგმა

ველ-მინდვრებზე ძველი სამთო საქმისა და რკინის მეტალურგიის ნაშთები გამოავლინეს. გაითხარა რკინის მეტალურგიული ქურა-სახელოსნოს ნაშთები, რომელსაც განვითარებულ შუასაუკუნეებს — XI—XIV სს მიაკუთვნებენ (ექსპედიციების ხელმძღვანელი ი. გრძელიშვილი). მრეწველობის ოდესღაც მდიდარმა მხარემ უკანასკნელ წლებში ახალი ცხოვრება დაიწყო. აქ შენდება საქართველოს სამთამადნო მრეწველობის საწარმოთა კომპლექსი და ფერადი მეტალურგიის ქალაქი — მადნეული. გასულ, 1968 წ. გაიხსნა თბილის-მარნეულ-ქაზრეთის მარშრუტით ელექტრომატარებლების რეგულარული მოძრაობა. მადნე-





ქართული
ენობის
სამეცნიერო
ცენტრი



სახელოსანი




ულში დიდი სამუშაოები წარმოებს ბუნების სიმდიდრეთა კარიერების მზადებასა და დამუშავებას. სამთო-გადამამუშავებელი კომბინატის აშენებისთანავე, მზად იქნება კარიერებიც და წიაღისეულ სიმდიდრეთა გადამამუშავებასაც შეუდგებიან. ამ მნიშვნელოვანი ობიექტის პირველი რიგის ამუშავება გათვალისწინებულია 1970 წლის მეოთხე კვარტალში.


კაზრეთის ხეობაში მრავალადა შემორჩენილი ძველი ნასოფლარები და ეკლესიის ნანგრევები, რაც მოწმობს, რომ თავის დროზე ეს კუთხე მჭიდროდ იყო დასახლებული. ნაგებობებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების სხვადასხვა ეტაპის ორი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ამ ხეობაში — სათხისა და კაზრეთის ეკლესიები. ორივე ობიექტი თლილი ქვით ნაგები, დიდი ზომის დარბაზული ეკლესიებია მინაშენებით. სათხის ეკლესია მრავალმხრივ საინტერესოა. იგი რამდენიმე ეპოქის სამშენებლო ფენას შეიცავს. მდიდარია მორთულობითა და წარწერებით, შემორჩენილი აქვს კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. თავის დროზე ინტერიერს შესანიშნავი კანკელიც ამკობდა, რომელიც ახლა საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული, და ბოლოს, ეკლესია ერთი იმ იშვიათი ძეგლთაგანია, რომლის ლაპიდარულ წარწერებში ნაგებობის „გალატოზის“ (ხუროთმოძღვრის) სახელიც მოიხსენიება. პირველი ცნობა სათხის ეკლესიის შესახებ მოცემულია ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანის ჩანაწერებში (1846 წ.), რომლებიც ექვთიმე თაყაიშვილმა გამოსცა 1951 წ. ეკლესია და მისი წარწერები მოხსენიებული აქვს აგრეთვე ცნობილ ნუმისმატს მ. ბართლომეის ქართულ სიძველეებისადმი მიძღვნილ მ. ბროსეს გამოცემაში (1854 წ.). უფრო მნიშვნელოვანია ექვთიმე თაყაიშვილის ცნობები სათხის ეკლესიის შესახებ (სომხით-საორბელის ძეგლების წარწერები, თბ., 1951 წ.); ავტორი სათხეში 1896 წელს ყოფილა. მაშინ შეუმოწმებია და გადმოიღვია წარწერები. მანვე 1900 წ. გადმოიტანა თბილისში სათხის კანკელის ნანგრევები. როგორც ავტორი შენიშნავს, ეს პირველი შემთხვევა იყო ამგვარი ძეგლის მუზეუმში ჩამოტანისა. თვით ეკლესიის აღწერილობაში განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის ზოგიერთი შენიშვნა იმ ნაწილებზე, რომელნიც ახლა დაღუპულია. ავტორი ეკლესიის სახელწოდებითაც დაინტერესებულა. გადმოცემით, ამ ადგილებში ხშირად ჩამოდიოდნენ და თავს იფარავდნენ გარეული თხებით. როგორც ჩანს, „სათხის“ სახელწოდება იმ ქართულ ტოპონიმთა ჯგუფში უნდა შედიოდეს, რომელიც გავრცელებულია ქვემო ქართლში — სამტრედო, კატავეთი, სახუნდარი (ნადირთ მოსავალი ადგილი — საბა) და სხვ.

სათხის ეკლესია განმარტოებულ ნასოფლარის შემადგენელ ადგილზეა დამალული მჭიდროდ გარსშემოხვეულ მაღალ ხეებს შორის. ძეგლი პირველად მხოლოდ ახლოს მისვლისას წარმოდგება მნახველს ჩრდილო-დასავლეთიდან, საიდანაც ერთადერთი მისადგომი აყვება მცირედ დაქანებულ ფერდობს. სამხრეთით და აღმოსავლეთით რელიეფი მკვეთრად დაფერდებულია და ტერასებად ეშვება ხრამისაკენ. ზემოთა ტერასაზე, ეკლესიის ირგვლივ და უფრო მეტად დასავლეთით, განაშენიანების კვალი ჩანს. გასუფთავების გარეშე შეუძლებელია განაშენიანების მეტნაკლებად სწორი წარმოდგენა, რადგან ნანგრევების ქაოსური არეულობა ხშირ მცენარეულობაში.

ეკლესიის მცირე სიფართოვის ეზო-შემოსავლელს გალავანი ფარგლავდა,




სათხე. შთავარი კორპუსის სამხრეთ ფასადი სტოას მიწენებამდე



სათხე. ეკლესიის სამხრეთ ფასადი სტოას მიწენების შემდეგ (რეკონსტრუქცია)



რომლის მონაკვეთი შედარებით კარგად ჩანს ჩრდილო-დასავლეთის გაყოფებით. იგი მშრალადაა ნაწყობი მოზრდილი, ტლანქად დამუშავებული, ურთიერთ კარგად შერჩეული ქვებისაგან და გარკვეულად სიძველის შთაბეჭდილებას სტოვებს. გალაგნის შესასვლელი ახლა არ ჩანს. ეკლესიისათვის შერჩეული ადგილის რელიეფისა და მისადგომი გზის ნაკვალების მიხედვით, სავარაუდებელია, რომ გალაგანში შესასვლელი დასავლეთის მხრიდან იყო გაკეთებული.




სათხ. საკურთხეველის საკმედი.

თვით ეკლესია წარმოადგენს დიდი ზომის (15 X 6. 7 მ) ერთნავიან შენობას, რომელსაც გარს ეკვრის დამატებითი სადგომები, სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. ყველა ერთად გართულებული მოხაზულობის გეგმას იძლევა: მთავარი, შუა კორპუსის სწორკუთხედის აღმოსავლეთი ნაწილი გამოწეულია გვერდითი სადგომების მიმართ, დასავლეთით კი მათი კედლები ერთ ხაზზეა. დასავლეთ სადგომი, რომლისგანაც ჩვენამდე ნაწილია შემორჩენილი, გადაბმული წყობით ერთვის სამხრეთის მიწაშენს (სტოას).



ნაგებობის გარეგანი, ზოგადად დამახასიათებელი ასახულება სამხრეთ-დასავლეთიდან წარმოგვიდგება: ესაა უგუმბათო ნაგებობა, რომლის მთავარი წაგრძელებული კორპუსის მოცულობას სამხრეთით საფეხურად ეკვრის სტოა, შუაში გამოყოფილი შემადლებული კარიბჭით, ხოლო დასავლეთით — სტოასთან კუთხით ორგანულად დაკავშირებული ფრონტონიანი სადგომი. ყველა სადგომს კამარა ჩაქცეული აქვს. სიძველისაგან ჟანგმოკიდებული კედლებიც არაა სრულად მოღწეული ჩვენამდე, მაგრამ არც შეკეთება-გადაკეთების კვალია საღმრეთო (გამონაკლისს ჩრდილო ეკვდერი წარმოადგენს).



ქაჯრეთის ეკლესიის გეგმა

ნაირსახეობის მოცულობათაგან შემდგარი ნაგებობის კომპოზიცია, მასათა კონსტრუქციული ორგანიზაცია, ინტერიერისა და ფასადების გადაწყვეტაში სადგომების მკვეთრი განსხვავება ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს რთულ ნაგებობასთან, რომელიც ერთდროულად არ ყოფილა ჩამოყალიბებული. სადგომთა შორის უძველეს ნაშთებს (და გვიანდელ გადაკეთებათა ნაკვალევსაც) ჩრდილოეთის ეკვდერი შეიცავს. შემდეგაა აშენებული მთავარი კორპუსი, რომელსაც ჩრდილო კედლის შემადგენელ ნაწილად ჩაურთეს ადრინდელი მცირე ზომის ეკლესიის სამხრეთი კედელი. შემდეგ მთავარ კორპუსს ერთდროულად მიაშენეს სტოა სამხრეთით და დამატებითი სადგომი დასავლეთით. უფრო გვიან კი ჩრდილო




დასავლეთის კუთხის მინაშენია აგებული. ამრიგად, სათხის ბირთვს დარბაზული ეკლესიის გეგმა წარმოადგენს, ე. ი. ცალნავიანი სადგომი, რომელიც გადახურული იყო ცილინდრული კამარითა და მასზე დაგებული ორფერდა სახურავით. საქართველოს მრავალრიცხოვან დარბაზულ ეკლესიებთან შედარებით სათხეში სპეციფიურია საკურთხეველის კომპოზიციური გადაწყვეტა — გვერდითი სადგომები აბსიდის ორსავე მხარეს კედლის სისქეში (სამკვეთლო და საღიაკენე). მსგავსი მაგალითები X—XI სს ძეგლთა ერთ ჯგუფშია დამოწმებული. მათ შორისაა სათხეც. ამასთანავე, მისი გეგმა, როგორც ზოგადი პროპორციებით, ასევე ნავის დანაწევრების რიტმის მიხედვით ყველაზე ახლოს ზემო ყარაბულახის (X ს. მეორე ნახ.) ეკლესიის გეგმასთანაა. ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს ინტერიერის არქიტექტურული გაფორმებაც. შინაგანი სივრცე მშვიდი და გაწონასწორებულია. ნავის სივრცის შეფარდება სიმაღლესთან ახლოს დგას IX და X საუკუნის ძეგლების ინტერიერის პროპორციულ გადაწყვეტასთან.

სათხის ეკლესიის ინტერიერის უდიდესი ნაწილი ორგანულად მთლიანის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ მის შემადგენელ ნაწილს, როგორც გეგმის გარჩევაში აღინიშნა, სხვა (უფრო ადრინდელი) შენობის ჩართული კედელიც წარმოადგენს ჩრდილოეთის მხარეს. პირაპირ მიშენების ხაზები სავსებით გარკვევით გამოყოფს ნავის კედელზე ადრე არსებული ნაგებობის საფასადო სიბრტყის წყობას შესასვლელით. კედლებზე შელესილობის მცირე ნარჩენები ჩანს ბევრგან, მაგრამ მოხატულობის ფრაგმენტები მხოლოდ აბსიდის სამხრეთ ნაწილშია შემორჩენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ქვის დამუშავებისა და მოპირკეთების უნაკლო ტექნიკა, არქიტექტურული ელემენტების მოხატულობის სიმკვეთრე, ფარგლისებური სიზუსტით შემოხატული თალები, აბსიდის კონქის მშვენიერი წყობა, კამარის შემორჩენილ ნაწილთა სუფთად გათლილი კვადრები და ბოლოს მოორნამენტებული იმპოსტები, გარკვევით წყვეტს ფრესკისა და ნაგებობის არათანადროულობის საკითხს. ცხადია, მშენებელი არ ითვალისწინებდა კედლების მოხატვას. იგი გაფორმების სხვა საშუალებას მიმართავდა. ეპოქის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს შენობის შიგნით ქვაზე გამოკვეთილი შემკულობის ხმარება. იგი ადრინდელი პერიოდის ხუროთმოძღვრებიდან მომდინარეობს და IX—X საუკუნეებში ფართოდ გავრცელებულია. მაგრამ X ს. მეორე ნახევრიდან სხვაგვარი მხატვრული ამოცანის შესაბამისად ქართველი ხუროთმოძღვარი მხედველობაში ღებულობს (გამონაკლისის გარდა) ეკლესიაში კედლების მთლიანად შელესვას და ფრესკული მხატვრობით დაფარვას. ამიტომ, XI საუკუნეში ინტერიერის მორთვა ქვაზე გამოკვეთილი ორნამენტაციით მივიწყებულია. სათხის ინტერიერში იმპოსტების შემკულობას ჩამწკრივებული მედალიონები, ფესტონები და სამკუთხედები შეადგენს. მათ შორის განსაკუთრებით დამახასიათებელია სამკუთხედებად დაკბილული მოტივი. როგორც მოტივის, ასევე შესრულების მანერის მიხედვით (ქვის ზედაპირზე სიბრტყობრივი ფიგურ-



რების დალაგება) სათხის იმპოსტების შემკულობა ანალოგიებს X ს. შემორჩენილი ხევრის ძეგლთა წრეში პოულობს.

გარედან მთავარი კორპუსი ტუფბრექჩიისა და ტუფქვიშაქვის სუფთად გათლილი, მოყავისფრო კვადრებითაა მოპირკეთებული. იგი განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი კედლების მშვენიერი წყობითა და, საერთოდ, შესრულების ხარისხით, რომელიც მის ყოველ ნაწილში ჩანს. მთავარი კორპუსის ფასადებზე ეკლესიის აშენების თანამედროვე ასომთავრული წარწერებია შემონახული.



კახეთის ეკლესიის დასავლეთ ფასადი

ყველა წარწერა თითქმის დაუზიანებლადაა ჩვენამდე მოღწეული. წარწერებში არაა აღნიშნული არც ერთი ისტორიულად ცნობილი პირი. მ. ბროსე და ე. თაყაიშვილი მართებულად შენიშნავენ, რომ „წარწერები იხსენიებს მუშებს, რომელთაც უშენებიათ ეკლესია“. მშენებლობას უთუოდ ხელმძღვანელობდა ხუროთმოძღვარი (გალატოზი), რომელიც სამხრეთ ფასადის აღმოსავლეთ კუთხის ქვაზეა მოხსენებული: „ქრისტე შეიწყალე კვირიკე გალატოზი, ამინ.“

საინტერესოა წარწერების პალეოგრაფიული მხარე. ასოთა მოხაზულობაში შეინიშნება „კიდურტყუმწვეტოვანი“ დაწერილობა, რომელიც ფართოდ გავრ-



ცელდა X ს. დამლევსა და XI ს. ნახევრის პერიოდში. მაგრამ სათხის წარწერების ეპიგრაფიკის ანალიზი X—XI სს. მიჯნაზე მიგვანიშნებს.

ფასადებიდან ტრადიციულად შეუმკობლად ჩრდილოეთისაა დატოვებული. დანარჩენი ფასადების გაფორმებაში სრული მხატვრული მთლიანობაა არა მარტო ზოგადი მიდგომის მხრივ, არამედ მორთულობის სქემისა და ორნამენტული რეპერტუარის შერჩევის მხრივაც. ფასადის გაფორმების სისტემა თვალსაჩინოდ გამოყოფს თვით კედლის სიბრტყეს, მორთულობა კი ხაზს უსვამს ცალკეულ არქიტექტურულ ელემენტებს (კარნიზი, სარკმლები). სათხე ამ შემთხვევაში




გორის-ეკლესია-ჩრდილო-დასავლეთიდან

გამონაკლისს არ წარმოადგენს: ესაა ეპოქის ნიშანი. ძველი კანონზომიერად ჯერ არ შეიცავს შენობის მთელი ტანის მომცველ დეკორატიულ ბადეს, რომელსაც X და XI საუკუნეების ძეგლებზე ვხედავთ. სათხე ფასადების გადაწყვეტით ისევე, როგორც მრავალი ძეგლი (ერედვი 906 წ., კუმურდო 964 წ. შებაკი, დარკვეთი, ზემო-კრიზი, ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესია და სხვ.), X ს. ხუროთმოძღვრების ზოგადი მხატვრულ-სტილისტიკური თვისების მატარებელია. ამასვე შეესაბამება სათხის სარკმლების გაფორმებაც. იგი X საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლთა ნიშანდობლივი სახითაა წარმოდგენილი: სათაური და საპირე თანაბარი ყურადღებითაა დამუშავებული, ამასთანავე სარკმლის თაღოვანი ნაწილის მიმართ კონცენტრულად შემოხაზული სათაურის რკალი საკმაო მანძილთ გამოჩნულია საპირისაგან. XI საუკუნის დასაწყისიდან ამ კომპოზიციაში ცვლილება შემოდის: ან ირღვევა მკაცრი კონცენტრული შემო-



ყოლება სათაურისა სარკმლის თაღოვანი ნაწილის მიმართ. (ხცისე, ჭავჭავაძის ტაძარი), ან სათაური მკიდროდ აზის საპირეს (იშხანის მცირე ეკლესია, ჩხოველი ტაძარი, ნიკორწმინდა და სხვ.). ამრიგად, სათხის სარკმლს მორთულობის კომპოზიციური გადაწყვეტა ქრონოლოგიურად სთიშავს ძველს XI საუკუნის დასაწყისიდან და მას აყენებს X საუკუნის ისეთ ძეგლთა წრეში, როგორცაა — კუმურდო, ოშკი, მუშევანი (ბოლნისის რ-ნი) და სხვ. თვით ორნამენტაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც სიბრტყობრივ-გრაფიკული. იგი არაა გათვალისწინებული შუქჩრდილით შესაქმნელ ცხოველხატულ ეფექტებისათვის.



ჯაზრეთის ეკლესია, საკურთხეველის სარკმელი

ცალკეულ ორნამენტულ მოტივთაგან განსაკუთრებით საგულისხმოა სათხის მთავარი კორპუსის ყველა სარკმლის საპირეში გამოყენებული ერთადერთი მოტივი — XI საუკუნის ქართულ ორნამენტაციაში გავრცელებული ეგრეთწოდებული S-ებრი ორნამენტის წინამორბედი ფორმა (კონცენტრულად დაღარული რგოლი ოთხი მუხლის ჩანასახით). ძეგლებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სათხის სარკმელთა საპირის ორნამენტი არ არის ჯერ იმ საფეხურზე, რომელზედაც XI ს. დასაწყისის ძეგლების ორნამენტი, არც ნახატისა და არც პლასტიკის განვითარების თვალსაზრისით, რის გამოც სათხის ორნამენტის ქრონოლოგიური



ადგილი ბუნებრივად X საუკუნის მიწურულია, ხოლო მისი უახლოესი მარჯვენა
 ლეღებია ზემო ყარაბულახისა და მუშევანის სარკმლების ორნამენტაციის სა-
 ხის მხატვრულად დასრულებულ სარკმელთა კომპოზიციებისა და მოჩუ-
 ქურთმებული კარნიზის საწინააღმდეგოდ გლუვი, მძლავრი არქიტრაჟით გადა-
 ხურული, მოურთველი შესასვლელები გარდამავალი პერიოდის გადმონაშთია,
 რომლის გავრცელება X საუკუნეს არ სცილდება. XI ს. პირველწლებიდანვე
 შესასვლელის დეკორატიული გაფორმება ისევე აუცილებელი ჩანს, როგორც
 სარკმლისა. ეს გარემოებაც განამტკიცებს სათხის მთავარი კორპუსის აგების
 თარიღის განსაზღვრას X ს. მიწურულით.

ოსტატურად ნაგებსა და თავისი დროის მხატვრული ღირსებების შემ-
 ცველ კვირიკე გალატოზის ხუროთმოძღვრულ ნაგებობას უეჭველად თვალსაჩინო
 ადგილი მიეკუთვნება ქვემო ქართლის დარბაზულ ძეგლთა შორის. როგორც სა-
 თხის ძეგლის ანალიზი გვიჩვენებს, იგი ორგანულად დაკავშირებულია X ს. მე-
 ორე ნახევრის ქართულ ხუროთმოძღვრებასთან, მკაფიოდ ასახავს სტილის ევო-
 ლუციის გარკვეულ საფეხურს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ხუროთმოძღ-
 ვრების ბრწყინვალე აყვავებას XI საუკუნეში.

ს ა მ ხ რ ე თ - და ს ა ვ ლ ე თ ი ს მ ი ნ ა შ ე ნ ი. სათხის მშენებლობის შემ-
 დგომ ეტაპს ეკლესიის სამხრეთით მიშენებული სტოა და მისგან განივი კედ-
 ლით გამოიჯნული დასავლეთის სადგომი (ეკვდერი) მიეკუთვნება. სადგომის სრუ-
 ლი მოხაზულობისა და ეკლესიასთან მისი დამოკიდებულების დასადგენად გა-
 თხრა-გასუფთავების ჩატარებაა საჭირო, რომელიც ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხ-
 და. რაც შეეხება სტოას, ისიც მნიშვნელოვნად დანგრეულია, მაგრამ შენარჩუნე-
 ბული აქვს ყველა არქიტექტურული ელემენტის ფრაგმენტები, რომელნიც მი-
 ნაშენის სრული გრაფიკული აღდგენის საფუძველს ვაძლევს. იგი მომწიფებულ
 შუასაუკუნეებში გავრცელებული სტოის ტიპისაა, მხოლოდ იმ ინდივიდუალ გან-
 ხვავებით, რომ სტოის გარდა აქ დამატებითი სადგომიც ვვაქვს დასავლე-
 თის ეკვდრის სახით, რომელიც გარედან (სამხრეთის მხრიდან) სტოასთან ერთი-
 ან მთელს ჰქმნის: საერთოა ცოკოლი და საფასადო სიბრტყე. კედლის წყობისა
 და სარკმელთა გაფორმების სისტემა, საერთოა კარნიზიც; და მხოლოდ საკუთა-
 რი ორფერდა სახურავი მინაშენის დასავლეთ ნაწილში ამქდავებს ეკვდერს.
 სტოის მშენებელი საკმაოდ დახელოვნებული უნდა ყოფილიყო — მან თავისი
 წინამორბედის კვირიკე გალატოზის ნაწარმოებს ღირსეულად დაგვემარბული
 და გაფორმებული მინაშენი დაუმატა. მთლიანად სტოის დეკორატიული გაფორ-
 მება დაპირისპირებასა და კონტრასტებზეა აგებული: კარიბჭის სამსაფეხურიანი
 მოჩარჩოვებით ხაზგასმული და დამატებითი ლილვით შემოფარგლული ფართო,
 შეისრულთაღიანი შესასვლელი ერთადერთი დიდი ღიობია მთელ ფასადზე.
 შეწყვილებული ლილვებით შემოფარგლული, მოჩუქურთმებული სარკმლები და
 ღრმა წრეთარჯიანი კარნიზი ფასადის გლუვ სიბრტყეს უპირისპირდება; ასევე
 დიდი მოჩუქურთმებული, სარკმლიანი ჯვარი ცხოველხატულ ლაქადაა დასმუ-
 ლი კარიბჭის ფრონტონზე. მთელი ორნამენტაციაც, როგორც მოტივებით, ასევე
 შესრულების სტილითაც მკვეთრად განსხვავდება საკუთრივ ეკლესიის მორთუ-
 ლობისაგან. თუ X საუკუნის მთავარი კორპუსის მორთულობაში მხოლოდ გეომე-
 ტრიული სახის ორნამენტი იყო გამოყენებული, აქ — მინაშენზე თითქმის თა-
 ნაბრადაა წარმოდგენილი, როგორც წმინდა ლენტოვანი წნული, ასევე შერე-

ული ორნამენტიც, სადაც მცენარეული მოტივი და ლენტოვანი წნულია შერწყმული. ამასთანავე თვით შესრულების ტექნიკაც კარდინალურად შეცვლილია სიბრტყობრივ გრაფიკულობის ნაცვლად იგი პლასტიკური ფორმის გადახედვას ითვალისწინებს. მსგავსი საფასადო გაფორმება და ორნამენტაციის ხასიათი ზოგადად მეორდება XI—XIII საუკუნეთა ბევრ ძეგლში, მაგრამ სათხის სტოის (სამხრეთის მინაშენის) ყველა მონაცემის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ მინაშენს ქრონოლოგიურად შუალედი ადგილი უკავია მაღალანთ ეკლესიის სტოასა (XII—XIII ს. მიჯნა) და რკონის მცირე ეკლესიას (XIII ს. შესამე მეოთხედი) შორის. ამასთანავე, მაღალანთ ეკლესიასთან სიახლოვე (გეგმა, კარნოზი, კარიბჭის ცილინდრული კამარით გადახურვა და სხვ.) შესაძლებლობას იძლევა სათხის მინაშენის აგების დრო XIII ს. პირველი მეოთხედით შემოიფარგლოს.

რაც შეეხება ჩრდილო-დასავლეთის სადგომს, უნდა აღინიშნოს, რომ აქ კედლის წყობის მხოლოდ ქვემოთა რამდენიმე რიგია შემორჩენილი. ქვების დამუშავებითა და წყობის ხასიათით სადგომი სტოას ემსგავსება, მაგრამ შესასვლელის შიგნითკენ დაცურებული საპირის მშრალი, გეომეტრიული ორნამენტის მიხედვით მისი აგება სტოას მიწებების შემდეგაა სავარაუდებელი. ნანგრევებს არ გააჩნია საკმაო მონაცემები უფრო ზუსტი დათარიღებისათვის.

ძეგლის უძველეს ფენას ჩრდილო-აღმოსავლეთის აფსიდისანი ეკვდერი წარმოადგენს. მისი სამხრეთის კედელი, როგორც დასაწყისში აღინიშნა, ეკლესიის ჩრდილო კედელშია ჩართული. ამ სადგომს არსებითი და თანაც არაერთგზის გადაკეთება განუცდია, რის გამოც მისი თავდაპირველი სახისაგან ცოტა რამ არის ჩვენამდე მოღწეული.

კედლების წყობის ქვემოთა ორ-სამ რიგში ქვები თავისი სიდიდითა და ფერით გამოირჩევა. უფრო ზემოთ წყობა არეულია: მცირე ზომის, შემთხვევითი ფორმის ქვებს შორის ზოგჯერ წესიერად გათლილი სწორკუთხა ქვაც ურევია. ინტერიერსაც დაკარგული აქვს ორგანული მთლიანობა. აფსიდის მხრები ჩვეულებრივი წყობის ნაცვლად მთლიანი სტელებითაა გამოყვანილი. გარკვეულ სიმაღლეზე, ოსტატურად შესრულებული ბოლნური ჯვრებია გამოსახული. ანალოგიური მორთულობის მქონე სტელები ჩართულია გარედან სამხრეთის კედელში და აღმოსავლეთ სარკმლის ქვემოთ: სტელის ფრაგმენტები თავისი გამოსახულებებითა და შესრულების მიდგომით არსებითად განსხვავდებიან სათხის ყველა სადგომთა მხატვრულ-სტილისტიკური ნიშნებისაგან და დიდ მსგავსებას იჩენენ ადრეფეოდალური პერიოდის სტელებთან.


ეკვდერის აღმოსავლეთ ფასადზე წარწერიანი ქვაა შემორჩენილი. წარწერა შესრულებულია მდარე ხელით, მხედრული დამწერლობით, მეტად დაუდევრად. იგი წარმოადგენს იმ წარწერის ბოლო ნაწილს (ქორონიკონით), რომელიც სრულად ყოფილა შემორჩენილი ე. თაყაიშვილის დროს. წარწერა შესრულებული ყოფილა ქორონიკონსა ტნ (1662 წ.) ა (პირველ) აპრილს, და აღნიშნავს ზურაბაშვილის მიერ ამ სადგომის საფუძვლიან შეკეთებას ან გადაკეთებას, რასაც გულისხმობს გამოთქმა „მეორედ აღვაშენ“.

კ ა ზ რ ე თ ი ს ს ა მ ე ბ ი ს ე კ ლ ე ს ი ა

ამავე ხეობის მეორე მნიშვნელოვანი ძეგლი — სამების ეკლესია სოფ. კაზრეთის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა 2—2,5 კმ მანძილზე ხშირტყიან ხევში. ამ



ქაზრეთი. სარკმლის შორათულობის ფრაგმენტი



ქაზრეთი. სარკმლის შორათულობის ფრაგმენტი



ადგილს ძველად „ისპიანს“ უწოდებდნენ. ამ ბოლო წლებში ახალ სამხრეთ-დასავლეთურ ბაზაზე აღმოცენებულ მშენებლობასთან დაკავშირებით კეთილმოწყობილი საავტომობილო გზა გაყვანილი მაშავრის ხიდიდან. გზის ახალი მონაკვეთი ჩვენი ძველის ტერიტორიაზედაც გადის და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართება ბარიტის კარიერებისაკენ. მომავლელს სრულიად მოულოდნელად წარმოუდგება ძველ მოსახვევიდან ვიწრო ხევის სიღრმეში შეხიზნული ნამონასტრალი. იგი გაშენებულია მთის ფერდობზე, მდ. მაშავრის შენაკადის — პატარა მდინარე „კაზრეთის წყლის“ მარჯვენა ნაპირზე, რომელიც ხრამისკენ ეშვება ტრასებად. ძველთან მისადგომი ჩრდილო-დასავლეთითაა, საითკენაც კუთხის ბურჯებით გაძლიერებული დიდგალავნის შესასვლელია წინ წამოწეული. გალავანში მოქცეულია შუა ადგილზე დიდი ზომის დარბაზული ეკლესია, მისგან ჩრდილოეთით თხუთმეტიოდე მეტრის მანძილზე სატრაპეზოს ნანგრევებია, ხოლო ეკლესიის სამხრეთით — საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთია შემორჩენილი (ახლა გზის გაფართოების შედეგად მიწაყარის ქვეშაა მოქცეული 1963 წლიდან). მცენარეულობით დაბურულ ადგილებში — სატრაპეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, გზის გადაღმა და საცხოვრებელი ნაგებობის ახლოს რაღაც სადგომთა კედლის ცალკეული მონაკვეთებია შესამჩნევი. როგორც შემორჩენილი ობიექტების ნაშთი მოწმობს, აქ მნიშვნელოვანი სამონასტრო დასახლება უნდა ყოფილიყო. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს მიერ ჩატარებული იქნა 1956 წ. კაზრეთის კომპლექსის ნაწილობრივი გასუფთავება. შემოწმენდილი იქნა გარედან და შიგნით ეკლესია, რომელიც ცოკოლიდან მეტრზე მეტ სიმაღლეზე იყო ჩამალული მიწაში. ამასთანავე გამომწეურდა სამხრეთის გვიანდელი მინაშენი და საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთი. გასუფთავებამ გამოავლინა აგრეთვე ეკლესიის ჩამოქცეული სამხრეთის ფასადის მორთულობის ფრაგმენტები. მაშინვე ჩატარდა კომპლექსის ხუროთმოძღვრული აზომვა, რომელიც შეასრულეს სარესტავრაციო სახელოსნოს არქიტექტორებმა — ა. გოველიამ, გ. ჭეიშვილმა და გ. ჯაფარიძემ.

ჩვენამდე რეალურად შემორჩენილ ობიექტებს შორის გაცილებით უკეთესადაა შემონახული ეკლესია, დანარჩენები კი ნანგრევებადაა ქცეული. თავის ადგილმდებარეობითა და მხატვრული გადაწყვეტით სამების ეკლესია მთელი კომპლექსის ხუროთმოძღვრული დომინანტია, რომელიც მხოლოდ ახლოს მისვლისას წარმოუდგება მნახველს ჯერ გალავნის გასასვლელის ფარგლებში, შემდეგ კი ჩრდილო-დასავლეთის კუთხით მთლიანად. მაღალი, უგუმბათო ეკლესია თავისი ხალისიანი ფერადოვნებით, ფაქიზად დამუშავებული ქვის წყობის ხასიათით, მდიდრული დეკორის კომპოზიციებით, პირველ ნახვისთანავე უძველეს ხდის, რომ ეს ძეგლი შექმნილია ქართული არქიტექტურის მეორე აყვავების ხანაში, რომელიც საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს განმტკიცებისა და სიძლიერის ეპოქას ემთხვევა. ნაგებობა წარმოადგენს დიდი ზომის ცალნავიანი ტიპის ეკლესიას, რომელსაც სხვადასხვადროინდელი მინაშენების ნაშთიც შემორჩა ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით.

თვით ეკლესიის გეგმა წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, რომელსაც აღმოსავლეთით ნახევარწრივ შემოფარგლული ძალიან ღრმა აფსიდი და პორტალებით შემკული ორი შესასვლელი აქვს — ჩრდილოეთით და დასავ-



ლეთით. მათ შორის მთავარია ჩრდილოეთისა. მთავარი შესასვლელის მოწყობა ჩრდილოეთ კედელში და არა ტრადიციულად სამხრეთ მხარეს ძალიან იშვიათია ქართული ხუროთმოძღვრების, როგორც გუმბათოვანი, ასევე (უფრო იშვიათად) ცალნავიანი ტიპის ეკლესიებში. ასეთი გადაწყვეტა ყოველ ცალკე შემთხვევაში ადგილობრივი მიზეზებით უნდა აიხსნას ხოლმე. კაზრეთის ეკლესიასთან ერთადერთი მისაღვამი გზა ჩრდილო-დასავლეთიდანაა. ამდენად აქაც ჩრდილოეთ შესასვლელის მოწყობა სავსებით ლოგიკური, პრაქტიკული საჭიროებით იყო ნაკარნახევი. გეგმის მეორე თავისებურება იმაშია, რომ აქ ახლებურადაა გადაწყვეტილი აღმოსავლეთის ნაწილი — აფსიდის კედელში ორი გვერდითი სადგომის ნაცვლად მოწყობილია — ერთი, ჩრდილოეთის მხარეს. ამასთანავე, სამხრეთით, აფსიდის კედელში დატოვებული ცრუ კარი წარმოგვიდგება, როგორც წინამავალ ეპოქაში ჩამოყალიბებულ სამნაწილედ საკურთხეველის (მაგ. ახლომდებარე სათხის) რუდიმენტული გადმონაშთი.

შენობის ინტერიერს არ მოუღწევია ჩვენამდე თავისი თავდაპირველი სახით, ჩამონგრეულია კამარა და სამხრეთის კედელი. დასავლეთის კედელი გაძლიერებულია დამატებითი კედლის წყობით მთელ სიმაღლეზე. ინტერიერის შემორჩენილი უდიდესი ნაწილი მაინც საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა ნაგებობის შინაგანი სივრცის გადაწყვეტაზე. საზეიმო, წარმოსადგეი შთაბეჭდილება იქმნებოდა არა მარტო ძლიერი, სამსაფეხურიანი ბილასტრების ატყორცნილობითა და ნაეის საერთო აზიდული ფორმებით, არამედ განსაკუთრებით მისი კედლების მოხატულობითაც, რომლისგან აფსიდში შემორჩენილია ინტენსიურ ულტრამარინის ფონზე გაშლილი ეკლესიის მამათა მწკრივი პირველ რეგისტრში. მეორე რეგისტრში ღღერად, მკაფიო ტონებშია გამოსახული მოციქულთა მოძრავი ფიგურები. მათი წაგრძელებული გამოსახულებანი შეთანხმებული და ორგანულად შერწყმულია შინაგან სივრცის პროპორციებთან და არქიტექტურასთან. დამახასიათებელია ფიგურების განლაგებაში წონასწორობა და მთელი კომპოზიციის შეკავშირება რიტმული მოძრაობით სიმეტრიის დერძისაკენ, რომელზედაც ზემოთ კონქში, სუსტი კვალის მიხედვით, ალბათ დღისმშობელი იყო გამოსახული, ხოლო სარკმლის ქვემოთ — ქრისტეა ჯვარული შარავანდით. თვით სარკმლის წირთხლებზე გამოსახულია წმინდანები — კოზმან და დამიანე. ეკლესია მთლიანად იყო მოხატული, მაგრამ ახლა მხოლოდ ჩრდილო კედელზე აქა-იქ უმნიშვნელო კვალი და შესასვლელების თაღზე ორნამენტული მოტივები გაირჩევა. ინტერიერის მსგავსი გადაწყვეტის დროს, როდესაც იმთავითვეა გათვალისწინებული მოხატულობა, ხუროთმოძღვრულ ელემენტების მნიშვნელობა თვით სივრცის გაფორმებაში მცირდება. ამიტომ ხუროთმოძღვრის მხატვრულ ჩანაფიქრში უპირატესი მნიშვნელობა ნაგებობის გარეგან სახეს ენიჭება. ასეა კაზრეთის ძეგლშიც: ფაქიზად გათლილი ქვის საშოსელის ზოგადი მოყვითალო ელფერი და მასთან დაპირისპირებული ბაცი მომწვანო ზოლი წყობის ქვემოთა რიგში, ღღერადი ფერადოვანი ლაქებივით ავსებს ძეგლის ცხოველხატულ გარემოცვას. ფასადები მდიდრულადაა მორთული სარკმლების დეკორატიული მოჩარჩოვებით, შეწყვილებულ სარკმლებს შორის მოთავსებული ჯვრით, მოჩუქურთმებული კარნიშით; შესასვლელები რთულპროფილიანი მოჩუქურთმებული პორტალებითაა ხაზგასმული. პორტალებსა და სარკმლების აგებულებაში დაცულია ის დამახასიათებელი ნიშნები, რომელნიც



ფასადების გაფორმების ზოგად პრინციპთან ერთად კაზრეთის ძეგლზე პირველი ნახვერის ხუროთმოძღვრებას უკავშირებენ. როგორც პორტალების შეპირისპირება კოჯრის, კაბენისა და ახტალის; (XIII ს. პირვ. მეოთხედი). ასევე ორნამენტული რეპერტუარის სტილისტიკური ნიშნები გვიჩვენებენ, რომ კაზრეთის ეკლესიის აგების დრო XIII ს. პირველი მეოთხედით შეიძლება შემოიფარგლოს.

კაზრეთის ხეობის ორივე ძეგლის — სათხისა და კაზრეთის სამების ეკლესიების მნიშვნელობა ამ ხეობის კულტურულ-ისტორიული საკითხებისათვისაც უეჭველად თვალსაჩინოა. მათი დაცვისათვის დროა შესაფერისი ღონისძიებების ჩატარება ნავებობის გადასარჩენად შემდგომი ნგრევისაგან.



ბ ე ლ ა ზ ი

ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერაში“ (აღწერა სამეფო სასაქართველო-სა, თბილისი 1941) არაერთგზის აღნიშნავს, რომ ქვემო ქართლში „სელისაგან ხდიან ზეთსა მრავალსა“. ამგვარივე ცნობა მოიპოვება მეტნაკლები სიმრავლით აღმოსავლეთ საქართველოს რიგი სხვა კუთხეების შესახებ. მაგრამ წერილობით წყაროსთან ერთად სელისაგან ზეთის გამოხდას ადასტურებენ ის მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც ზეთის გამოხდასთან არიან დაკავშირებული. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია — გელაზი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგანაა დამოწმებული.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით (თბილისი 1966) „გელაზი — ზეთის სახდელი ქვა“ — ა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარი ვერ გარკვეულა ძეგლის დანიშნულებაში და ზეთის სახდელი ქვა — წისქვილის ქვად მიუჩნევია. მაგალითად, აკად. მარი ბროსეს, რომელიც საქართველოში სამეცნიერო მიზნით მოგზაურობდა 1848—49 წწ. ყანჩაეთის მონასტრის გალავანში მდებარე ქვა-ბორბალი წისქვილის ქვად შეუცვნია. ასევე, ჩვენი საუკუნის დასაწყისში ბორჯომის პარკში მახლობელი რაიონიდან გადმოტანილი გელაზი (ძეგლების გადმოტანის ინიციატორი იყო ვინოგრადოვ-ნიკიტინი) — მიჩნეული იყო წისქვილის ქვად. ასეთივე ქვა-ბორბალი ამ რამოდენიმე წლის წინათ ჩვენ ვნახეთ უბისის ტაძრის გალავანში.

ზემოთ ჩვენ მიერ ნახსენები და ბევრი სხვა ამგვარივე გელაზი არ არის არც აღრიცხული და არც დაცული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იმის მანიშნებელია, რომ იქ უწარმოებიათ ზეთის გამოხდა, უთესიათ სელი და ზეთის გამოხდის ტექნიკას გარკვეულ დონემდე მიუღწევია.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ სელი საქართველოში ერთ-ერთი უძველესი კულტურაა, რომელსაც მოსახლეობა სელის ჯიშის მიხედვით ან ქსოვილის დასამზადებლად ან კიდევ მისი მარცვლიდან ზეთის მისაღებად იყენებდა. ზემოთქმულს დაეძენთ, რომ სელის კულტურის უძველეს კერად დასავლეთ საქართველო — კოლხეთი ითვლება.


ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსი პეროლოტე აღნიშნავდა, რომ კოლხეთში დამზადებული სელის ქსოვილი დიდად იყო მოწონებული იმდროინდელ სამყაროში. ასევე X საუკუნის არაბი მოგზაური იბნ ჰალკალის მიხედვით აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს მცხოვრებნი განთქმული იყვნენ სელის ქსოვილით, რომელსაც ადგილობრივ ენაზე ეწოდებოდა ტალ. ექვმიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა „ტალ“ ქართულ ტილოს-ს ენათესავება და შეიძლება კავშირში იყო ხევსურულ კილოში შემონახულ ტალ-ავ-არ-თანაც. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს მიწის წიაღში აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის სელის ქსოვილის ნაშთები.

ასევე ფართოდ იყო ჩვენში გამოყენებული სელის ის ჯიში, რომელიც ზეთის



გამოსახდელად გამოიყენებოდა. საამისო ფაქტიურ მონაცემებს უმთავრესად აღნიშნული მოსავლეთ საქართველო იძლევა, ხოლო განსაკუთრებით ზეგანი მხარეების (სსრკ) თრიალეთი და ჯავახეთი.

როგორც თრიალეთში, ასევე ჯავახეთში ბოლო დრომდე იყო მოღწეული სელის ზეთის სახდელი სარეწაოები. ზეთის სარეწი სამი ნაწილისგან შედგე-



0 50 სმ

სოფ. წინწყარო — თრიალეთი. გელაში ქართული წარწერით

ბოდა, თითოეული მათგანი განკუთვნილი იყო ზეთის გამოხდის, სამი სხვადასხვა საფეხურისათვის: 1. მარცვლის მოხალვა, 2. მოხალულის დაწნევა და 3. დაწნეხილი მარცვლისგან ზეთის გამოწურვა.

გელაში ზეთის გამოხდის მეორე საფეხურთანაა დაკავშირებული. იგი მთლი-



ანი ქვისგან გამოთლილი ბორბალია, რომელსაც წისქვილის ზედა ქვის მსგავსად შუაში გამჭოლავი ნაჩრეტეი აქვს ამოჭრილი, ხოლო წისქვილის ქვისგან განსხვავებით ნაჩრეტის ირგვლივ ოთხკუთხი მოყვანილობის ღარია დატანებული. ნაჩრეტეში გაყრილია უღლის ერთი ბოლო; ხოლო უღლის მეორე ბოლოში ტაბიკების შემწეობით ხარი ან კამეჩია შებმული. გამწევი ძალა ატრიალებს ფიქალი ქვებისგან აგებულ კალოზე ვერტიკალურად მდგარ გელაზს, რომელიც დაცერებული ძვიდის მეშვეობით წნეხავს ახალული სელის მარცვალს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ნახული გელაზები არც ერთი $1\frac{1}{2}$ -2 მ ნაკლები დიამეტრისა არ ყოფილა. უფრო ხშირად კი ორისა და მეტი დიამეტრის მქონე გელაზების მნახველი ვართ. ერთი ასეთი გოლიათური ზომის გელაზი ჩამოვატანინეთ სოფ. გუნიაყალიდან 1938 წელს. ის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ფონდშია შესული, ხოლო მისი პირი ექსპონირებულია იმავე მუზეუმის ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენაზე. ეს გელაზი წონით დაახლოებით ორი ტონაა. მას ამკობს ქართული მხედრული წარწერა, მასზე გამოსახულია გუთნეული, ბოლოთრია, ადამიანი, ჯვრები და ზოგი რამ სხვა, რაც ყაშთა სრბოლის გამო წაბლალულია.

ჩვენთვის ნათელია, რომ გელაზები თრიალეთსა და ჯავახეთში ძველი მოსახლეობის ნაკეთობაა. მათზე ადრე, სანამ XIX საუკუნის 30 წლებში აქ თურქეთიდან ჩამოყვანილი სომხები, ოგები, კროები და ურუმები დასახლდებოდნენ. XIX საუკუნის მანძილზე აქ არც ერთი გელაზი მოსულეებს არ უკეთებიათ, ხოლო ძველად დამზადებული ზეთის სახდელი იარაღები კი გამოუყენებიათ.

თავისთავად ცხადია, რა მასშტაბის მეურნეობა უნდა ყოფილიყო, თუ კი საჭირო იყო ასეთი ზომისა და წონის გელაზები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ისიც გვაგონდება, თუ რამდენად მასშტაბურია ქართული დიდი გუთანი, რომელშიც 8—10 უღელი ხარ-კაშჩი ებმოდა. გუთნისთვის საჭირო ღვედის დამზადებას ოთხი ხარისა და ორი კამეჩის ტყავი უნდებოდა, ხოლო სახნისი და საკვეთელი 20 კილოგრამ რკინას იწონიდა, — თავი რომ დავანებოთ, გუთნეულისთვის საჭირო მუშა-ხელს (გუთნის-დედა, დღისა და ღამის მებრეები, მჩეკელი) და სხვა.


ასევე დიდი მასშტაბის მეურნეობის არსებობას გულისხმობს დიდი ქვევრები, რომელთაგან თითოეულში ორი მრეცხავი კიბის შემწეობით ჩადიოდა, ან საწნახელი, რომელშიც 4—6 კაცი ჩადგებოდა ყურძნის დასაწურად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გოლიათი გელაზი აღმოჩენილია დმანისის გათხრების დროს, რომელიც დათარიღებულია XI საუკუნით (არქეოლოგი ვ. ჯაფარიძე), აგრეთვე ისიც, რომ გელაზი ჩართულია იმ შესანიშნავ ხალხურ ბალადაში, რომელსაც თაფარაენელი ჭაბუკი ეწოდება.

ჩვენი ვალია სელის ზეთის სახდელი სარეწი ნაკებობა გადმოტანილი და ექსპონირებული იქნეს თბილისის ღია ცისქვეშ მუზეუმში. დღემდე აქა-იქ კიდევ შემორჩენილი გელაზები კი აღირიცხოს და დაცული იყოს. ეს ხელს შეუწყობს სელთან დაკავშირებული მეურნეობის მასშტაბების გარკვევას. თუ ჩვენი მუზეუმები ცდილობენ დაიცვან გლეხის დარბაზის დედაბოძები, საჭიროა გელაზებსაც მიექცეს სათანადო ყურადღება.

ზეთსახდელები ძველ ქართლში

ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის საგანძურში ზეთსახდელი ერთერთი საყურადღებო ელემენტია: ზეთსახდელი მცენარეული ზეთის საწარმოა, ხალხურ ყოფაში იგი „სახდელის“ სახელითაა ცნობილი, ისტორიულ წყაროებით მას „საზეთე“ შეესატყვისება.

საქართველოში გავრცელებულ საზეთე მცენარეთაგან (სელი, კანაფი, ზეთისხილი, მზესუმშირა) ზეთისათვის საზეთე ნედლეულის ძირითად წყაროს სელი წარმოადგენდა. ქართული ზეთსახდელებიც მის ბაზაზე მოქმედებდა. ეს ზეთსახდელები ყურადღებას იმითაც იმსახურებენ, რომ ისინი დაკავშირებულნი არიან საქართველოს უძველეს სამიწათმოქმედო კულტურასთან — კოლხურ სელთან, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს, როგორც საბოჭკოე, ისე საზე-




სოფ. წინწყარო. თრიალეთი. ზეთის სახდელი ქარხნის გეგმა

თე. მცენარეს. ცნობილია, რომ კოლხური სელის ნაწარმი ძველ მსოფლიოში საყოველთაოდ სახელმწიფოეპილი და განთქმული ყოფილა. საზეთე სელი, რომელიც საქართველოს მთიან და ზეგან ადგილებშია (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მესხეთი, ჯავახეთი, თრიალეთი) უმთავრესად გავრცელებული, ამ კულტურის განვითარების ახალი ეტაპია, იგი ბიომორფოლოგიური ნიშნების მიხედვით მთის კლიმატის გავლენით, კოლხური სელის სახეცვლილებას წარმოადგენს.¹

¹ ა. ვარკიძე, საქართველოს სელი, ბოტანიკური ინსტიტუტის შრომები, XIX, 1956, გვ. 162.



საქართველოში სელი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ყველგან მოხსენიებული იმის გამო, რომ მთის მკაცრი კლიმატის ზონაში უპირატესობა ცხოველურ ცხოველებს ენიჭება, საზეთე სელის ინტენსიური წარმოების რაიონად მესხეთ-ჯავახეთი და თრიალეთი გვევლინება. ამ ნიშნის მიხედვით ზეთსახდლეების გავრცელების არე საზეთე სელის გავრცელების ზონაში ლოკალიზდება. თუმცა საზეთე წისქვილის გიგანტური დოლაბების — გელაზების ნაშთების მიხედვით ზეთსახდლეების გავრცელება ადრე უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იგულისხმებოდა. ვახუშტი ბაგრატიონი სელის გავრცელებასა და მისგან ზეთის ხდაზე მიუთითებს ბერდუჯში, ტაშირსა, აბოცა ანუ ყაიყულსა და თრიალეთში².



სოფ. წინწყარო. თრიალეთი. ზეთის სახდელი ქარხნის კრილები

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სელის წარმოება მთლიანად დაცემის გზას ადგება. ევროპული მანქანური ნაწარმი და მზესუმზირის კულტურა ძლიერ კონკურენციას უწევს ადგილობრივ შინამრეწველური წესით ნაწარმ სელის პროდუქციას, რასაც შედეგად მოჰყვა, როგორც საბოჭკოე, ისე საზეთე სელის ნათესების შემცირება და თანდათან გაქრობა.

სელის კულტურის გადაშენებასთან ერთად ზეთსახდლეებიც კარგა ხნის წინათ დადუმებულან, თუმცა ბოლო ხანამდე მოქმედი ზეთსახდლეების მიგნე-

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენაშვილის რედაქციით, თბილისი, 1941 წ., გვ. 30, 41, 86.



ბა მესხეთ-ჯავახეთისა, თუ თრიალეთის სოფლებში კიდევ იყო შესაძლებელი აღნიშნული ზეთსახდელეები ოციოდე წლის წინათ წიწიბოს (წიფელის ნაყოფი) ზეთის გამოსახდელადაც გამოიყენებოდათ.

ზეთსახდელი წარმოადგენს სელის ზეთის წარმოებისათვის განკუთვნილ სპეციალურ ნაგებობას. იგი კლდის (ბაზალტის) ქვის პორიზონტალური წყობით ნაგები, დულაბით შეკრული შენობაა, ოთხკუთხი მოყვანილობისა. ნაგებობა ერთ კონტიანი ბანითაა გადახურული. შენობის ის ადგილი, სადაც წნეხის ხრახნია აღმართული, ერთ კონტიანი ბანი ორ კონტიან გადახურვაზე გადადის.



ზეთსახდელში ზეთის ხდის პროცესის შესაბამისად წარმოდგენილია სამი ძირითადი ელემენტი: ღუმელი, საზეთე წისქვილი და წნეხი. აქვეა ის ხელსაწყოები (საცრები, ქუმელისათვის ხახლები თუ „საღები“, ხის თოხები, ცოცხი, ზეთისა და მარცვლის საწყაოები, წყლის ქურქელი და სხვა), რაც ზეთის ხდის საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

ღუმელი ზეთსახდელში მარცვლის დახალვისთვისაა განკუთვნილი. იგი ბაზალტის თლილი ქვითაა ნაგები და ზეთსახდელის რომელიმე კედელთანაა მიშენებული. ღუმელში გამოიყოფა მარცვლის დასახალავი ღუმელის ზედაპირი და საწვავის მოსათავსებელი ნაწილი. თლილი ფიქალის ქვებით მოფენილი ღუმელის ზედაპირი ოთხკუთხაა. საწვავის მოსათავსებელი ნაწილის წინა კედელს ოთხკუთხოვანი კარების ჭრილი აქვს დატანებული, რომელსაც გახურების შემდეგ ოთხკუთხი ფიქალით ამოქოლავდნენ. ბოლი ღუმელიდან ზეთსახდელის კედელში დატანებული საკვამურიდან მიედინებოდა.

საზეთე წისქვილი ზეთსახდელში უმეტესად ნაგებობის ცენტრშია გამართული. საზეთე წისქვილი საღეწი და დასაგელაზებელი კალოსა, საღეწი და დასაგელაზებელი ქვის, დოლაბის — გელაზისაგან შედგება. იგი ზეთსახდელში ამგვარადაა გამართული: წრიული, ბრტყელი ქვის გარშემო ტრაპეციის ფორმის ოთხკუთხი ქვის ფილებსაგან შედგენილი, ცენტრისაკენ დაქანებული ბორდურია შემოვლებული, ზოგ წისქვილს ბორდური ხისაც ჰქონია (წალკა, ს. ახალიკი). კალოს ცენტრში ხის ბოძია ჩადგმული, ბოძის თავზე დამაგრებულ ხის ბალიში თავის მხრივ ღრმად რკინის სოლია ჩასმული. სოლზე პორიზონტალურად ერთი თავით გრძელი ღერძია ჩამოკეებული. ღერძის მეორე თავი ურძის თვალისვით ვერტიკალურად მდგარ გელაზის ქვის გულშია გაყრილი. ხის ბოძზე, ან ღერძზე დამაგრებულ რკინის რგოლზე ჯაჭვით ხის უღელია გამოხმული. როდესაც დახალულ სელს კალოზე დაპყრიან გასალეწად, უღლის მეორე ბოლოში გამწვევ ძალას შეაბამენ. უღლის ამ ბოლოს დვედითვე გელაზში გაყრილ ღერძის ბოლოზე გამოაბამენ. საზეთე წისქვილის სამუშაო აპარატს წარმოადგენს გელაზის ქვა, რომლითაც კალოზე დაყრილი მოხალული მარცვალი გაილეწება, დაქუცმაცდება, შემდეგ კი იმავე ქვით წყალდასხმული მასა — ქუმელი დაიზილება და დაისრისება.

წნეხი დასრესილი—დაგელაზებული სელის ქუმელისაგან ზეთის გამოსაწნეხი აპარატია. წნეხში გამოიყოფა ორი ნაწილი: საწნეხი ძელები ხრახნითურთ და დასაწნეხი ქუმელის მოსათავსებელი ქურქელი — „ავაზანა“.


ორ-ორად შეკრული ფიჭვის ხის ძელები ერთი თავით ზეთსახდელის კედელში დატანებული ნიშნია დამაგრებული. ძელებს შორის, მეორე მხარეს



- მდინარე
- მდინარის ნაპირი
- მდინარის ნაპირის ნაპირი
- მდინარის ნაპირის ნაპირი
- მდინარის ნაპირის ნაპირი

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის რუკა

ამოტანებულია ვერტიკალურად ფიჭვის ხისავე სუფთად ნათალი ხრახნი. იგი ბოლოთი ღარიან „ლითონზეა“ დაყრდნობილი და მასზე ბრუნავს. ის ადგილი სადაც ხრახნია გამართული, ზეთსახდელის იატაკის დონეზე დაბალია. მას ხრახნზე ჩამოკიდებული ქვის სახელის მიხედვით „დაკიდული ქვის სახლი“ ეწოდება. ხრახნზე იატაკიდან 40—50 სმ დაშორებითაა ეს დოლაბი ჩამოკიდებული. ხრახნზევე ძელების ზევიდან ხის მოგრძო კუნძი — „დათვია“ ჩამოხრახნილი. ნიშაიდან 40—50 სმ დაშორებით, იატაკში, ძელების პირდაპირ დასაწნები ქუმელის მოსათავსებელი „აეაზანაა“ ჩადგმული. „აეაზანი“-ს ძირზე დატანებული სადინარით — ღარით ზეთი „აეაზანის“ წინ ჩადგმულ ჭურჭელში ჩაედინება; აღსანიშ-



სოფ. ქუმბათი. ზეთსახდელი. კრილი

ნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმსა იმერეთ-სამეგრელო-გურიაში ამგვარი ტიპის, ოღონდ უფრო მცირე ზომის წნეხები ყურძნის ჭაქის საწნეხად იყო გამოყენებული.


ზეთსახდელი კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. XIX ს-ის მეორე ნახევარისათვის კი ეს საწარმოო მარტივ კაპიტალისტურ საწარმოს სახეს ატარებს. სადაც ერთ ჭერქვეშ გაერთიანებულ, დაქირავებულ მუშებს შორის შრომა დაწესებულია, ხოლო პროდუქტი (ზეთი) შეკვეთით მზადდება.

ზეთის ხდა საკმაოდ შრომატევადი პროცესია. ზეთის ხდის სეზონი დაემაბრიდან დაწყებული აპრილამდე გრძელდებოდა. ზეთსახდელში დღე — ღამეში



ერთი „შეგდება“ ანუ 16 კოდი სელი მუშავდებოდა. ეს შეადგენდა ზეთსა და ზეთის გამოხდის ერთჯერად ნორმას. თვით ზეთის ხდა საგანგებო ცოდნას და დახელოვნებას მოითხოვდა. ამიტომ ზეთის ხდის ცალკეულ პროცესებს (დახალვა, გაცრა, გალუწვა, დასრესა-დაველაზება, დაწნეხვა და სხვა) მღელმღელე, მესაცრე, მეხრეები ასრულებდნენ. მათ საერთო ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობას უწევდა ოსტატი.

სათანადო წესების დაცვით გამოხდილი სელის ზეთი ფართო მოხმარების პროდუქტს წარმოადგენდა. იგი იხმარებოდა ასანთებად, ტყავის დასამუშა-



სოფ. ქუმბათი. ზეთსახელი. გეგმა

ვებლად, სამკურნალოდ, სამხატვრო — სამღებრო საქმიანობაში, ქსოვილების დაჩითვის ტექნიკაში, რელიგიურ—სარწმუნოებრივ რიტუალებში, ყველაზე მეტი რაოდენობით კი საკვებ ცხიმად. ზეთის საკვები მოთხოვნილება განსაკუთრებით სამარხვო რეჟიმით იყო შეპირებული; მრავალმხრივი გამოყენების გამო ზეთის წარმოება საოჯახო მოხმარების ფარგლებს სცილდება. ზეთის წარმოების რაიონებში, ზეთს იყენებდნენ იმ ნაკლოვანების შესავსებად, რაც ადგილობრივი ბუნებრივი პირობების შედეგად იყო შექმნილი. თრიალეთური თქმულებების მიხედვით ირკვევა, რომ ზეთი ღვინოში იცვლებოდა.

სელის ზეთის წარმოების დონე ზეთის ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას ხავედა მიზნად. ამგვარად, ძველი საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში სელის ზეთს ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, სელის ზეთის მოხმარების ფართო მასშტაბი კი უძველესი ტრადიციით მომდინარე ფაქტია. იგი ემყარება საქართველოში ძველთაგან საზეთე სელის კულტურისა და ზეთსახდელი იარაღების არსებობას. ამ უკანასკნელის ნაშთები ჯავახეთის ახალქალაქიდან, ფიის ნასოფლარიდან და დმანისიდან X—XI საუკუნეს განეკუთვნება. ზემოთ აღწერილი ზეთსახდელი იარაღების ანალოგიური ხელსაწყოები, ოღონდ კიდევ უფრო ადრეული ხანისა, დადასტურებულია არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ პალესტინაში, ბირ-ელ-კუთის უდაბნოს, წმ. თედორეს ქართულ მონასტერში. ცნობილია, რომ აღნიშნული მონასტერი აშენებულია პეტრე იბერიის მიერ 430-იან წლებში, ამ მონასტერთან არსებული საზეთეთი ქართული მონასტრის საქმიანობა განსხვავდებოდა იუდას უდაბნოს სხვა მონასტრებისაგან. მაშასადამე, ამავე ნიშნით აღნიშნული მონასტერში ქართული ტრადიციული დარგი ყოფილა წარმოდგენილი. ამრიგად, პალესტინის წმ. თედორეს მონასტერთან არსებული ზეთსახდელი ხელსაწყოები ქართული სამყაროსათვის გაცილებით ადრე უნდა ყოფილიყო ცნობილი და მისი საწყისებიც უფრო შორეულ წარსულშია საძიებელი; ამგვარ ვითარებაში მეტად საინტერესოდ გამოიყურება ჩვენში შემორჩენილი ზეთსახდელი ხელსაწყოები.

სამწუხაროდ, აღნიშნული ზეთსახდელები ყველგან ნანგრევებადაა ქცეული. ან ნგრევის პირზეა მისული. ვფიქრობთ, მისი ღია ცისქვეშ მუზეუმის ფარგლებში ექსპონირება ერთ-ერთი გადაუდებელი და აუცილებელი ამოცანაა. იგი მომავალ თაობებს წარმოდგენას მისცემს ქართველი ხალხის როგორც სამიწათმოქმედო ყოფისა და კულტურის ისტორიულ თავისებურებებზე და საწარმოო მიღწევებზე მეურნეობის ამ სფეროში, ისე ქართული ტექნიკური აზრის განვითარების შესახებაც.



ბარდამავალი ტივის ნაბეზოვანი

ქვემო და ზემო ქართლში

შორს, მდინარე ქვაბლიანის გაღმა, სოფელი უდევ გამოჩნდა, ყვითლად გადატრუსულ ველებში ჩამჯდარი, მტკიცედ შეკრულ-შეჯგუფული, ბან-ამოზნექილი სახლებით, კარ-სარკმლებით დაცხრილული, როგორც მიწაში უხვად ნაკვეთი ერთად თავმოყრილი გამოქვაბულები. მხოლოდ მდინარის კალაპოტის გასწვრივ გაწოლილი მაძლარი სიმწვანე იტაცებდა, თვალს. ხილის ბაღების უწყვეტი რიგი, მიწამდე დაზნექილი, დახუნძლული ვაშლის ტოტები.

სოფელში შევედით. უღიმღამო მიწურების გვერდით, ნატივად ნათალი ბანიანი ქვის სახლები და ორფერდა თუ ოთხფერდა სახურავიანი თანამედროვე ნაგებობანი ერთმანეთში იყო არეული. როდესაც ადგილობრივი მოსახლის, პეტრე მერაბიშვილის მიწური მივადექი, მასპინძელმა შინ შემემატიცა. გავიარეთ ვრძელი დერეფანი ე. წ. „ბაკები“ და გარედან უფერული მცირე მიწური უცებ გრანდიოზულ დარბაზად იქცა. უზარმაზარი შრავალწახნაგოვანი გუმბათი გვეხურა თავს, გუმბათის ცენტრში მოთავსებულ ერდოდან თანაბრად ეფინებოდა შუქი მთელ ოთახს. ნათელ, მყუდრო, ჰაერით სავსე, საოცრად დეკორატიული, მანამდე არანახულ საცხოვრებელში ვიდექი. ძნელია, იმ გულში დაუტყვევლი განცდის გადმოცემა, რაც ამ დარბაზის ხილვამ მაგრძნობინა. მანამდე მხოლოდ ლიტერატურიდან მქონდა მასზე წარმოდგენა. მენახა ქართლური დედაბოძიანი, მაგრამ უკვე გვირგვინმოსული დარბაზები, საქართველოს მუზეუმში გამართული დარბაზიც, მაგრამ იმაზე წარმოდგენაც არ მქონდა — რაც სინამდვილეში შეიძლება არსებულებო. სათუთად მოჩუქურთმებული ბუხრის („ოჯახის“) წინ მასპინძელმა ტაბლა დადგა, მიმიწვია. როდესაც ჩემი თანამგზავრები — მხატვარი თენგიზ მირზაშვილი და არქიტექტორი ნოდარ ჯობაძე მოგვიანებით დარბაზში შემოვიდნენ, მასპინძელმა დარბაისლურად მითხრა: — თუ მასპინძელმა მუცელი არ გაიხეთქა, სტუმარი მშვიერი დარჩებაო და მოსულგბთან ერთად ისიც სუფრას მიუჯდა. დაჯდა და ამ ხეობაში მდებარე, ქართველებით დასახლებული სამი სოფლის დაარსების ლეგენდა გვიამბო: ერთი მონადირე თურმე ნადირობას შეჰყვია. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ნაპარტახალ მიდამოს მიადგა. ნასახლარები, ჩაქცეული ტაძრის ნაშთები ბევრგან შენიშნა. რაკი ადგილი უკაცრიელი იყო, იფიქრა: გამოვცდი, ვნახავ როგორი მოსავალი მოვა და თუ იმედი გამიმართლდა, აქვე დავსახლდებიო. მოიტანა და თითო მუქა ხორბალი სამ სხვადასხვა ადგილას ჩათესა. მოვიდა მოსავლის აღების დრო. პირველ ადგილზე იმდენი მოსულიყო, რომ მონადირემ თქვა: ამ ადგილს კიდევ უნდაო. აქედან წარმოიშვა სოფლის სახელი უდე (უნდა-უნდეს-უდე). მეორეგან იმდენივე მოსულიყო, რამდენიც ჩათესა. დიდი მოსავალი არ არისო, — გაიფიქრა მონადირემ. აქედან მომდინარეობს სოფელ არალის სახელწოდება. მესამე ადგილას სულ არაფერი მოსულიყო და ის თესლი მიწას ვალად დადებოდა. ამიტომ ქვია სოფელს სახელად ვალეო, — დაამთავრა თხრობა მასპინძელმა.



კარგა ხანს დაგრჩით უდესა და არალში. ვსწავლობდით ძველსა და ახალსა ნაგებობებს. ძველებური ერდოიანი მიწური ვედარსად დავადსტურეთ, გვირგვინიანი დარბაზები და მიწური ოდა სახლები კი საკმაო რაოდენობით იყო შემორჩენილი. ვეცნობოდით ამ სახლებსა და ვცდილობდით დაგვედგინა მათი თანდათანობითი შეცვლის და ახლებური საცხოვრებლად ჩამოყალიბების პროცესი.

1924 წელს პროფ. გ. ჩიტაიამ გამოაქვეყნა ნაშრომი ქვაბლიანის ხეობაში დადასტურებული დარბაზული საცხოვრებლის შესახებ. მან მიუთითა, რომ ეს სახლი პორიზონტალურ განზომილებაშია წარმოდგენილი და საცხოვრებელი დარბაზის გარდა, ერთ ჭერ ქვეშ ითავსებს სამეურნეო ნაგებობებს — სარძიეს, სათონეს, საკუჭნაოს, საბძელს, ახორს. მანვე გაუსვა ხაზი ამ ხეობის დარბაზთა მოგვირგვინების თავისებურებას. სახელდობრ იმას, რომ აქ გვირგვინი ყოველთვის „ოთახის კედლებიდან იწყება“.

მესხეთ-ჯავახეთის სხვა რაიონებსა და წალკა-თრიალეთში გვირგვინის გამართვის ამ წესთან ერთად, დადასტურებულია კედლებიდან დაშორებულ დედაბოძებზე დაყრდნობილ თავხეებიდან გვირგვინის აყვანა.

მესხურ-ჯავახური დარბაზის დამახასიათებელი ელემენტი ბუხარია, რომელიც საგანგებოდ იყო ნაჩუქურთმევი. წალკა-თრიალეთში კი — კერა.

გვირგვინიანი დარბაზის გვერდით დადასტურებული მიწური ოდები, რომლებიც შეტ-ნაკლები სახე-სხვაობით გავრცელებულია მესხეთ-ჯავახეთსა და წალკა-თრიალეთში, დარბაზთან შედარებით უფრო ახალი ჩანს.

ოდას და დარბაზს კონსტრუქციულად, ერთი მხრივ, ანსხვავებს, ხოლო მეორე მხრივ აახლოებს ჭერის მოწყობის პრინციპი.

მართალია, ოდას გვირგვინი არ გააჩნია, მისი ერდო შუაგულიდან კედლის პირას არის გადატანილი და მოგრძო სარკმლის ფორმა აქვს. მაგრამ ისევე როგორც დარბაზის გვირგვინი ეყრდნობა კედლის პირას დადგმულ ბოძებსა და მასზე გადახუთულ ყოშადებს, ოდას ჭერიც კედლის პირას შეყენებულ სვეტებს ყოშადებსა და ტაბუნებს უჭირავს. ასე, რომ ოდას ჭერიც უშუალოდ კედლიდან არის ამოყვანილი.

ამასთან ერთად, საყურადღებოა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დარბაზის გვირგვინი ნახევრად უკვე მოშლილია და შუაგულში მოწყობილ ერდოს ნაცვლად, გვერდებზე ოდური სარკმლები აქვს დატანებული. თვით ოდას ერდო, რომელიც ერთ ჩარჩოიან ვიწრო გრძელ სარკმელს წარმოადგენს და რომელიც ჯერ კედლის სიახლოვეს, ხოლო შემდეგ უშუალოდ კედლის გაგრძელებაზე კეთდება, ხომ არ არის ელემენტი, რომელიც ერდოდან ფანჯარაზე გადასვლამდე წარმოიქმნა, შემდეგ ნამდვილ ფანჯარად იქცა და უშუალოდ კედელში ჩაჯდა?

მთხრობელთა გადმოცემებთან ერთად, რომელთა მიხედვითაც ოდა შედარებით გვიან წარმოშობილად ისახება, ჭერის მოწყობის პრინციპი, შესაძლებლობის ფარგლებში, დარბაზული სახლების ოდურად გადაკეთება, ე. ი. გვირგვინის წაკვეთა და ოდას ყაიდაზე სარკმლების მოწყობა, დარბაზთან ერთად ერთ საცხოვრებელში ოდური ოთახების თანაარსებობა შედარებით გვიან აგებულ სახლებში და ბოლოს, ერდოს გადატანა კედელთან და მისთვის სარკმლის ფორმის მიცემა, საფიქრებელს ხდის ოდური სახლების დარბაზზე გვიან გაჩენას. ამდუ-



ნად სახლის ეს ტიპი დარბაზული საცხოვრებლის შეცვლის გარკვეულ საფეხურად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

მოხუცთა გადმოცემით, ძველად ყველას ერდოიანი სახლები ჰქონდა, მესხეთ-ჯავახეთშიც, წალკა-თრიალეთშიც. — ფანჯრიან სახლს ვინც გააკეთებდა, ამბობდნენ — გადასახადი მოუვაო, — გვიამბობენ ხანდაზმული მესხები. ოდა ამ წესს ნაწილობრივ არ ემორჩილებოდა თავისი გრძელი, ერთჩარჩოიანი სარკმლით.

ცხოვრება წინ მიდიოდა და ბინის შეცვლის საჭიროებაც თანდათან მთელი სიმძაფრით იჩენდა თავს. სათანადო დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა პირველ რიგში თავისი ძველებური სახლის შიგნით ცდილობდა რეკონსტრუქციის მოხდენას და შესაძლებლობის ფარგლებში ძველი საცხოვრებლის კეთილმოწყობას. ეს ცვალებადობა თანდათანობით მიმდინარეობს საცხოვრებლად განკუთვნილი ფართობის შეკეთება-შეღამაშებისა და გასუფთავების ხარჯზე, ჯერ თვით ძველებური საცხოვრებელი სახლის შიგნით.

ძნელია უცებ ზურგი აქციო იმას, რაც ძველთაგანვე მომდინარეობს, რასაც ადამიანი შეგუებულია, რაც მისი ცხოვრების პირობებსა და მოთხოვნილებას პასუხობს. ამიტომაც, რომ თანდათანობით, ნაკლებ შესამჩნევად გაჩნდა ძველებურ საცხოვრებელში ახალი ელემენტი, შეერწყო მას, ტრადიცია არ დაარღვია. ასეთი იყო ძველებურ საცხოვრებელ სახლში ახლებური, ფანჯრიანი ოთახის გაჩენა, რომელიც ძველი სახლის შიდა გეგმას არ არღევს. ნაწილობრივ იცვლება მხოლოდ ფასადი. ასეთი ოთახები სასტუმროადაა განკუთვნილი და საგანგებოდ მოვლილ-მორთული. მთელი სახლი ყველა თავისი საცხოვრისითა და სათავსოთი პორიონტალურ განზომილებაში, ერთჰერ ქვეშაა მოქცეული.

ამდაგვარი შერწყმული სახლების გვერდით, ჩნდება სრულიად ახალი ტიპის სახლები, რომლებიც განსხვავდებიან ძველისაგან, როგორც ფორმით, ისე შიდა გეგმით. ეს სახლები სწორედ ე. წ. „ფანჯრიანი სახლებია“, რომლებიც გადახურვის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველ ჯგუფში ექცევა ერთ სართულიანი მიწურბანიანი სახლები, რომლებშიც ადამიანის საცხოვრისი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი ერთ ჰერქვეშაა, მაგრამ ერთმანეთისგან გამიჯნულია. ამ სახლებში ოთახები სავსებით ახალი ტიპისაა, სუფთა და ნათელი.

ორსართულიანი სახლები, რომელთა სახურავი ორ ან ოთხფერდაა, ძირითადად, საცხოვრებლადაა განკუთვნილი. თუ გლესს საშუალება აქვს ახალი სახლი ძველის დაუნგრევლად ააგოს, მაშინ ძველი სახლი ასრულებს ახორისა და სხვა სამეურნეო ნაგებობათა დანიშნულებას. თუ არა, სახლის პირველი სართული ითავსებს მათ. საცხოვრებლის გვერდით ეწყობა, ძირითადად, სამზარეულო.

ტენდენცია, რომ საცხოვრებელი და საქონლის სადგომი მკვეთრად გამოეყოს ერთმანეთს, შეინიშნება არა მხოლოდ წალკა-თრიალეთსა თუ მესხეთ-ჯავახეთში, არამედ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, სადაც მესაქონლეობას მისდევდნენ. ადგილობრივ მეურნეობის დარგებთან დაკავშირებული ნაგებობანი თუ სათავსოები, მეტ-ნაკლებად შეცვლილი სახით ახალ სახლს ახლავს, ოღონდ ისინი სავსებით გამოცალკევებული არიან საცხოვრებლისგან. აქვე დავძენთ, რომ მეურნეობის დარგებისა და საყოფაცხოვრებო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით, მოცულობასა თუ ფორმას იცვლის სათანადო სათავსო-ნაგებობებიც, ანდა სრულიად ქრება.




გიორგი ჯალაბაძე

ს. ჟანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

პიშპაველი გუთნისდაღა

ახლა ჭივჭავას სახელწოდებით ქვემო ქართლში დასახლებული სოფელი აღარ არსებობს.

ჭივჭავას სახელი პატარა მდინარეს შერჩა, რომელიც ბედენის მთას გამოუდის და სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ მიემართება. ამ მდინარის პირას იყო გაშე-



კახტელაკიშვილის საფლავის ქვა

ნებული ძველისძველი სოფელი ჭივჭავა. როგორც 1948 — 1954 წლებში აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადპყო, სოფელ ჭივჭავას XVI საუკუნის ბოლოს შეუწყვეტია ცხოვრება¹. მას შემდეგ ჭივჭავა ნაჭივჭავებად მოიხსენიება

¹ ი. ა. გრძელიშვილი, Археологические раскопки в поселении Начивчавени (Тетричкарройского района) 1954 года, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის შოამბე, ტ. XVII, № 1, 1956, გვ. 96.



ხალხში და სამეცნიერო ლიტერატურაში. ჭივჭავაძის ნამოსახლარი მდებარეობდა საინტერესო სურათის იძლევა. პირველ რიგში აქ ყველაზე გამოკვეთილად ნაკალოვარი ადგილებია შემორჩენილი. მნახველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს 3 საუკუნის წინ კი არა, რაღაც 20-ოდე წლის წინ იყო მიტოვებული. ნაკალოვარი ადგილები მრგვლად არის მოსწორებული, ირგვლივ ზოგს ცოტა მოხელებული შემადლება აქვს და ტაფობს მიაგავს. ზოგიერთ კალოს ირგვლივ ქვები აქვს შემორიგებული, რომ ბურის ლეწვის დროს ხარს გარეთ არ ეწია და ბზე და ხვავი კალოს გარეთ არ გადაბნეულიყო. ჭივჭავაძის ცოტა ზემოთ ნადარბაზევის ახლოსაც არის ერთი მიტოვებული ნასოფლარი. აქაც იგივე სურათი მეორდება. ნაკალოვარი ადგილების გვერდით მოზრდილ ფართობიანი მშრალი წყობით ნაგები შენობის კვალი შეიმჩნევა. ეტყობა, ეს საბძლები უნდა იყოს. ქვემო ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში ხომ საბძლების დიდი კულტურა არსებობდა, პირუტყვის საკვებად ბზის დიდი ოდენობით დაუნჯებას სათანადო ყურადღება ექცეოდა: ხალხური გადმოცემით, საბძელში როცა გარკვეული რაოდენობის ბზეს ჩაყრიდნენ, შემდეგ შიგ ღამის თევით კამჩებებს შერევავენ, რომ ზედ დგომითა და წოლით ბზე მაკრა დაეძვენათ და მეტი რაოდენობით მოეთავსებინათ.

ნაჭივჭავაძის ტერიტორია არქეოლოგიური კვლევის ობიექტი 1949 წლიდან გახდა. უფრო ადრე ამ მიდამოებში ახლო სოფლის განძის მაძიებლებს უწარმოებიათ თხრა.

განძის მაძიებელთა დაინტერესება, როგორც სოფ. ვარხუნოელმა დარჩო აღალოს ძე ახიჯანოვმა (70 წლისა, 1953 წ.) გადმოგვცა, შემდეგ გარემოებას მოჰყოლია, ერთ ვარხუნოელ კაცს თბილისში ქარვასლა ჰქონია. ამ ქარვასლაში ერთხელ ასე 60 წლის წინ (მასალა 1953 წელშია ჩაწერილი) გაჩერებულა ერთი კახელი მოხუცი კაცი, მას თან ჰყოლია თავისი შვილებიც. ქარვასლის პატრონისთვის სადაურობა უკითხავს, მას ჭივჭავა დაუსახელებია. აღსანიშნავია, რომ ვარხუნოელები დღესაც ჭივჭაველობას იტყვიან, ვიდრე ვარხუნოელობას, თუმცა ვარხუნოც ისეთივე ძველი სოფელია, როგორც ჭივჭავა. 1706 წლის საბუთიდან ჩანს, რომ ვარხუნოელი გლეხი საკმაოდ მოძლიერებულია. მაგ: ვარხუნოელ ერთ საკვამლო ნურალაშვილს გააჩნდა თავისი მამული, მიწა-წყალი, მთა, ბარი, სახნავ, უხნავი, სახლ-კარი, ჭურ-მარანი, წისქვილი, ტყე და ველი¹. ანალოგიური მდგომარეობა იყო ჭივჭავაში. არც ჭივჭავაში და არც ვარხუნოში ვენახი არა გვარობს, მაგრამ საბუთში ჭურ-მარანი მაინც მოიხსენიება. საბუთში მოხსენებული მამულიც ვენახს უნდა გულისხმობდეს და შესაძლებელია ეს მამული ვარხუნოელ და ჭივჭაველებს ასევე სხვა სოფლებსაც დაბლა ბარში გააჩნდათ. ძირითადი, რაც ჭივჭაველების სამეურნეო ცხოვრებას განსაზღვრავდა, როგორც ჩანს, მაინც მეზინდვრობა იყო. ამას ნათლად ადასტურებს ჭივჭავაძის ნასოფლარის არქეოლოგიური მასალები და მიწის ზედა ძეგლები, რომლის შესახებ ვარხუნოელი მექარვასლესათვის იმ მოხუც კახელს უამბნია: „ჩვენი წინაპრები ჭივჭავაძიდან არიან კახეთში გაქცეულები. მანდ ჩვენ ძალიან დიდი სიმდიდრე დაგვრჩა და თუ შევიძელი უნდა წავიდე მოვიძიოვო“, მაგრამ ეს კაცი ისე ყოფილა დაუძლეურებული, რომ ქალაქშივე გარდაცვლილა და შვილებს ჭივჭავასთვის აღარ მიუკითხია, მექარვასლე კი შესდგომია ჭივჭავაძის ნასოფლარის თხრას და ძიებას, რო-

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, გვ. 131.

მელსაც შემდეგ სხვა ვარსკოვლებმაც თურმე მიბაძეს. მოხალისე „არქეოლოგი-
მა“ ალბათ ბევრი რამ იმსხვერპლეს, მაგრამ გადარჩა რამდენიმე მიწის-
ნაშთი, რომელთაგან აღსანიშნავია „გუთნის დედის“ საფლავის ქვა.

გუთნის დედობა იმთავითვე საბაბით ხელობად იყო აღიარებული და გარდა-
ცვალების შემდეგ მისდამი პატივისცემა საფლავის ქვის მხატვრობაშიც გამოუ-
ხატავთ. ჭიჭიკაეას საფლავის ქვებიდან ერთი „გუთნისდედა“ მხოლოდ შემორ-
ჩენილი. ერთი ქვა, რომელზედაც ექვსუღლიანი სახენელი ყოფილა გამოხატუ-



„გუთნისდედა“ გომარეთიდან

ლი გუთნისდედით. ხელი მანჭაზე ეკიდა და ფეხი კბილაზე ჰქონდა თურმე
დადგმული. ის თეთრწყაროელ ქვის მოხელებს წაუღიათ და საამშენებლო
დანიშნულებით გაუთლიათ. (სამწუხაროდ, ამ გზით და ამ მიზნით ქვემო
ქართლში არაერთი ძეგლი ნადგურდება. ნადარბაზევის ნაგებობის პერანგი სა-
ვალალოდ არის შემოძარცული).

ჭიჭიკაეელი გუთნისდედის სამახსოვრო ქვა საკმაოდ დიდი ზომისაა
1,43 x 1,93 სმ-ზე. ქვაზე ადამიანის ორი ფიგურაა ამოკვეთილი. გულზე ჯვარე-
დინათ ხელებდაკრეფილ მდგომარეობაში. ნაოჭებიანი ჩასაცმელი წელთან ბო-
ლოვდება, ქვედა კიდურები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს შიშველ



მდგომარეობაშია გამოხატული, საგანგებოდ არის გამოყოფილი მუხღისკვერთის ქვაები. მარცხნივ და მარჯვნივ მოკლე, წელში გახრილი სატევარეზმამ გამოხატული, რომლებიც თავის ფორმით სამთავროს IX-X საუკუნის არქეოლოგიურ სატევრებს წააგავს. მარჯვენა ფიგურის გვერდში სახენელია გამოხატული, რომელიც გარდაცვალებულის გუთნიდედობაზე მეტყველებს. ჭიკჭიკას საფლავის ქვაზე გამოხატული სახენელი იარაღი ფამფალაკიანია, რომელსაც ტოლი გოგრები გააჩნია. სახენელის აგებულებაში არა ჩანს ფრთა და საკვეთელი, სახნისი კი კარგად არის გამოყვანილი. მხატვრობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ჯილდა სახენელი. საფლავის ქვებზე სახენელების გამოხატვისას ხელოსნები ხშირად აკლებდნენ ხოლმე რომელიმე დეტალს, მაგრამ ძირითად დეტალებს მაინც ისეთს ტოვებდნენ, რომელთა საშუალებითაც სახენელის რაობას მნახველი შეიცნობდა. ასეა უსაკვეთლოდ გამოხატული სახენელი სოფელ ზეგლის საფლავის ქვაზე (გიორგობის ეკლესიასთან ცხვრის ქანდაკის მარჯვენა გვერდზე), რომელიც აგრეთვე ჯილდა სახენელს წარმოადგენს. სოფელ ხიზაბაერის საფლავის ქვაზედაც უსაკვეთლო სახენელია წარმოდგენილი, ასევეა ბარალეთის ზოგიერთი ქვის მხატვრობაში. სოფელ ზემო ნიჩბისში შაქრო კანდელაკიშვილის საფლავის ქვის (გარდ. 1919 წ.) მხატვრობაში სახენელს ფრთა არ გააჩნია, მაგრამ მის აღნაგობაში მსხლის ფორმით შეერთებული მანქების გამოხატვით ხელოსანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ფრთიანი დიდი გუთანი წარმოადგინა.

ჭიკჭიკას საფლავის ქვაზე რომ ჯილდა სახენელია წარმოდგენილი, ეს კარგად ჩანს გამწვევი ძალისათვის გამოხატულ უღელთა რაოდენობიდანაც. სახელდობრ, მასში ოთხი უღელთა გაბმული, რაც ჯილდა სახენელისათვის საკმარის გამოწვევ ძალად ითვლებოდა.

ჯილდა სახენელი, როგორც შუასაუკუნეების საქართველოში, ისე გვიანი დროისათვისაც ქვემო ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში საკმაოდ გავრცელებულ იარაღს წარმოადგენდა. სახენელის ეს სახეობა სხვებისაგან იმით გამოირჩევა, რომ იგი ზეგანის მიწათმოქმედების საანეულო სისტემასთან არის დაკავშირებული, რომელიც ბარის საანეულო სისტემისაგან მრავალი ნიშნით გამოირჩეოდა. სახელდობრ, ნიადაგის მრავალგზისი გადახვნა, ნიადაგის მსხვრევით, ნაცვლად ფრთიანი სახენელით უწყვეტ ლენტად მიწის გადაბრუნებისა, — იწვევდა მზის სხივების ნიადაგში უხვად და მრავალგზის შეღწევას, რაც ზეგანის გრილი ნიადაგებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ჯავახეთში ამბობდნენ: „მიწას ერთხელ მოხნავ — ერთ მოსავალს მოგცემს, ორჯერ მოხნავ — ორ მოსავალსო“. ეს პირობა ქვემო ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში საუკუნოვანი ტრადიციებით იყო განმტკიცებული.

ქვემო ქართლის მეშინდერობაში ფართოდ იყო გამოყენებული ფორჩხი, რომელიც საანეულო სისტემის აუცილებელ იარაღს წარმოადგენს. ფორჩხის სიკეთე მეშინდერობაში იმდენად დიდი იყო და იმდენად ძველი იარაღი ყოფილა, რომ იგი მეზობელ სომხებსაც გადაუღლიათ და ქართული სახელითვე მიუღიათ. ფორჩხი და ჯილდა სახენელი ერთი სამინდგრო საანეულო სისტემის განუყრელი იარაღებია და მათი გავრცელება საქართველოს გარდა სომხეთშიც დასტურდება. ისე როგორც ფორჩხი, სახელი ჯილდაც სომხურში ქართულიდან არის ამ იარაღთან ერთად შესული და არა მარტო ეს იარაღები, ამ იარაღებთან დაკავშირ-



რებული შრომის ორგანიზაციის სახელიც „მოდგამი“ საქართველოდან გავრცელდა სომხეთსა და აზერბაიჯანის დასავლეთ და ჩრდილო დასავლეთ რაიონებში და ანატოლიაში.

საქართველოში გავრცელებული სახვნელი იარაღი ჯილღა სომხეთში გავრცელებულ ჯილღისაგან იმით განსხვავდება, რომ ქართულ ჯილღას ფრთები არ გააჩნია. სომხურ ჯილღას კი ორივე მხარეზე აქვს ფრთები გაკრული და ხმალაზე არის წინა წვერით ჩაბმული¹. სახვენელ იარაღებში წარმოდგენილი ეს დეტალი არც ისე უმნიშვნელო ნაწილია, რომელზედაც სომეხ მკვლევარს ვ. ზდოიანს ყურადღება არ გაემახვილებინა. მაგრამ იმის გამო, რომ მესხეთ-ჯავახეთში 1830 წლიდან პასკევიჩის მცდელობით ერზერუმელი და ალაშკერტელი სომხები დასახლდნენ და ისინი გვიანდლამდე ჯილღა სახვენელს იყენებდნენ. მას მიაჩნია, რომ ეს სახვენელი თან უნდა მოეტანათ და დაენერგათ². მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ და სომხურ ჯილღას შორის გარკვეული სხვაობაა. ჯავახეთი სომხები ქართულ ჯილღას იყენებდნენ, ასე რომ ვ. ზდოიანი ამოდ აიგივებს ერზერუმის კლიმატურ-გეოგრაფიულ გარემოს მესხეთ-ჯავახეთის კლიმატურ გეოგრაფიულ გარემოსთან. თვით მესხეთ-ჯავახეთი არა ჰგავს კლიმატურ გეოგრაფიულ გარემოსთან. თვით მესხეთ-ჯავახეთი არა ჰგავს კლიმატურ გეოგრაფიულ გარემოსთან. თვით მესხეთ-ჯავახეთი არა ჰგავს კლიმატურ გეოგრაფიულ გარემოსთან. თვით მესხეთ-ჯავახეთი არა ჰგავს კლიმატურ გეოგრაფიულ გარემოსთან. თვით მესხეთ-ჯავახეთი არა ჰგავს კლიმატურ გეოგრაფიულ გარემოსთან.

¹ В. Бдоян, Земледельческая культура в Армении, автореферат, 1968 г., сс. 49.
² იქვე, გვ. 49.



პირღებულის მონასტრის ასოშთავრული წარწერა

პირღებულის მონასტრის ერთი ასოშთავრული წარწერა

1957 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ¹ მოიხილა საინტერესო სამონასტრო კომპლექსი — პირღებული.

ძველი მღებარეობს სამშვილდის ნაქალაქარიდან სამხრეთ-დასავლეთით, 2 კმ მანძილზე, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირის ძნელად მისადგომ ფერდობზე. იქ საკმაოდ მოზრდილი ფართობი მთლიანად მოფენილია სამეურნეო, საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობათა ნანგრევებით, რომელთა გვერდით ჩრდილოეთიდან მსაზღვრავ ბაზალტის ფრიალო კედლის აღმოსავლეთ ნაწილში მრავალი გამოქვაბულია გამოკვეთილი. სწორედ ეს ადგილი აქვს მხედველობაში დიდ ქართველ ისტორიკოსსა და გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს, როდესაც პირღებულის შესახებ წერს: „მონასტერი ქციის ხრამსა შინა პირღებული კლდე მოკვეთილი დიდითა შენობითა და შემკული ყოვლითა სიკეთითა“.²

¹ ექსპედიციის ხელმძღვანელი — ისტ. მეცნ. კანდ. ნ. ბერძენიშვილი.

² ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 44.



საფლავის ქვა — გუთნისდელა კივკვიდიან



საბუნდოვანო ვაშლისხუთი სოფ. ხიზაბერის საფლავის ქვაზე



ეს ძეგლი 1907 წ. უნახავს აკად. ექვ. თაყაიშვილს, რომლის სიტყვებითაც თავისი გამოქვეყნებებით რამდენადმე მოგვეგონებს ვარძიას¹.

სამონასტრო კომპლექსის ცენტრალურ ნაგებობას წარმოადგენს ბაზალტის თლილი ქვისაგან ნაგები ერთნავეანი ბაზილიკა, რომელიც, მართალია, ასე თუ ისე შემონახულია, მაგრამ აშკარაა, რომ ის ხელუხლებლად არ არის ჩვენამდე მოღწეული და რამოდენიმეჯერ აღდგენა-გადაკეთების კვალს ატარებს. დღეისათვის სრულიად დაქცეულია ტაძრის სამხრეთ მინაშენი, რომლის კარის თავზე, როგორც ექვ. თაყაიშვილის აღწერიდან ვგებულობთ, ელისე საგინაშვილის სახელით ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა ყოფილა მოთავსებული². ეს წარწერა ექსპედიციამ მიწაზე დაგდებული ნაბა და ვინაიდან მისი ადგილზე დაცვა შეუძლებლად მიიჩნია, იგი წამოიღო თბილისში და ამჟამად ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებაში ინახება. ამ გარემოებამ, ბუნებრივია, გავვიადვილა აღნიშნულ წარწერაზე მუშაობა, რომლის შესწავლის შედეგად მოხერხდა წარწერის დაზიანებული ადგილების აღდგენა და ექვ. თაყაიშვილის წაკითხვაში ზოგიერთი შესწორების შეტანა.

წარწერა ამოკვეთილია ქვის ფილაზე (ზომით: 54,5×40,8), თხზული ასომთავრულით. მისი თვითეული სტრიქონი თანაზომიერად მოთავსებულია ორ ხაზს შუა და მთელი წარწერაც ასეთი ხაზებისაგან შექმნილ ჩარჩოშია ჩასმული. პალეოგრაფიულად მას ახასიათებს ზოგიერთი ასოს შემცირება. ხშირად შემცირებული ასოები მოთავსებული არიან ერთი მეორეს ქვეშ, ან მეზობელ ასოთა მოხაზულობაში არიან ჩასმულნი, იშვიათად კი, მათ ბუნზე არიან ჩამოკიდებულინი.

წარწერა ძალზე დაზიანებულია ქვის შედარებითი სირბილის გამო. ის დროთა ვითარებაში, სანახევროდ გამოფიტულ-„გაცვეთილია“, ხოლო მისი ზოგიერთი ადგილი იმ ზომამდე დაზიანებულა, რომ იქ ასოთა მოხაზულობის გარკვევა თითქმის შეუძლებელია. წარწერა ექვს სტრიქონიანია და ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე იკითხება:

1. ქ. ნებითა და შეწვენითა ღთისა მე თბილელ
2. საგინაშვილი ელისიე ღირს ეიქმენ მეორედ აღმენებად გაოხრებ
3. ოლისა ამის მოწასტრისა და განვააქნელე შიგნით ხატებითა და
4. საკორთხეველითა და შემოვწირე სამი კვამლი კაცი ჩემი
5. ნასყიდი თოფრასალას დააგებრუნე ორი წისქვილი
6. აწუ ვინც იკითხვიდეს შენდობით მო მიხსენებდეს

წარწერის ზოგიერთ ადგილს ჩვენ განსხვავებულად ვკითხულობთ, ვიდრე ეს ექვ. თაყაიშვილის წაკითხვითაა დადასტურებული. ჯერ ერთი, ჩვენი დაკვირვებით, ექვ. თაყაიშვილის წაკითხვაში წარწერის სუბიექტი უმართებულოდ არის დასმული მოთხრობით ბრუნვაში „თბილისელმან სენაშვილან“, მართალია, თბილისის შემდეგ ქვა დაზიანებული ჩანს და იქ თითქოს შეიძლებოდა მოთავსე-

¹ Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, IV., Тбилиси, 1913, сс. 26.

² Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV., Тифлис, 1913, сс. 51.



ბულიყო ფორმანტი: მან, მაგრამ მართო ამის მიხედვით, ვფიქრობთ, აქ ასეთი აღდგენითი ოპერაციის ჩატარება მაინც არ შეიძლება, რადგანაც ამ წინადადებაში მოიპოვება გამონათქვამი: „ღირს ვიქმენ...“, ხოლო ამის მიხედვით აშკარაა, ქვემდებარე აქ, უთუოდ სახელობით ბრუნვაში უნდა ყოფილიყო დასმული და არა მოთხრობითში.

ასევე წარწერის მესამე სტრიქონში ჩვენ ვკითხულობთ სიტყვას: „შიგნით“ ექ. თაყაიშვილის შიგან-ის მაგიერ. შესწორება დამყარებულია თვით წარწერის ჩვენებაზე, სადაც ეს სიტყვა უქარაგმოდ არის წარმოდგენილი და გარკვევით იკითხება დღესაც: შიგნით.

რაც შეეხება, ჩვენ მიერ აღდგენილ სიტყვას: თოფრაცყალას, რასაკვირველია, საგარაუდოა, მაგრამ წარწერის მიხედვით, ცხადია, რომ აქ რომელიღაც სოფლის, ადგილის სახელი უნდა იგულისხმებოდეს, რომლის მცხოვრები სამი კომლი კაცი (გლეხი) ელისე თბილელს უყვინძა და პირღებულისათვის შეუწირავს. გარდა ამისა, წარწერაში შემონახულია ამ დაზიანებული სიტყვის პირველი და უკანასკნელი მარცვლები: თოფ . . . ლას, რაც გარკვევით იკითხება ახლაც. ხოლო ამის შემდეგ, ვფიქრობთ, ძნელი არ არის ქვემო ქართლის აწინდელი და ისტორიული ტოპონიმის მოშველიებით, საძიებელი სახელის გარკვევა. ჩვენ საბოლოოდ „თოფრაცყალა“-ზე შევჩერდით. მართლაც, საბუთების მიხედვით ისტორიულ ქვემო ქართლში ასეთი სახელწოდებით ოთხი სოფელი ყოფილა ცნობილი:

ა) ალგეთის ხეობაში, სოფ. ნაზარის დასავლეთით.

ბ) ყარაბულალში, ზაულისტანის სამხრეთით.

გ) დმანისის ხეობაში, გეტისწყლის აღმოსავლეთი ტოტის მარცხენა ნაპირზე სოფ. სენების სამხრეთ-დასავლეთ მხარეში.

დ) ალგეთ-ყარაბულალ-დმანისის საშუალო ადგილას.

ოთხივე თოფრაცყალა ძველ საბუთებში იხსენიება¹. ამ ოთხიდან, ჩვენი დაკვირვებით, წარწერაში მესამე, ანუ სენების თოფრაცყალა უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც სხვასთან შედარებით პირღებულთან, უფრო ახლო მდებარეობს.

პირღებულის ზემოაღნიშნულ წარწერიდან აშკარად ჩანს, რომ მისი სუბიექტი ელისე საგინაშვილია, რომელსაც პირღებულის გაოხრებული მონასტერი „შორედ აუშენებია“ და განუახლებია. იგი აქ თბილელად იხსენიება, ე. ი. ხსენებული ელისე თბილისის სიონის საყდრის ეპისკოპოსი ყოფილა. საბუთების მიხედვით, ის XVII საუკუნის ქართლის გამოჩენილი მღვდელმთავარი და საეკლესიო მოღვაწე ჩანს. მის სახელთან გარკვევით დაკავშირებულია არა მართო პირღებულის, არამედ თბილისის სიონის საყდრის აღდგენა-განახლების საქმეც.

ელისე საგინაშვილის მამისშვილობის შესახებ ჩვენ სრულიად არაფერი ვიცით. საბუთების მიხედვით საგინაშვილები, საერთოდ, ქვემო ქართლის მკვიდრნი ჩანან. მაგალითად, მოწინავე სადროშოს 1721 წლის აღწერის მასალების თანახმად, ისინი ცხოვრობდნენ: მარაბდაში, ბოგეში, ხოპისში, ჩხიკვთაში და ალგეთის ხეობის სხვა სოფლებში.² საგინაშვილებს თბილისში ჩვენ XVI-საუკუნის

1 ი. ა. ს. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწილი I და II, თბ., 1935, გვ. 314.

2 ი. ა. ს. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძე, ქვემო ქართლი, III და IV, თბილისი, 1938, გვ. 29, 34, 35, 39, 40, 42.

პირველ ნახევრიდან ვხვდებით. ამ მხრივ პირველი, ჯერჯერობით მანკა-ნანკა საგინაშვილია. მას რაღაც საკანონო საქმის გამო 1536 წელს თბილისის სიონისათვის თავისი მკვიდრი და ნაყიდი მამულები შეუწირავს¹.

XVII საუკუნის მეორე მეოთხედში ჩვენ ვხვდავთ საგინაშვილებს: ბექანს, იოთამს და პაპუნას—როსტომ მეფის მტრებთან ბრძოლაში². შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამეფო კარისადმი ერთგულება უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა, საერთოდ, საგინაშვილების დაწინაურება საზოგადოებრივ სარბიელზე. 1628 წლის 15 მარტს ელისე საგინაშვილისათვის სვიმონ ქართლის მეფეს თბილისის სიონის საყდარი მიუცია. ამგვარად, ელისე თბილელი მღვდელმთავარი ანუ ეპისკოპოსი გამხდარა. სათანადო წყალობის სიგელი სიონის საყდარში ჩვენი საუკუნის დამდეგამდის ყოფილა შემონახული³.

ჩვენი დაკვირვებით ელისე საგინაშვილის დაწინაურების ძირითადი მიზეზები, მის პირად თვისებებში უნდა იქნეს მოძებნილი. მის თანამედროვეთა და თვით მხილველთა მიერ იგი დახასიათებულია, როგორც „სარწმუნო“ და „სათნო კაცი“⁴, „საღმთოდ განჩინებული და ღირსი საქმისა“⁵. თუ ყველაფერ ამასთან ერთად მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ელისე საგინაშვილი თავის დროზე ცნობილი მწიგნობარიც ყოფილა, გასაგები იქნება ის მაღალი ავტორიტეტი, რომლითაც ის უცვლელად სარგებლობდა მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში⁶.

როგორც საბუთებით ირკვევა, თბილისის სიონი მძიმე მდგომარეობაში დახვედრია ელისეს. ის „უამთა ვითარებისაგან“, თუ „უსჯულოთა და უღმრთოთა“ (იგულისხმება საქართველოს მტრები) მიერ დარღვეული და დაქცეული ყოფილა. ელისე საგინაშვილს მიზნად დაუსახავს აღდგინა თბილისის სიონი. მაგრამ სიონის აღდგენითი სამუშაოები გარკვეული მიზეზების გამო (უსახსრობა) საკმაოდ ნელა წარმართულა და საბოლოოდ ეს საქმე ელისეს მხოლოდ 1657 წლისათვის დაუშთავრებია.

ერთდროულად, ელისეს ენერგიული მუშაობა გაუჩაღებია სიონის დაკარგული მამულების დასაბრუნებლად და საყდრის დაცემული მეურნეობის აღსადგენად. მას, მართლაც დაუბრუნებია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთა მიერ მიტაცებული საყდრის მამულები. როგორც ქალაქში, ისე ქალაქგარეთ. ასეთია მაგალითად: ქულბაქი საყდრის გვერდით, ქარვასლის ნახევარი, როსტომ მეფის სუფრაჯის ამბაზბეკის ნასახლარი თბილისში, სოფ. კისისხევი — კახეთში და სხვა. ის წარმატებით ედაგება სასამართლოში ყორღანაშვილებს და

1 სარგის კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, თბილისი, 1913, გვ. 60.

2 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1955, გვ. 146.

3 M. Ткемаладзе, Тифлисский Сионский кафедральный Собор, Тифлис, 1904, გვ. 115.

4 სარგის კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი IV, თბილისი, 1913, გვ. 29.

5 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1955, გვ. 214.

6 Е. Такайшвили, Археологические энскурсии, разыскания и заметки: выпуск IV, Тифлис, 1913, გვ. 10-11.



იბრუნებს კიდევ სოფ. ფიცხის თრიალეთში და ასე შემდეგ. ეს ყოველივე ბუნებრივი და გასაგებია.

მაგრამ იზადება კითხვა: რა უნდოდა თბილისელ ეპისკოპოსს ხრამის ხეობაში? რით იყო გამოწვეული ელისე საგინაშვილის მოღვაწეობა პირღებულის მონასტერში? ამ მიზნით უნდა გავიხსენოთ სვიმონ მეფის შემოადინებული წყალობის წიგნი, რომლითაც მას ელისე საგინაშვილისათვის 1628 წელს თბილელობა უბოძებია. ამ საბუთით სიონის საყდარს ის ერთდროულად უმტკიცებდა საეკლესიო მამულებს, როგორც თბილისში, ისე საბარათიანოშიაც (ქვემო ქართლი). დეკ. მ. ტყემალაძეს ამის შესახებ სიტყვასიტყვით ასეთი ჩანაწერი მოეპოვება: «В силу этой грамоты утверждаются за Сионским храмом древняя права пользования городскими доходами и доходами с имении и в Сабаратнано»¹.

ამის მიხედვით ირკვევა, რომ თბილისის სიონს ძველი დროიდანვე ჰქონია მამულები, როგორც თბილისში, ისე ქვემო ქართლშიაც (საბარათიანო). ამასთანავე რამდენადაც პირღებული ძველ მონასტერს წარმოადგენდა, საფიქრებელია, რომ ის უნდა ყოფილიყო, აგრეთვე თბილისის სიონის მეტოქე (სასახლე), საიდანაც თბილელები ანხორციელებდნენ თავისი დაფანტული მამულების ფეოდალურ ექსპლოატაციას, ქვემო ქართლში, რომ თბილელ მთავარეპისკოპოსს მაგრად ედგა ფეხი, ეს მტკიცდება ქრისტეფორე კათალიკოზის ერთ გუჯრიდანაც, რომელიც მას, სწორედ, თბილელ ელისესათვის უბოძებია. იქ სხვათაშორის ნათქვამია: „თრიალეთს რაც აწუ წალკელის სამწყსოში სოფლები აშენდეს და შენობა ჩაუარდეს ჩუენზე შორს იყო და თქვენთვის მოგვიბარებია. საწირავს გარდა, ის რაც, რამ იქაური გამოსალეებული იყო. მარჩილი ანუ დრამა, ნახევარს სვეტიცხოველს წუ დააკლებთ და ნახევარი თქვენთვის მოგვირთმევი“².

როგორც ვხედავთ, კათალიკოსს წალკელის მამულები ელისე თბილელისათვის მიუბარებია და იქ ბატონის უფლებები მას უნდა განეხორციელებია. სამაგიეროდ, კათალიკოზი იქაური შემოსავლის (დრამის) ნახევარს თბილელს უთმობდა. ბუნებრივია, ელისეს-სათბილელს მეურნეობის ამოქმედება საბარათიანოში მისი ცენტრის მოწესრიგების გარეშე არ შეეძლო. სწორედ ამიტომ ელისე თბილელს თავისი მოღვაწეობა საბარათიანოში პირღებულის მონასტრით უნდა დაეწყო. კითხვაზე, თუ რატომ უნდა დახვედროდა ელისე თბილელს პირღებულის მონასტერი ასეთ მდგომარეობაში, ან რაც იგივეა, როდის და ვის მიერ უნდა ყოფილიყო ის დანგრეული და აოხრებული, პირდაპირი და ზუსტი პასუხი არ მოგვეპოვება, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს უნდა ყოფილიყო უშეშეო შედეგი იმ უბედურებისა, რომელიც დატრიალდა საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში, მონღოლთა ბატონობის დროიდან მოკიდებული. (XIII-ს.), როგორც ცნობილია, ქვემო ქართლი, უმთავრესი და პირდაპირი გზა იყო ირანისაკენ. ამ გზით ხშირად შემოდის და საქართველოს მტერიც და ქვემო ქართლი იტყეოდა იმ ასპარეზად, სადაც ბევრჯერ გადაწყვეტილა საქართველოს ბედი.

¹ М. Ткемаладзе, დსახ. ნაშრ. გვ. 115.

² ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ეორდანიას მიერ, ფოთი, 1903, გვ. 221.



თუ აკად. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით: „თემურლენგის შემოსევის შემდეგ საქართველო განმანადგურებელი მიწისძვრისა და ზორბალ-ქარისაგან დაზიანებულ ქვეყანას მიაგავდა“, მის ცალკეულ მხარეებიდან ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობაში ქვემო ქართლი აღმოჩენილა. მან პირველად განიცადა თემურის უთვალავი ურდოების შემოსევა და მისი განმანადგურებელი რისხვაც. ასე რომ ოდნავადაც კი გადაჭარბებული არ უნდა იყოს ძველი მემატიანის სიტყვები, რომელიც თემურის პირველი ლაშქრობის შესახებ წერდა: „წარმოვიდა, გარდამოვლო თრიალეთი და საბარათიანო, საშინელებითა და ზარითა დიდითა... რამეთუ ჰყვა ბანაკი და სიმრავლე სპათა ურიცხვი, რომელსა ვერ იტევდნენ მთანი და ველნი და ყოველივე არენი და სანახები საქართველოსანი და მოსრნა ყოველივე თრიალეთი, საბარათიანო და გარემოხი კვიდრნი მათ ადგილთანი წარმოსტყვევნა და შემუსრნა ყოველივე სიმაგრენი, ციხენი და გოდოლინი“¹. ამასთან ერთად, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ თემური ეკლესია-მონასტრების განსაკუთრებული მტერი იყო, მას აქ თავისი სპასალარებისათვის საგანგებოდ დავალებული ჰქონია: „სრულიად მოოხრება და დასრულება ქართლისა და უმეტესად წმინდა ეკლესიათათვის, ციხეთა და შენობათათვის ეტყოდა: „დაარღვიეთ, დაარღვიეთ მისაფუძველამდე მისა“². გასაგები იქნება, თუ რატომ უნდა დახვედროდა ელისეს პირლებულის მონასტერი ასეთ მდგომარეობაში. აღნიშნული ძეგლის დარღვევაც სწორედ მაშინ, თემურის შემოსევათ დროს უნდა იყოს მომხდარი. მაგრამ ამის შემდეგაც დიდხინის განმავლობაში, სიწყნარე და მშვიდობა არ ღირსებია ქართლს და მასასადამე, სომხით — საბარათიანოსაც. თემურის შემდეგაც არა ერთი დამპყრობელი გამოჩენილა ქვემო ქართლში. საკმარისია, გავიხსენოთ უზუნძასანის, შაჰისმაილის, შაჰთამაზის და სხვათა სახელები, რომ ადვილად წარმოვიდგინოთ ის საშინელებანი, რომელიც მძვინვარებდა ქართლში თემურის შემდეგაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

XVI საუკუნის დამდეგიდან ქართლს მოსვენება არ ჰქონდა სეფიანთა ირანისაგან. ყიზილბაშები ქართლს მოთხრას უპირებდნენ. მაგრამ თავისუფლების მოყვარე ქართველი ხალხი ლუარსაბ I და სვიმონ I ხელმძღვანელობით, შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა მოზღვავებულ მტერთან. გარისის ომი ამის ბრწყინვალე მაგალითია. მართალია, შაჰთამაზის სიკვდილის შემდეგ (1576) ქართლმა ერთხანს თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ ეს შესვენება ძალიან ხანმოკლე გამოდგა. სპარსელები, ამჯერად თურქებმა შეცვალეს. ჩოლდირის ომის მოგების შემდეგ ქართლს თურქები შემოესივნენ, რომლებმაც განსაკუთრებით ქვემო ქართლში მოიკიდეს ფეხი. თურქები იქ XVII საუკუნის დამდეგამდის დათარეშობდნენ, მაგრამ რაც თურქებს გადაურჩა, ისევ სპარსელებმა მოუღეს ბოლო. შაჰაბაზმა ამ კუთხეს აოხრება არ აკმარა და მისი ეთნიკური სახის შეცვლაც მოიწადინა. ამ მიზნით იქ, თურქმანთა ბორჩალუს ტომი ჩამოასახლა. ამგვარად, ქვემო ქართლი, ისტორიულად, საომარი ცეცხლის მუდმივ კერად იქცა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ეს კუთხე განსაკუთრებით დაზიანდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი გაწყდა ან კიდევ ტყვედ იქნა წაყვანილი. შეწყვეტიტა არსებობა ოდესღაც

¹ ქართლის ცხოვრება, წიგნი მესამე, ტომი I, ტფილისი, 1899, გვ. 663.

² იქვე.



მნიშვნელოვანმა ქალაქმა სამშვილდემ. ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები დაიქცა. ქვეყანა ნანგრევებით მოიფინა.

ქართლმა მხოლოდ როსტომის ზეობაში (1632 — 1658) მიიღო დამოუკიდებლობა და დაწყინარების საშუალება. რადგან როსტომი ყაენის მიერ დანიშნული კაცი იყო. ცხადია, ქართლში შეწყდა გარეშე მტრების (პირველ რიგში კი ირანელთა) შემოსევები. მართალია, როსტომი ირანში აღზრდილ-გამაჰმადიანებული და ყაენის სამსახურში დაბრუნებული იყო, მაგრამ მშობლიური ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს მაინც პატივისცემით ეპყრობოდა და ქრისტიანული ეკლესიის მმართველ დიდ მოთმინებას იჩენდა. ის ხელს არ უშლიდა იმ აღდგენით და კულტურულ საქმიანობას, რომელიც ქართლში მისი მეუღლის მარიამ დედოფლის თაოსნობით მიმდინარეობდა. ასე რომ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ პირღებულის, დარღვეული მონასტრის განახლებას ელისე საგინაშვილმა (ისევე როგორც თბილისის სიონისა) სწორედ როსტომის ზეობაში მოკიდა ხელი.

თუ ჩვენ ელისეს მოღვაწეობას დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ მას თბილისის სიონში და პირღებულის მონასტერშიაც, დაახლოებით, ერთნაირი სამუშაოები ჩაუტარებია: ორივეგან მას აღდგენია საყდართა დაზიანებული შენობანი, შეუშკია ხატებით, საკურთხევლით და სხვა საეკლესიო საგაყდართა და მოუწესრიგებია მათი მეურნეობაც. დამახასიათებელია, რომ ორივე შემთხვევაში, ელისეს ღვაწლი გაგებულა. როგორც ხსენებულ საყდართა „მეორედ აღშენება“, ხოლო ეს გამოხატვაში ძველად, როგორც ეს მითითებული აქვს აკად. ნ. ბერძენიშვილს, ტექნიკური ტერმინი ყოფილა და დანგრეული ეკლესია-მონასტრის განახლება აღდგენას ნიშნავდა საერთოდ¹. ცხადია, ასეთი მოცულობით აღდგენითი სამუშაოების განხორციელება, ერთდროულად, თბილისში და ხრამის ხეობაშიაც, გარდა მატერიალური სახსრების, მოითხოვდა მის შემსრულებლისაგან არაჩვეულებრივ ფიზიკურ და სულიერ ენერჯიასაც. ელისეს სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ მას აღნიშნული სამუშაოები ყველგან, მართალია, „ფრიადითა ჭირითა და რუღუნებით“ მაგრამ მაინც წარმატებით დაუძღვევია და დასახული მიზნისათვის მიუღწევია. ყოველ შემთხვევაში: ცხადია, რომ პირღებულის აღდგენა-განახლება ელისესათვის არ ყოფილა, რაღაც ცალკე, დამოუკიდებელი სამუშაო, არამედ ის არსებითად დაკავშირებული ჩანს იმ ამოცანებთან, რომელიც მის მიერ თბილისში ნაიკის მოვალეობისაგან (თბილელობა) გამომდინარეობდა.

რადგანაც აღნიშნული წარწერა პირღებულიდან უთარიღია, ჩვენ არ ვიცით თუ როდის უნდა ჰქონდეს შესრულებული ელისე თბილელს აღდგენითი სამუშაოები პირღებულის მონასტერში. მაგრამ ვიცით, რომ ელისე საგინაშვილმა, თბილელის კათედრა 1628 წლის 15 მარტს მიიღო, რომელიც მას სიკვდილამდე ჰქონდა დაკავებული. აკად. ექ. თაყაიშვილის მიხედვით, იგი 1660 წლის ახლო ხანებში გარდაიცვალა². ასე, რომ მისი მოღვაწეობა პირღებულში, უთუოდ 1628—1660 წლებს შორის არის სავარაუდებელი.

¹ ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი-XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI, 1029—1930, თბილისი, 1951, გვ. 282.

² თ. უორდანიას პუბლიკაციის მიხედვით ელისე თბილელი 1670 წელსაც ცოცხალი უნდა ყოფილიყო (იხ. მისი ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების საისტორიო საბუთები, ფოთი, 1903, გვ.)



ქართული
ლიბრარი

თავის მხრივ, პირღებულის აღნიშნული წარწერა მრავალმხრივ საუკუნის
მო ძეგლია. ის გარკვევით ეხმაურება XVII საუკუნის ქართლის სხვა ცნობილ სა-
ბუთებს და ძვირფას მოწმობას წარმოადგენს არა მარტო ელისე თბილელის ხან-
გრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის გასაშუქებლად, არამედ ქართლის სამე-
ფოს შინა-პოლიტიკური მდგომარეობის გასათვალისწინებლადაც. საერთოდ, პირ-
ღებულის ამ წარწერის სამეცნიერო მნიშვნელობა XVII საუკუნის საქართველოს
ისტორიისათვის უთუოდ თვალსაჩინოა.

ქვემო ქართლის ზოგიერთი ციხე-სიმაგრე

ქვემო ქართლი, ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი დიდი ნაწილი, გამოყოფილი ცალკე ერთეულად არასოდეს არ ყოფილა, ამიტომ იქ ვერ ვნახავთ დაცვის ერთიან სისტემას. იქ ვხედავთ, როგორც ერთიანი საქართველოს, ისე გვიანი პერიოდის ცალკეული სათავადოების სიმაგრეებს, ამავე ტერიტორიაზე მდებარეობს ისეთი დიდი ნაქალაქარები, როგორიცაა სამშვილდე და დმანისი. ეს ქალაქებიც ფაქტიურად ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენენ. მრავლადაა ამ ტერიტორიაზე როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის ციხეები, ისე ციხე-დარბაზები, საგუშაგო კოშკები და სხვა. ბლომადაა აგრეთვე ეკლესია-მონასტრები, რომელთა გალავანი დაცვისათვის იყო განკუთვნილი.

ცხადია, ამ მოკლე წერილში ჩვენ ზემოთ მოყვანილ მრავალფეროვან მასალას მთლიანად არ შევხებით, არამედ მოკლედ მოვხაზავთ მხოლოდ რამდენიმეს.

ფარცხისის ციხე მდებარეობს მდ. ალგეთის მარცხენა მხარეს მაღალ გორაკზე. ციხის ამგებთათვის, როგორც ეტყობა, მისი მიუდგომლობა არ იყო განმსაზღვრელი, არამედ მთავარი იყო სტრატეგიულად შერჩეული ადგილი. ციხე ქვემო ქართლის ერთ-ერთ მაგისტრალურ გზაზე მდებარეობდა. აქედან კარგად მოჩანდა ისეთი სახელგანთქმული ციხეები, როგორიცაა — ბირთვისი, ორბუთი და სამხრეთ-აღმოსავლეთით კოჯრის მიდამოებიც.

ციხე ნანგრევებადაა ქცეული და მხოლოდ აქა-იქ შერჩენილია კედლები. გათხრების ჩატარებამდე გეგმაც არ იკითხება მთლიანად. ხოლო ჩანს შემდეგი: ციხეს გრძელი გეგმა ჰქონია, ბოლოებში მომრგვალებით. როგორც ეტყობა, ციხე ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ცენტრალური ნაწილი მთელ სიგრძეზე მოკავებული ჰქონდა ციტადელს, ხოლო მის ირგვლივ. თითქმის კონცენტრულად, გადიოდა გალავანი, რომელთა კვალი ამჟამად მხოლოდ დასავლეთით და ჩრდილოეთით ჩანს.

ციხის გარე კედლებში შესასვლელი არ ჩანს, ხოლო ზედაში ჩრდილოეთითაა. ჭიშკარი განიერია და თალით ყოფილა გადახურული. განსხვავებით სხვა მონაკვეთებისაგან აქ აგურია გამოყენებული და რესტავრაციის აშკარა კვალი ატარებს. ციხის ძველი კედლები კი ამოყვანილია რიყისა და ყორე ქვით. ზოგან ზედა ფენებში თლილი ქვაცაა ნახმარი.


ციტადელის დასავლეთის მონაკვეთი გამოყოფილი ყოფილა. ეს მონაკვეთი ორმაგი კედლებითაა შემოზღუდული. საკოშკების მიხედვით სამი თუ ოთხსართულიანი დიდი ზომის კოშკი უნდა ყოფილიყო.

ჭიშკრის აღმოსავლეთით პატარა სათავსოა, საიდანაც იწყება გვირაბი. ადგილობრივთა გადმოცემით, გვირაბი ამ მხარეს გამავალ პატარა მდინარე ფარცხისში ჩადიოდა. მდინარემდე სამასიოდ მეტრია, მაგრამ რადგან გვირაბის ბოლო არსად ჩანს, ამიტომ გადმოცემის შემოწმება მხოლოდ გათხრებს შეუძლია.

ფარცხისის აგების შესახებ ცნობა არ მოიპოვება. მართალია, იგი მატთანე-



თა ფურცლებზე მხოლოდ ზაგრატ IV (1027—1072 წწ) დროიდან იხსენიება მანუჩი მაგრამ იგი გაცილებით უფრო ადრეა აგებული. ფარცხისი მრავალი მოწმე იქნება, მაგრამ მათ შესახებ მხოლოდ მცირე რამ ვიცით².



ფარცხისი. ზედი სამხრეთ-დასავლეთიდან

ზირთვისის ციხე მდებარეობს ფარცხისის აღმოსავლეთით 6-7 კილომეტრზე და მდ. ალგეთის ჩრდილოეთით სამიოდე კილომეტრზე. ციხისკენ მიმავალი გზა მეტად ვიწრო ბილიკია, რომელიც მიყვება მაღალი კლდეებით შემოფარგლულ ნაპარას. ბილიკი მიემართება სულ მაღლა, მაღლა და ბოლოს აღგება თითქმის შვეულად მიმავალ საფეხურებს, რომელსაც მიყვავართ ვიწრო კარამდე. შიგნით, ხელოვნურად მოსწორებულ კლდეზე, პატარა ეზო იქმნება. აქედან იწყება ციხე. მაგრამ ზირთვისი არ არის ჩვეულებრივი გაგების ციხე, ე. ი. ციხე, რომელსაც გალავანი და კოშკები შემოფარგლავს. აქ თქვენს წინ გადაიშლება იშვიათი სილამაზის სანახაობა — ირგვლივ ცამდე აზიდულ მთებში შემოფარგლულ დიდ ტერიტორიაზე შემოსასვლელის დონის ქვემოთ კლდო-

¹ შატინე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბილისი, 1955. გვ. 297.

² იქვე, გვ. 312, 317—318 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 413.



ვანი და წვეტიანი მთებია გაფანტული. აქედან, ამ წვეტიანი მთების ძირებში ღრმადაა, რომ ზემოდან ძლივს მოჩანს.

ბიზანტიური

ჩვენს წინაპრებს სწორედ ეს ბუნებრივი სიმაგრე შეურჩევიათ. ამის შემდეგ მათ დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ ყველა გასასვლელის და საექვო ადგილების ხელოვნურად გამაგრებისათვის. ყველა საჭირო ადგილი კედლითაა გადაკეტილი და თავდაცვისათვის მოწყობილი. იქვე შესასვლელთან მაღლობზე სათვალთვალო ცილინდრული კოშკი დგას, რომლის კედლები სათოფეებითაა აღჭურვილი. ეს კოშკი, როგორც ეტყობა, გვიან პერიოდშია შექმნილი, მაგრამ სხვაგან გვხვდება გაცილებით უფრო ადრეული ფენები.

ბირთვისის ციხე პირველად XI ს. შუა ხანებში იხსენიება¹, მაგრამ იგი გაცილებით ადრე უნდა იყოს წარმოქმნილი. მას სიმაგრის მნიშვნელობა XVIII ს. ბოლომდე არ დაუკარგავს და აუღებლად ითვლებოდა. ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი ერთგან წერს: „ბირთვისის ციხის ომი, ხომ არ იქნებოდა, ჩამოეცალნენ“². მართალია, სხვადასხვა წყაროებიდან ვიცით, რომ ბირთვისი რამდენიმეჯერ იყო აღებული, მაგრამ პირდაპირი იერიშით არასოდეს არ აუღიათ. ყოველთვის მოტყუებით, მოსყიდვით, ეშმაკობით იღებდნენ ამ საოცარ ციხეს. ამ მრავალთაგან აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს.

თემურ-ლენგი ერთ-ერთი შემოსევის დროს მიადგა ბირთვისის ციხეს, რომელიც „იყო დიდად განმაგრებულ“. „ხოლო სპანი ლანგ-თემურისანი შიშით მძრწოლარენი ფრიად მჭკუნვარე იყვნეს და უარყოფდეს ციხისა მის აღებასა, რამეთუ მრავალგზის ვნებულ იყვნეს მათ მიერ და უწყოდენ ციხისა მის სიმტკიცე“. თემურ-ლენგს, რომლის წინაშე მთელი აზია თრთოდა და აუღებელი ციხე არ დარჩენია, ცხადია, აქაც არ შეჩერებულა და ჯარი იერიშზე გადაიყვანა. ციხოსანნი გამოუბნდნენ და სისხლის ღვარი დააყენეს, მტერი გააქციეს და ისევ შებრუნდნენ. გაბოროტებულმა თემურმა მთელი ჯარით ალყა შემოარტყა და „აღუშენა გარემოს ციხეები საფრად... და „თვით“ მიადგა წინა — კერძო ბჭესა მის ციხისასა, და მუნცა აღაშენა ციხე“. ამასთანავე, ვასცა ბრძანება ეწარმოებინათ შეუპოვარი ბრძოლა. ამ ხერხმაც ვერ ვასტრა, რადგან მტკიცედ იყვნენ დამცველები.

პირდაპირი გზით, რომ ვერაფერი გააწყვეს სხვა გზა მოძებნეს. ვიღაცის საშუალებით გაიგეს ციხის სუსტი ადგილი, დაამზადეს თოკის კიბე და ვინმე „მეგვიბტელის“ საშუალებით კლდის წვერზე მოაბეს და ჩუმად შეიპარნენ. დამცველებმა, როცა შეიტყვეს გვიან იყო. თავდადებულმა ბრძოლამ ისინი ვერ იხსნა დამარცხებისაგან, რადგან თემურის ჯარი უთვალავი იყო³.

კლდეკარი მდებარეობს თრიალეთის მთებში მაღლა, იმ წყალგამყოფ ქედზე, რომლის ერთ მხარეს წალკაა, ხოლო მეორე მხარეს თექმისა და ტანას ხეობებით ქართლისკენ მიმავალი გზები.

კლდოვანი ქედი ორგანაა გახსნილი. ქვემოთ მდებარე უფრო ვიწრო და სალი კლდეებითაა შემოფარგლული. ზედა კი დაბალია და მისადგომდაც შედარებით ადვილი, ქართლიდან წალკა-თრიალეთისკენ მიმავალი მგზავრი ამ კლდე-

1 „ქართლის ცხოვრება“ ტ. I, გვ. 296, 305.

2 ბ. ორბელიანი, გვ. 145.

3 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 469—471.



კარს ვერ აცდებოდა. აქ კი ბალუაშთა ციხე-დარბაზი არწივის ბუდესაგან მწყობრად
გაკრული კლდეზე და ფხიზლად დარაჯობდა საკუთარ სამფლობელოს.

კლდეკარში ბალუაშთა ნასახლარიდან მცირე ფრაგმენტებია დარჩენილი.
სადღაა ზვიად ბალუაშთა ნასახლეები, მათი მაგარი ციხე, რომლის ალებას ვერ
ბედავდნენ? ესენი ისეთი ქედმაღლები იყვნენ, რომ მეფეებსაც არ ებუებოდნენ.
ამჟამად ზედა გასასვლელის გვერდით შემალღებაზე რომელიღაც სიმაგრის უმნი-
შენელო ნაწილია შერჩენილი.

კლდეკარს მეტად რთული და მშფოთვარე ცხოვრება ჰქონია. აქ ციხის აგება,



კლდეკარის ციხე

მთელი მისი არსებობა და დაქცევაც უშუალოდ ბალუაშთა გვარის აღზევებასთან,
ცენტრალური ხელისუფლებისა თუ მეზობელი ფეოდალების წინააღმდეგ მათ
ბრძოლასთანაა დაკავშირებული.

კლდეკარის ციხის აგებაზე „მატიანე ქართლისას“ ავტორი წერს, რომ „შეი-
ბყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდე-კართა“. ეს აშბა-
ვი მომხდარა IX ს. 70-იან წლებში.¹ კლდეკარის ერისთავები შემდეგში ძალიან
ძლიერდებიან. მათთან ბრძოლების მრავალი შემთხვევიდან ჩვენ აქ ერთს მოვი-
ყვანთ.

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 258.



საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ მეფე ბაგრატ III-ის არ ემორჩილებოდა კლდეკარის ერისთავი რატი, მას კი ერთგვარად მფარველად დავით კურაპალატი. ძლიერი მამობილის წინააღმდეგ წასვლა კი ბაგრატს არ უნდოდა. როდესაც ერთი შემთხვევის შემდეგ დავითმა ნება დართო ბაგრატს ისე ემოქმედნა, როგორც თვითონ ამჯობინებდა, მან დასძრა ჯარი. ციხეში მყოფი რატის წინააღმდეგ ბრძოლა არც ისე ადვილი იყო. მეფემ პირდაპირ შეტევას ხერხით მოქმედება არჩია. იგი თრიალეთიდან ჯერ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ხოლო როდესაც ზამთარი დადგა, მთელი თავისი ჯარით მოულოდნელად თავზე წაადგა რატის. რატი მზად არ იყო დასახვედრად, ამიტომ უბრძოლველად დანებება არჩია. გამოვიდა ციხიდან, თან გამოიყვანა თავისი ძე ლიპარიტი და შეევედრა მეფეს პატივბას. მეფემ ციხე დაიკავა, რატი კი წავიდა არგვეთში.¹

ბრძოლა მეფესა და კლდეკარის ერისთავებს შორის განსაკუთრებით XI ს. 20-იანი წლების ბოლოს გამწვავდა. მან, გარდამავალი უპირატესობით, რამდენიმე ათეულ წელს გასტანა.

პირველ ხანებში კლდეკარის მფლობელი, ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ ლიპარიტის-ძე ბაგრატ IV-ის მხარეს იყო. როცა ბიზანტიის კეისარმა, კონსტანტინემ, დაპყრობის მიზნით 1028 წელს საქართველოში სარდალი პარაკიმანოსი გამოგზავნა ურიცხვი ლაშქრით, ლიპარიტმა შედგარი წინააღმდეგობა გაუწია კლდეკარის ციხესთან მოსულ მტერს და აიძულა უკან გაბრუნებულიყო².

მომდევნო წლებში კი ლიპარიტსა და ბაგრატს შორის განხეთქილება მოხდა. 50-იანი წლების ბოლოს ლიპარიტი ისე გაძლიერდა, რომ თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ბატონ-პატრონი გახდა, უფლისწულის აღზრდაც მისაკუთრა და მცირეწლოვანი გიორგი მეფედ აკურთხა.

კლდეკარის მფლობელ ლიპარიტის ბატონობა არაფრად მოსწონდა სხვა დიდებულებს და განიზრახეს მისი თავიდან მოცილება. სულა კალმახელმა სხვეების დახმარებით შეიპყრო ლიპარიტი და მისი ძე ივანე და მეფეს მიჰგვარა. გახარებულმა მეფემ ურჩი ყმის შემპყრობნი დიდად დაასაჩუქრა. სულამ ლიპარიტს წაართვა ისეთი-მაგარი ციხეები, როგორიც იყო: არტანუჯი, უფლისციხე, ბირთვისი და ყველის ციხე, მაგრამ კლდეკარი თვით მეფის ჯარმაც კი ვერ აიღო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეფემ მეციხოვნეებს აღუთქვა, რომ ლიპარიტსა და ივანეს უფნებლად გაუშვებდა, ციხე დანებდა. მეფემ ციხეში თავისი ჯარი ჩააყენა, ლიპარიტი აიძულა ბერად აღკვეცილიყო, ივანეს კი არგვეთი დაუტოვა³.

დავით აღმაშენებლის გამეფების პირველ ხანებში კლდეკარის ერისთავი ლიპარიტი მეფეს ერთგულეობდა, მაგრამ შემდეგ მას ზურგი შეაქცია. 1094 წელს დავითმა ლიპარიტი შეიპყრო და ორი წლის პატიმრობის შემდეგ საბერძნეთს გადაძევა, კლდეკარის საერისთავო კი გააუქმა. ცხადია, კლდეკარის ციხეც ერთხანს დაკარგავდა თავის ძველ ძლიერებას. იმავე ისტორიკოსის ცნობით, XII საუკუნის დასაწყისში თრიალეთი და კლდეკარი ჭყონდიდელის დისწულს, ვინმე თევდორეს ჭერია.⁴

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 292.

2 იქვე, გვ. 277.

3 იქვე, გვ. 304, 305.

4 იქვე, გვ. 324, 331.




საქართველოს
საზღვრო-საზღვაო

ქვემოთა

ფოტო ნ. კაცხველისა

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՔՈՅՆՈՒԹՅԱՆ



მეტად უსიამოვნო ფაქტის მოწმე გამხდარა კლდეკარის ციხე 1177 წელს.

როგორც ცნობილია, გიორგი III-ს აუჯანყდა ძმისწული დემნა, რომელსაც ბევრმა დიდგვარიანმა დაუჭირა მხარი. მათ შორის მთავარ დასაყრდენს ორბელნი წარმოადგენდნენ. მეფემ დაამარცხა მოწინააღმდეგენი, ხოლო დემნას კი კლდეკარში თვალები ამოსწვეს.¹

მომდევნო საუკუნეებში კლდეკარის ერისთავები უკვე ნაკლებ როლს თამაშობენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რის გამოც კლდეკარი იშვიათად გვხვდება მატრიანთა ფურცლებზე.

ხ უ ლ უ ტ ი ს ციხე მდებარეობს ხრამის (ქციის) ხეობაში, განთქმული ფიტარეთის მონასტრის მიდამოებში. ამ ადგილებში ხეობა მეტად ღრმაა, ტყით დაფარული და ლამაზი. ფიტარეთთან ცოტათი გაშლილია ხეობა, შემდეგ თანდათანობით ვიწროვდება და იქ სადაც ყელი იქმნება, აღმართულია ციხე. ეს ციხე ფაქტიურად ჰკეტავს ხეობას და აქ გავლა მის აუღებლად მტერს არ შეეძლო, ხოლო ციხე ისეთი მტკიცეა, რომ მისი აღება საკმაოდ ძნელი იქნებოდა.

ეს მხარე უკანასკნელ საუკუნეებში ორბელიანების ერთ-ერთ შტოს, ყაფლან-შვილებს ეკუთვნოდათ. აღ. ორბელიანის გადმოცემით, ხულუტის ციხე ყაფლან ორბელიანს აუგია XVII ს. პირველ მესამედში.²

ციხე ძირითადად ორ მონაკვეთადაა გაყოფილი და მათ აერთებს შუაში მდებარე ეზო. თითოეულ მონაკვეთს კოშკები განსაზღვრავს.

ციხის კედლებში დიდი და ბატარა ხუთი კოშკია ჩაქსოვილი. თითოეული მათგანი პირველ რიგში საცხოვრებელია, შემდეგ უკვე თავდაცვითი.

კოშკებში გამოირჩევა ჩრდილო-დასავლეთისა, ფაქტიურად იგი კოშკურად გადაწყვეტილი სასახლეა, რომელსაც მთელ სიმაღლეზე კედელი ჰყოფს. თითოეული ნაწილი დაყოფილია სართულებად, მაგრამ რაკი შენობა ქანობზე დგას. მათი ღონეებიც სხვადასხვაა. გამყოფ სქელ კედელში საფეხურებია მოწყობილი. კოშკის ჩრდილო ნაწილში ექვსი, სამხრეთ ნაწილში კი შვიდი საცხოვრებელი სართულია. ბოლო, ე. ი. მეშვიდე და მერვე სართულები საბრძოლოა, აღჭურვილია ნისკარტა ფორმის სალოდეებით. ზედა, საცხოვრებელ სართულებს დიდი, თითქმის კედლის სიგანის, ფანჯრები აქვს. როგორც წესი, სართული ნათდება ორ-ორი ფანჯრით, მაგრამ არის გამონაკლისი, სადაც იგი სამი ან ოთხიცაა. საჭიროების მიხედვით მოთავსებულია ბუხრები და სამეურნეო დანიშნულების ნიშები.

აღწერილ კოშკს სიდიდით ჩამორჩება სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკი. იგი ბატარაა, მაგრამ კოხტა. მისი ოთხი სართულიდან სამი საცხოვრებელია, მეოთხე კი — საბრძოლო. კოშკი მდინარეს დაჰყურებს საკმაო მაღალი კლდიდან, მასში მოხვედრა შეიძლება აღმართზე მიმავალი გვირაბით, თვით გვირაბში კი — ერთ-ერთი სართულიანი საცხოვრებელი სადგომიდან, რომელიც რთულია და ეტყობა, განმანაწილებლის როლს ასრულებდა. აქედანვე შეიძლება მოხედვით ორ სხვა კოშკში. მდინარეზე ჩამავალ გვირაბში და სხვ. ამ სადგომსა და კოშკს შორის მოთავსებულია მოზრდილი წყალსაცავი. მათ ზემოთ ბანი იყო, კედლებში კი სათოფეებია ჩამწკრივებული.

იქვე, მარცხნივ არსებული, მესამე კოშკი კიდევ უფრო ბატარაა. იგი ძირით

¹ ქართლის ცხოვრება, I; გვ. 367.


² ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-2490-ა.



თადად აღმოსავლეთის კარის მისადგომებს იცავდა. აქვს პატარა კარი, კედლებში მოწყობილია სათოფეები, სარკმელი და ბუხარი.

ჩრდილო-აღმოსავლეთის ცილინდრული კოშკიც ნაწილობრივ შესასვლელს იცავდა. ეზოს სიეწროვის გამო მასში მოხვედრა გაძნელებულია. სამივე სართულზე სათოფეებია განლაგებული, მეორე სართულზე კი სამი სალოდეცაა. ზემოთ სათოფეებით გაწყობილი ქონგურებიანი ბანია. ამ გალავნის საბრძოლო ბილიკებზე გასვლა კოშკის გვერდითა კარებიდან ხდებოდა.

ციხის მეზუთე და უკანასკნელი კოშკი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში. ისიც ნაწილობრივ ციხის მეორე შესასვლელს იცავს. ორ სართულს კამაროვანი გადახურვა აქვს. ზემოთ აქაც სალოდითა და სათოფეებით გაწყობილი ბანია. ციხე ნაგებია მტკიცედ, ადგილობრივი კლდის ქვით.



ქოლაგირი. ციხის აღმოსავლეთის ფასადი

ქოლაგირის ციხე მდებარეობს მდ. ალგეთის მარცხენა მხარეს. აქ ადგილი გაშლილია და მისადგომად ყოველ მხრიდან ერთნაირია. სწორედ ასეთ ადგილზე აშენებდნენ XVIII ს. შუა ხანებიდან დიდ ციხეებს, რომელსაც გალავანს ეძახოდნენ. ქართლ-კახეთში ლეკების თავდასხმა ისეთი ხშირი და მოულოდნელი იყო, რომ მოსახლეობა მთელი სარჩო-საბადებლით სწრაფად უნდა დახიზ-



ნულიყო. ამის გამო სახიზრად დიდი ტევადობის ციხეებს აგებდნენ შიგნით
ში, ან სოფლებს შორის. ასეთ ციხეს ჭიშკარი ჰქონდა, რადგან ტრანსპორტს უნდა
ემოძრავა. ციხე დროებით თავშესაფარს წარმოადგენდა, ამიტომ მას სპეციალუ-
რი გარნიზონი არ ჰყავდა. ციხის დამცველები შეხიზნულთაგან შედგებოდა.

ქართლ-კახეთში აგებულ ამ ტიპის ციხეებიდან ქოლაგირისა ერთ-ერთი უკა-
ნასკნელთაგანია. იგი აგებულია 1788—1798 წლებში დარეჯან დედოფლის მი-
ერ. 1801 წ. თვით დარეჯანი წერდა: „ქოლაგირის დიდი ციხე და გალაგანი ავა-
შენე...“

ამ გალაგნის გეგმა კვადრატულია და ფართობი 2000 კვ. მ. აღემატება. ცი-
ხის კუთხეებში ცილინდრული კოშკები დგას, ხოლო მათ შორის ნახევარწრიული
შვერილებია, რომ თავდასხმის დროს ირგვლივ „მკედარი წერტილები“ არ ყო-
ფილიყო. ამათ გარდა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლების ცენტრებში
თითო სწორკუთხა კოშკია. პირველ მათგანში მთავარი შესასვლელია მოწყობილი.

კუთხის ცილინდრული კოშკები ერთნაირი გადაწყვეტისაა. სამი სართული
საბრძოლო-საცხოვრებელია, ხოლო ბანი მხოლოდ თავდაცვითია, სადაც განლაგე-
ბულია სათოფეები, სალოდეები და საზარბაზნეები.

ქოლაგირის ციხეს ცოტა ხანს მოუხდა ქვეყნის სადარაჯოზე დგომა. XIX ს.
დასაწყისიდან მან სხვა ციხეებთან ერთად დაჰკარგა თავისი ფუნქცია.





ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ძველ ქართლიდან

ცნობილია, რომ ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაც საუკუნეების განმავლობაში გამუდმებით განიცდიდა საქართველოს მრავალრიცხოვანი მტრების თავდასხმას, არა ერთხელ ყოფილა მისი დიდებული ძეგლები დანგრეულ-



სტილის კაპიტელის ფრაგმენტი ბოლნური მედალიონით
ბუჭურაშენის ეკლესიიდან

აოხრებული, მისი აყვავებული ქალაქები და სოფლები ნაქალაქარებად და ნა-სოფლარებად ქცეული, მისი მოსახლეობა ამოკლექილი, მაგრამ ამ კუთხეს დღემ-



«სომთყვარული რელიეფური წარწერის ფრაგმენტი



ქართული
ბიბლიოთეკა



სტელის კაბიტელი საერო პირთა გამოსახულებით

დე შაინც შემოუნახავს მრავალი ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც მისი წარსულის სიდიადესა და მაღალ კულტურაზე ღალატებს. მისი მცირე ტერიტორია მოფენილია უძველესი ნასახლარებით, ყორღანებით, სამაროვნებით, ნაქალაქარებით, ნასოფლარებით, ეკლესიებისა და ტაძრების ნანგრევებით, ციხე-სიმაგრეებით, ეპიგრაფიკული ძეგლებით, საწარმოო კერების ნაშთებით და სხვა.

ის მუშაობა, რომელიც დღეს წარმოებს ქვემო ქართლის ისტორიული ძეგ-



იგივე კაპიტელის ფრაგმენტის მეორე მხარე
ბუჩქურაშენის ეკლესიიდან

ლების შესწავლისათვის, სრულიადაც არ არის საკმარისი და არ შეესაბამება ძეგლების მნიშვნელობას.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ქვემო ქართლი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თავისი ადრეფეოდალური ხანის ძეგლებით. ვინც საქართველოს ამ კუთხეს ცოტად თუ ბევრად იცნობს, მან არ შეიძლება არ გაიზიაროს ცნობილი



ისტორიკოსისა და არქეოლოგის ლევან მუსხელიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „V-VI საუკუნეების ძეგლების ასეთი სიმდიდრე ჯერ არსად სხვაგან საქართველოში არ გვაქვს“-ო.¹

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ რაოდენ მნიშვნელოვანია ის ძეგლები, რომლებიც საქართველოს ამ კუთხეს შეუნახავს, საკმარისია დავასახელოთ ჩვენი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი ძეგლი — ბოლნისის სიონი, რომელიც, როგორც ცნობილია, აშენებულია V საუკუნის ბოლოს². ბოლნისის სიონის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მისი არქიტექტურით, არქაული ქართული ჩუქურთმებით. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებიდან, ჩვენ არ გავგაჩნია ბოლნისის სააღმშენებლო წარწერებზე უძველესი წარწერები. მათ რიცხვს მიეკუთვნება დავით ეპისკოპოსის წარწერა, სააღმშენებლო წარწერა კარის თავზე (ეს წარწერიანი ქვა ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში): აზარუხტის წარწერა მეორე კარის ქვაზე. ეს წარწერები დღესაც წარმოადგენენ ეტალონს ამა თუ იმ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლის სიძველის დასადგენად.

კიდევ უფრო იზრდება ბოლნისის, როგორც ისტორიული ძეგლის მნიშვნელობა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით 1936 წელს ბოლნისის გარშემო ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ხელმძღვანელი ლ. მუსხელიშვილი, კონსულტანტი პროფ. გ. ჩუბინაშვილი) აღმოჩნდა ქვის მრავალი უძველესი მემორიალური ძეგლი (სტელეებისა და ჯვრების ფრაგმენტები), აგრეთვე სტელეები ქართული ასომთავრული წარწერებით.³

ბოლნისის სიონის მახლობლად, ქვემო ბოლნისში მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების აგრეთვე უძველესი ძეგლი — სამეკლესიანი ბაზილიკა (ბოლნის-ქაფანაქი)⁴.


ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ქართულ ხელოვნების ძეგლების გამოვლინებასა და შესწავლაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ლ. მუსხელიშვილს; მან, როგორც დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა, 1936 და 1937 წლებში მიაკვლია აღნიშნული პერიოდის მთელ რივ მანამდე უცნობ ძეგლებს, შეისწავლა ეს ძეგლები და გამოაქვეყნა კვლევის შედეგები თავის „არქეოლოგიურ ექსკურსიებში“⁵. ამ პერიოდის ძეგლებიდან აღსანიშნავია: „ორკარიანი ეკლესია“ ს. უკანგორში მდ. დამბლუტისწყლის ხეობაში (V-VI სს.); სტელის ბაზა თათვარაზის ასომთავრული წარწერით (VI საუკ. დასაწყისი) ამავე სოფლიდან; უძველესი (V-VII სს.) სტელეების ფრაგმენტები ს. უკანგორში, ს. თეკენებში, ს. ზემო ოროზმანში და სხვა.

საქართველოს ამავე კუთხეში ისტორიული გაჩიანის ტერიტორიაზეა (დღევანდელი მარნეულის რაიონი) აღმოჩენილი ქვის დიდი ჯვარი (ზომები: სიმაღ-

1 ლ. მუსხელიშვილი — არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ. 1941 წ. გვ. 82.
2 Г. Н. Чубинашвили — Болнисский Снон, ениშკ-ის მოამბე, I X, თ. 1940 წ.
3 ლ. მუსხელიშვილი — ბოლნისი, ენიშკ-ის მოამბე, III, თბ. 1938 წ. Г. Н. Чубинашвили — დასახ. ნაშრომი, ენიშკ-ის მოამბე, I X, თბ. 1940 წ.
4 Г. Н. Чубинашвили — Церковь близ селения Болнис Кадаккчи, Христ. Вост. Т. У, вып. II ბტვი, 1917.
5 ლ. მუსხელიშვილი — დასახ. ნაშრომი, თბ., 1941 წ.

ლე — 63 სმ. პორიზონტალურად გაშლილი მკლავების სიგრძე — 50 სმ., სის-
 ქე — 10 სმ), რომელზედაც რელიეფურად გამოსახულია ჯვრის ამალღებამქს
 ჯვარი დათარიღებულია VII საუკ¹. ასევე დღევანდელი მარნეულის რაიონშიდანაა
 ბრდაძორის სტელა, რომელსაც დ. მუსხელიშვილი V-VI სს. ათარიღებს².

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი ქართული ხელოვნების, აგრეთვე
 ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხების შესწავლისათვის ის ძეგლები,
 რომელიც აღმოაჩინა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს ისტორიის, არ-
 ქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ არ-




მცირე ეკლესიის გეგმა და კრილი

ქეოლოგ ი. გრძელიშვილის ხელმძღვანელობით, 1959 წელს, ბოლნისის მახლობ-
 ლად, ე. წ. ლამაზ ვორაზე. როგორც ცნობილია, აქ აღმოჩნდა, სამონასტრო ანსამ-
 ბლი, რომლის ძირითადი, პირვანდელი ეკლესია ნახევარწრიულად გარეთ გამო-
 წეული საკურთხეველის აფსიდით, აგებული უნდა იყოს IV-V სს. მიჯნაზე. აქვე

¹ ნიკო ჭუბინაშვილი — Рельеф «Вознесение креста» на каменном кресте на с. Качагани, ქართული ხელოვნება, 6, თბ. 1963 წ.

² ნიკო ჭუბინაშვილი — დასახ. ნაშრომი, გვ. 22-23.

³ იხ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ. 1960წ. გვ. 36.



ოთხწახანაგოვანი ქვა ბოლნური
მედალიონით

1 ქ. ამირანაშვილი — ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ. 1968 წ.

აღმოჩნდა ქვის მემორიალური ძეგლები (სტელების ფრაგმენტები) ასევე მნიშვნელოვანი ქართული რელიეფური წარწერებით, რელიეფური ქანდაკების იშვიათი ნიმუში და შესანიშნავად გამოთლილი ქვის ჯვრები), რომლებიც V-VII სს. არის დათარიღებული.¹

ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი ძეგლის მნიშვნელობა სათანადოდ არის გასუქებული შემოხსენებულ თუ სხვა ნაშრომებში.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, როგორც დავინახეთ, მნიშვნელოვანი რაოდენობითაა გამოვლენილი ადრეფეოდალური ხანის ძეგლები, მაინც ჯერ კიდევ მეცნიერებისათვის უცნობია ამ ხანის არა ერთი და ორი ძეგლი. ამ მოსაზრებას კარგად ადასტურებს დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა. თუმცა აღნიშნული ექსპედიციის ძირითადი მიზანი და სამუშაო ნაქალაქარ დმანისის შესწავლაა, მაგრამ ექსპედიცია აგრძელებს იმ ტრადიციას, რომელიც ამ ექსპედიციის პირველმა ხელმძღვანელმა ლ. მუსხელიშვილმა დაიწყო და რომელიც გამოიხატება დმანისთან ახლომდებარე ძეგლების დაზვერვასა, ფიქსირებასა და შესწავლაში. მოკლევადიანი არქეოლოგიური ექსკურსიების შედეგად, დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ამ ბოლო წლებში მიაკვლია ადრეფეოდალური ხანის ახალ, აქამდე უცნობ ძეგლებს, რომელთაც მცირე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეთ როგორც ქართული ხელოვნების, ისე, საზოგადოდ, საქართველოს ისტორიისათვისაც. ამ მოკლე წერილში შეუძლებელია წარმოვადგინოთ ყველა ახლად აღმოჩენილი ძეგლი და, ამიტომ მკითხველს მივუწვდით მოკლე ინფორმაციას ზოგიერთი მათგანის შესახებ.



სხვა ძეგლებზე ადრე დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1964 წელს სოფ. კაზრეთიდან ჩრდ.-დასავლეთით 2 კმ. მანძილზე. ტყით დაფარულ

ფერდობზე აღმოაჩინა მცირე ეკლესიის ნანგრევები.¹ ეკლესიას პერანგი სულ შემოძარცული ჰქონდა და სანახევროდ მიწაში იყო ჩამყდარი ისე, რომ ეკლესიაში შესასვლელად აუცილებელი იყო დახრა. სწორედ ამ ეკლესიაში აღმოჩნდა იმ სტელის ბაზის ორი ნახევარი, რომელზედაც შერჩენილი იყო ბერძნული წარწერა. ბაზის ორ მოპირდაპირე წახნაგზე, ფონის ამოკვეთის ხერხით რელიეფურად გამოსახულია არატოლმკლავებიანი ჯვარი, რომლის ორსავე გვერდზე მოჩუქურთმებული სვეტებია აღმართული, ხოლო სვეტებს ზემოდ კამარა გადადის. კამარის ორსავე მხარეს შესრულებულია რელიეფური ბერძნული წარწერა, რომელიც, ჩვენი თხოვნით, სპეციალურად შეისწავლა პროფ. თ. ყაუხჩიშვილმა და გამოაქვეყნა კიდევ 1967 წელს.² ეს წარწერა ასეა გაშიფრული:

„სალოცველად სიმეონისა და აელიანოსისა ყოვლითა მათითა სახლითურთ. უფალო შეეწიე თეოდორეს“. პალეოგრაფიული და ენობრივი ანალიზის საფუძველზე თ. ყაუხჩიშვილი წარწერას VII-IX სს. ათარილებს. საინტერესოა, რომ ამ ბაზის ორ დანარჩენ მოპირდაპირე წახნაგზე რელიეფურად გამოსახულია ტიპიური ბოლნური მედალიონები.

უთუოდ საყურადღებო ფაქტია ის, რომ ამ ეკლესიასა და მის უშუალო სიახლოვეს აღმოჩნდა ქართული უძველესი მემორიალური ძეგლების ფრაგმენტები — სტელების კაპიტელები, რომელთა წახნაგებზე, ფონის ამოკვეთის ხერხით შესრულებულია რელიეფური ბოლნური მედალიონები, რომლებიც წარმოადგენენ ტოლმკლავებიან ჯვარს, ჩასმულს ცერადკვეთილი სამკუთხედებისაგან შედგენილ წრიულ ჩარჩოში. მედალიონებს ზვეით ვხედავთ ამ პერიოდისათვის მეტად დამახასიათებელ მოტივს — მაროსავით გაშლილ სამ-



სტელის ფრაგმენტი მოლდოვი მედალიონებით

¹ ამ ადგილს ადგილობრივი მცხოვრებლების სიტყვით „ბუჩერაშენი“ ან „ბუჩერანი“ ეწოდება.

² თ. ყაუხჩიშვილი — კაზრეთის ბერძნული წარწერა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVII — B, თბ., 1967 წ. გვ. 152—165.



ფურცლოვან ყვავილებს. ყვავილებს შორისი უბეები შევსებულია აგრეთვე დაზარალებული ხასათებელი პაწია „ნაძვებით“. კაპიტელების დანარჩენ წახნაგებზე — გვხვდებით ასეთივე ხელოვნებითა და ტექნიკით შესრულებული ნახევარპალმები, იქვე ფურცლოვანი ვარდულები და სხვა.



სტელის ფრაგმენტი — ეაზის მოტივით

ეს კაპიტელები, მათი არქაული მხატვრული მოტივები, განსაკუთრებით კი ბოლნური მედალიონი და ამ მედალიონის ორსავე მხარეს აზიდული მცენარეული მოტივები, რომლებიც მთავრდება სამფურცლოვანი ყვავილებით, პირდაპირ მსგავსებას ამჟღავნებენ ბოლნისის სიონის მხატვრული შემკულობის შესაბამის მოტივებთან.

ქართული ხელოვნების უძველესი ძეგლების მთელი კომპლექსი აღმოაჩინა დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მდ. დამბლუტისწყლის (მდ. მაშავერას მარჯვენა შენაკადი) ხეობაში სოფ. უკანგორის მახლობლად.

ჯერ კიდევ 1964 წელს ექსპედიციის ყურადღება მიიქცია მოყავისფრო ოთხწახნაგა დიდმა ქვამ (ზომები: 1,5×0,55×0,4 მ), რომლის ერთ წახნაგზე რელიეფურად გამოსახული იყო კლასიკური ბოლნური მედალიონი, რომელსაც ზევით, ქვის სივანეზე გასდევდა მცენარეული მოტივის ფართე არშია.

როგორც ცნობილია, მედალიონს ეწოდება ბოლნური იმიტომ, რომ პირველად გვხვდება ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უძველეს ძეგლზე — ბოლნისის სიონზე, რომელიც ზუსტად არის დათარიღებული 478—493 წ. წ., აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი სახელწოდება პირობითია, რამდენადაც ამგვარი მედალიონი გვხვდება არა მარტო ბოლნისში, არამედ საქართველოს მრავალ სხვა პუნქტში. დიდად იყო გავრცელებული ასეთი მედალიონი ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ქვის მემორიალურ ძეგლებზეც.

ბოლნისის მედალიონი წარმოადგენს ტომკლავებიან ჯვარს, რომლის მკლავების შეზნექილი კიდეები მნიშვნელოვნადაა გაფართოვებული ბოლოებში. მკლავებს გულები ამოღებული

აქვთ ცერადკვეთის ხერხით. ჯვარი ჩასმულია კონცენტრულ წრეებში, რომელთა შორის არსებული სივრცე, ჩვეულებრივ, შევსებულია პატარა სამკუთხედებით ან სამფურცლოვანი ყვავილებით.

ასეთი მედალიონის ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენენ ის მედალიონები, რომლებიც მოთავსებულია, ერთ შემთხვევაში დავით ებისკოპოსის სააღმშენებლო წარწერის ცენტრში, ბოლნისის სიონის აღმოსავლეთ ფასადზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, იმ სააღმშენებლო წარწერის ზემოთ, რომელიც მოთავსებული იყო ჩრდილოეთის სტოადან ბაზილიკაში შესასვლელი კარის თავზე.

როგორც წარწერის, ისე მედალიონის გამოქანდაკების დროს, შემსრულებელის მიერ ფონი მთლიანად ამოკვეთილია, რის შედეგადაც ასოები და მედალიონი ამოწეულია, რელიეფურია, მაგრამ ისინი ქვის საერთო ზედაპირის დონეს არ სცილდებიან. ქვაზე ჭრის ასეთი ტექნიკა დამახასიათებელია აღნიშნული პერიოდის საქართველოს ქვის მემორიალური ძეგლებისთვისაც.

ჩვენ სპეციალურად შევჩერდით ბოლნისის მედალიონზე იმიტომ, რომ ეს მედალიონი, ისე როგორც ბოლნისის სიონის შემკულობის ზოგიერთი სხვა მხატვრული მოტივი, წარმოადგენს ზუსტად დათარიღებულ მოტივს, ზემოხსენებული სააღმშენებლო წარწერების წყალობით. აგრეთვე იმის შედეგად, რომ ბოლნისის სიონი ღრმად და ყოველმხრივ არის შესწავლილი ისეთი დიდი მეცნიერის მიერ, როგორც არის აკად. გ. ჩუბინაშვილი.¹ თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბოლნისის მედალიონი წარმოადგენს ქვის მემორიალური ძეგლების შემკულობის განსაკუთრებით გავრცელებულ მოტივს, მაშინ ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორი მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას აღნიშნული ძეგლების შესწავლისა და დათარიღებისათვის.

ზემოხსენებულ ადგილას დაწყებულმა გათხრამ აღმოაჩინა არა მარტო სამაროვანი, არამედ მცირე ეკლესიის ნანგრევებიც. ეკლესია აშენებული ყოფილა ბოლნისის მწვანე ქვის კარგად გათლილი სხვადასხვა ზომის კვადრებით (ზომები: $0,59 \times 0,65 \times 0,27$ მეტ.; $1,15 \times 0,57 \times 0,30$ მეტ.; $0,85 \times 0,39 \times 0,29$ მ. და ა. შ.). კედლების ქვები გათლილია როგორც შიდა მხრიდან, ისე გარედან და კარგადაა ერთმანეთთან მორგებული. კედლების სისქე უდრის $1,18 - 1,20$ მეტ. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია ძლიერ დანგრეულია (ჩრდ. კედლიდან შერჩენილია ქვების 1-2 წყობა; სამხრეთის კედლიდან — 4-5 წყობა, დასავლეთის — აგრეთვე 4-5 წყობა და აღმოსავლეთის — 6 წყობა), ნანგრევების მიხედვით მაინც კარგად იკითხება ეკლესიის გეგმა.

ეკლესია წარმოადგენს მცირე ზომის სწორკუთხოვან ნაგებობას, რომელიც წაგრძელებულია დასავლეთიდან—აღმოსავლეთისაკენ (ზომები $8,30 \times 4,65$ მეტ.). მისი საკურთხეველის აბსიდა წინ არის გამოწეული ნახევარწრიულად. ეკლესიას ორი კარი ჰქონია — დასავლეთისა და სამხრეთისა (სიგანე — $0,8$ მ.) უნდა ვიფიქროთ, რომ ეკლესიას სინათლისათვის გააჩნდა სარკმლები, ყოველ შემთხვევაში საკურთხეველის აბსიდაში მაინც. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ეკლესიის უშუალო სიახლოვეს, მიწის ზედაპირზე აღმოჩნდა კარგად გათლილი დიდი ნახევარწრიული ქვა (ზომები $1,32 \times 0,75 \times 0,31$ მეტ.) და ეტყობა წარმოადგენდა სარკმლის თალის ქვას (თალის სიგანე — $0,70$ მ.). ქვა სრულიად გლუვია. დასასრულ აღსანიშნავია, რომ ეკლესია ზუსტად აღმოსავლეთისაკენ არაა ორიენტირებული.

ეკლესიის შიდა ნაწილის გასუფთავებამ მეტად მდიდარი მასალა შეგვიძი-

¹ Г. Н. Чубинашвили — დასახ. ნაშრომი, აგრეთვე ლ. მუსხელიშვილის დასახ. ნაშრომი.



ნა; უშუალოდ საკურთხეველის წინ, იატაკის დონეზე აღმოჩნდა ძველი, კოჭნაძის ტული მოტივებით მდიდრულად მოჩუქურთმებული ქვის სტელეებისა და ჯვრების 50-ზე მეტი ფრაგმენტი. აღნიშნული ძეგლებიდან 7 წარმოადგენს სტელეების ორი ბაზის ფრაგმენტებს, რომლებზედაც შერჩენილია ძველი ქართული წარწერები; 8 ფრაგმენტი წარმოადგენს სტელეების კაპიტელების ნაწილებს საერო პირთა, აგრეთვე ცხოველებისა და მცენარეული მოტივების რელიეფური გამოსახულებებით. განსაკუთრებით საინტერესოა შემოსხენებული ორი ბაზის ფრაგმენტები ძველი ქართული ასომთავრული წარწერით.

ადგილობრივი წითელი ტუფისაგან გამოთლილი დიდი ბაზის (ზომები: $0,75 \times 0,75 \times 0,67$ მ.) მარცხენა გვერდზე შერჩენილია ამოჭრის ხერხით შესრულებული სამსტრიქონიანი წარწერა, რომელშიაც ლაპარაკია ჯვრის აღმართვაზე: წარწერის ქვემოთ, სწორკუთხოვან „ჩარჩოში“ (რომელიც აგრეთვე, ფონის ამოკვეთით არის შესრულებული), ცენტრში გამოსახულია სიცოცხლის ხე. ხოლო მის ორსავე მხარეს ორი ვერძი ერთმანეთის პირდაპირ (ერთი მათგანის მხოლოდ მცირე ნაწილიღაა შერჩენილი), არანაკლებ საინტერესოა ბაზის წინა გვერდი, რომელზედაც რელიეფურად გამოსახულია დიდი ბოლნური მედალიონი. ჯვარი ჩასმულია კონცენტრულ წრეებში, რომელთა შორის სივრცე შევსებულია დამახასიათებელი სამხურცლოვანი ყვავილებით. მედალიონის ორივე მხარეს თანაბრად მიიმართებიან ზევით მაზღვიზმის საღმრთო თავსაკრავის ბაფთები ე. წ. Kosti მეფობისა ან ღვთაებრიობის სიმბოლო.¹ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზედმიწევნით ასეთსავე ბაფთებს ვხვდავთ ბოლნისის სიონის სამხრეთის კარიბჭის დასაჯღელის კაპიტელზე.² მედალიონს ზემოთ, ბაზის მთელ სიგანეზე ამოკვეთილია ორი პარალელური ზოლი, რომელთა შორის სივრცე შევსებულია ცერადკვეთილი პატარა სამკუთხედების ჯაჭვით.

მეორე, მცირე ბაზა (ზომა — $0,49 \times 0,41 \times 0,41$ მ), რომელიც მომწვანო ქვისაგან არის გათლილი, შედგება 5 ნატეხისაგან. ბაზას, როგორც ეტყობა, უნდა ჰქონოდა 13-14 სტრიქონიანი რელიეფური ასომთავრული წარწერა, რომლიდანაც შერჩენილია 8 სტრიქონი (ნაწილობრივ) და მეცხრეს კვალი. წარწერა ძველად დაზიანებული, მაგრამ ნაწილობრივ გაშიფრვის შედეგად მაინც ირკვევა, რომ ამ შემთხვევაშიც ლაპარაკია ჯვრის აღმართვაზე.

ქვის მემორიალური ძეგლების დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს ჯვრებისა და სტელეების ფრაგმენტებს.

როგორც ცნობილია, ქვის დიდი ჯვრები გამოთლილი კონტურების მიხედვით, სტელეების პარალელურად, წარმოადგენენ მემორიალური ქვის ძეგლების დამოუკიდებელ ჯგუფს. ჯვრები თავისი გლუვი, წაგრძელებული ბოლოთი ისევე იდგმოდა ქვის ბაზებში, როგორც სტელეები. ჯვრების პირი მდიდრულად იყო შემკული რელიეფური მცენარეული მოტივებით, პარალელური ღრმა ღარებით, ცერადკვეთილი სამკუთხედებით და სხვა მოტივებით. ისინი წარმოადგენენ ადრეფეოდალური ხანის ქართული ხელოვნების განსაკუთრებით ორიგინალურ მხატვრულ ძეგლებს და კარგად არიან ცნობილი უმთავრესად ბოლნისის ნიმუშების მიხედვით.

¹ ЧУБНИНАШИВИ Г. Н. დასახ. ნაშრომი, ენიშნის „მოამბე“ ტ. IX, თბ. 1940, გვ. 167.

² იქვე, ტაბ. 5.



სტელის ბაზის წიხაპირი ბოლხური მედალიონით და მარჯვენა მხარის საღმრთო ბაფთებით



სტელის ბაზა სამსტრიკონიანი ასომთავრული წარწერით ვერძების
გამოსახულებით, სიცოცხლის ხესთან



ასეთი ჯვრების ფრაგმენტები, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ, აღმოჩნდა ეკლესიაშიც. ჯვრების ეს ფრაგმენტები ბოლნური ქვის ჯვრების მსგავსად შემკულია პარალელური ღარებით, სამფურცლოვანი ყვავილებით ღეროზე და უშუალო მსგავსებას იჩენენ ბოლნურ ჯვრებთან, რომლებიც დათარიღებულია V, VI და VII — საუკუნეებით.¹

ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ ქვის სტელების ფრაგმენტები, რომლებიც წარმოადგენდნენ ოთხწახნაგოვან ქვის სვეტებს (ზოგჯერ მათი სიმაღლე 5-6 მეტ. აღწევდა) შემკულს სხვადასხვაგვარი მხატვრული მოტივებით. ასეთი სტელები იდგმოდა ქვისაგან გამოთლილი შესაბამისი სიდიდის ბაზებში.

მდ. დამბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესიის გაწმენდის დროს აღმოჩენილი სტელების ფრაგმენტები სხვადასხვა ზომისაა. სტელები შემკულია სხვადასხვაგვარი რელიეფური მხატვრული მოტივებით. ასეთია მაგ. სტელები შემკული ბუნზე დადგმული რელიეფური ბოლნური მედალიონით, მედალიონის ბუნის, თავის მხრივ შედგმულია ჩვეულებრივად 3-4 ხარისხიან კვარცხლბეკზე. მედალიონის ქვეშ, ორივე მხრიდან ზევით არის აწიღული ღამაში ნახევარპალმეტი, ხოლო კვარცხლბეკის ხარისხები პორიზონტალურ სიბრტყეში შემკულია პატარა სამკუთხედებით ან სამფურცლოვანი ყვავილებით. უბეები, ყვავილებს შორის შეესებოდა პატარა „ნაძვის ხეებით“. ასეთი კომპოზიცია ჩვენს ფრაგმენტზე ორჯერ მეორდება ვერტიკალურ სიბრტყეში.

ზუსტად ასეთსავე კომპოზიციას ჩვენ ვხედავთ, ერთის მხრივ, იმ სტელების ფრაგმენტებზე, რომლებიც აღმოჩენილია ბოლნისში,² ს. თეკენებში³. აგრეთვე რიგ სხვა პუნქტში. მეტად გავრცელებული ჩანს ვაზის რტოს მოტივი. ამ ჯგუფის სტელების ფრაგმენტებზე ვაზის რტო თავისი მტევნებით, ფოთლებითა და ე. წ. უღვაშებით გამოსახულია რელიეფური ზიგზაგებით.

ბუნებრივია, ძეგლების ამ ჯგუფს მიეკუთვნება სტელების კაპიტელები საერო პირების, მცენარეული და გეომეტრიული მოტივების, აგრეთვე ცხოველების რელიეფური გამოსახულებებით. კაპიტელების ასეთი ფრაგმენტები პირველად აღმოაჩინა ჩვენმა ექსპედიციამ და შექვევლია დიდად საინტერესოა მცნინერულად. ეს ინტერესი იმითაც ძლიერდება, რომ საერო პირები კაპიტელებზე გამოსახულნი არიან იმ დროისათვის დამახასიათებელ ტანსაცმელში.

მიუხედავად კაპიტელების შემკულობის თავისებურებისა, ჩვენ აქაც ვამჩნევთ ქვის ძეგლების შემკულობისათვის დამახასიათებელ არქაულ მოტივებს როგორცაა, მაგ — ცერადკვეთილი პატარა სამკუთხედების ჯაჭვი, სამფურცლოვანი ყვავილები, ბოლნისის სიონის შემკულობის ტიპის მცენარეული მოტივები.

სტელების ზემოჩამოთვლილი ორნამენტული მოტივები — ბოლნური მედალიონი, აყვავებული ჯვრის გამოსახულება, სამკუთხედები, სამფურცლოვანი ყვავილები, ვაზის ყლორტის მოტივები პირდაპირ მსგავსებას იჩენენ, როგორც თვით ბოლნისის სიონის ორნამენტულ მოტივებთან, ისე მის კედლების წყობასა და სიონის ეზოში აღმოჩენილ სტელების ფრაგმენტებთან.⁴

¹ Чубинашвили Г. Н. — დასახ. ნაშრომი, ენიშკა-ს მოამბე, ტ. IX, გვ. 95—101.

² Чубинашвили Г. Н. — დასახ. ნაშრომი ენიშკა-ს მოამბეში, გვ. 92, სურ. 59.

³ მუსხელიშვილი ლ. არქეოლოგიური ექსკურსიები, გვ. 38, ტაბ. VIII, სურ. 15 და 16.

⁴ Чубинашвили Г. Н. — დასახ. ნაშრომი, ბოლნური მედალიონები სადღმწმენბლო წარწერებში გვ. 64, 69; სტელები გვ. 87, სურ. 52 და 53, გვ. 92, სურ. 59, გვ. 102, სურ. 75 და 76.



აკად. გ. ჩუბინაშვილი ზემოაღნიშნული ტიპის სტელების ფრაგმენტებს მიეკუთვნება „უძველეს ეპოქას ე. ი. დროს ბოლნისის სიონის დაარსებიდან მოყოლებული და გათავებული VII-IX სს.¹ ეს ფრაგმენტები კიდევ უფრო მეტ მსგავსებას ამტკიცებენ ს. ს. უკანგორის, ოროზმანის და განსაკუთრებით კი თეკენების ფრაგმენტებთან, რომელთაც ლ. მუსხელიშვილი ათარილებს V-VI სს.²

ასევე ათარილებს ჯუანშერ ამირანაშვილი იმ სტელებს ბოლნური მედალიონების რელიეფური გამოსახულებით, რომლებიც აღმოაჩინა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბოლნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, 1959 წელს, ბოლნისის სიონის მახლობლად. ე. წ. ლამაზ გორაზე.³

დიდი მნიშვნელობა აქვთ წარწერებს; როგორც უკვე იყო ზევით აღნიშნული, წარწერების ფრაგმენტები შერჩენილია სტელების ორ ბაზაზე ძლიერ დაზიანებული სახით. მიუხედავად იმისა, რომ წარწერები, ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გაშიფრული, ადამიანს თვალში ეცემა დათარიღებისათვის მნიშვნელოვანი ასოების „ბ“-ის „ვ“-ესა და „შ“-ის უძველესი მოხაზულობა; დასახელებულ ასოებს მცირე ბაზის წარწერაში თავები შეკრული აქვთ, ისევე, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ ცნობილ ქართულ უძველეს წარწერებში და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბოლნისის სიონის წარწერებში. ზემოდასახელებულ ასოთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასო „ბ“-ის მოხაზულობას, რომელსაც VII საუკ. დასაწყისის ძეგლის — მცხეთის ჯვარის წარწერებში, თავი ოდნავ გახსნილი აქვს.⁴ მასასადამე, მცირე ბაზის ქართული წარწერები თამამად შეიძლება დავათარილოთ V-VI სს. დასაწყისით.

ზემოხსენებულ ეკლესიაში აღმოჩენილი ქვის მემორიალური ძეგლების მთელი კომპლექსისა და, აგრეთვე მდიდარი შედარებითი მასალის (ბოლნისის, უკანგორის, ოროზმანის, თეკენებისა და სხვა ბუნქტებიდან) წინასწარი შესწავლა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამ ძეგლების ძირითადი ნაწილი შეიძლება დავათარილოთ V-VII სს. დასაწყისით.

ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს თვით ეკლესიის შესწავლაც; უჩვეულოდ სქელი კედლები (სიგანე, 1,18 — 1,20 მეტ.) აშენებული კარგად გამოთლილი დიდი კვადრებით; აღმოსავლეთის ფსადის აფსიდა ნახევარწრიულად გარეთ გამოწეული; ყოველგვარი დეკორატიული შემკულობის უქონლობა; არასწორი ორიენტაცია, ამ ეკლესიის მსგავსება ქართული არქიტექტურის ზოგიერთ ძველ ძეგლთან, აგრეთვე უძველესი მემორიალური ძეგლების აღმოჩენა ეკლესიის შიგნით, საფუძველს გვაძლევს დავათარილოთ აღნიშნული მცირე ეკლესია V-VI სს. ამგვარად, ძველქართული წარწერები სტელების ბაზებზე, ეკლესიის არქიტექტურა, ქვის მემორიალური ჯვრებისა და სტელების არქაული ორნამენტული მოტი-

1 Чубинашвили Г. Н. — იქვე, გვ. 86.
2 მუსხელიშვილი ლ. — არქეოლოგიური ექსპურსიები... ტაბ. III, სურ. 4; ტაბ. VIII, სურ. 15 და 16; ტაბ. IV, სურ. 29.
3 ამირანაშვილი ვ. დასახ. ნაშრომი, გვ. 34-36.
4 ი. ჯავახიშვილი — ქართულ დამწერლობათმცოდნეობა — ანუ პალეოგრაფია, თბ. 1926, გვ. 179.



გეზი, ჩვენ ვფიქრობთ, სრულ თანხმობაშია ერთმანეთთან დათარიღების საქითხში.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ ამ ძეგლების შესწავლა ჯერ არ დამთავრებულა; მიმდინარე წელს დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია განაგრძობს გათხრებს ზემოხსენებული მცირე ეკლესიის გარშემო. მოსალოდნელია გათხრებმა შეგვიძინოს ახალი საგულისხმო მასალა, რომელიც ხელს შეგვიწყობს ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის დაზუსტებაში, მათ შორის თარიღის დაზუსტებაში.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ზემოხსენებულ ეკლესიაში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი და დიდად მნიშვნელოვანი მემორიალური ძეგლები ჩამოიტანა თბილისში და დასაცავად ჩააბარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

ისტორიის ძვის ფურცლები

ხალხური ხელოვნების საინტერესო დარგს წარმოადგენს საფლავის ქვები ან, როგორც მას უწოდებენ ლოდები. „ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს“... და სხვა; მიმართავს მკითხველს განსვენებული და შენდობას გამოთხოვს.

საფლავის ქვები საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებლების მიერ გამოიყენებოდა ქრისტიანობის წინა პერიოდიდან დღემდე და დღესაც კი, იგი ხმარებაშია.

ძირითადად მისი ფორმა ბრტყელია, მოგრძო ოთხკუთხედი. მისი ზომები ყვე-



საფლავის ქვა — უბრალო მოლაშქრის საფლავის ლოდი

ლა ცალკე შემთხვევაში სხვადასხვაა. ბავშვისა — პატარა, დიდისა — დიდი. არის კუბის ფორმის საფლავის ქვები, რომლებსაც ქვაკუბოებს უწოდებენ.

როგორც წესი, საფლავის ქვებს წარწერები — ეპიტაფიები გააჩნია¹, მაგრამ გვაქვს უწარწეროებიც, რომლებზეც სხვადასხვა შინაარსის მქონე კომპოზიციები ამოკოდილი. გარდა ამისა, ხშირია ცხერის ან ცხენის ფორმის საფლავის ქვებიც. უმეტეს შემთხვევაში ცხენი შეკაზმულია და ზედ მხედრის იარაღებია ამო-

¹ ვ. ლომთათიძე. საფლავის ქვათა დადასისი. დროის № 4-5. 1969 წ. თბილისი.



კოდილი. ასევეა ცხვრებზეც. ზედ ამოკოდილია მიცვალებული, ხმალ-ხანჯალი და მბაჩა და, რაც მთავარია, დუქარდი (ცხვრის საპარსი მაკრატელი). ეს უკანასკნელი კი მიგვიითითებს მიცვალებულის საქმიანობაზე — მეცხვარე ყოფილა.

თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ქვემო ქართლის სოფლების: ახალ-სოფლისა და გონნარის (თეთრიწყაროს რაიონი) სასაფლაოებზე შემორჩენილ უწარწერო საფლავის ქვებზე.



საფლავის ლოდი ორნამენტული შემკულობით

საფლავის ქვები ეკლესიების (XI ს) ირგვლივაა მოფენილი. ისინი გამოთლილია ბაზალტისა და ანდეზიტისაგან, რომლებსაც ხალხში ალგეთის ქვას უწოდებენ.

მათი პირველივე გაცნობა მნახველში დიდ ინტერესს იწვევს. აქ ერთად არიან დაკრძალულნი მეომრები და მიწის მუშაკნი, გვაროვანნი და უგვარონი.

აქ არ იგრძნობა საზოგადოებრივი დიფერენციაცია, რაც ეგზომ დამახასია-



თებელი იყო ევროპულ ფეოდალიზმისათვის. ლოდები დიდრონი და მკვეთრი დაკუთხილი და დიდი ოსტატობით ნაკოდნი, არის მომცრონიც, ნაკლები ოსტატობით შესრულებულნი, რაც დამკვეთის მატერიალურ შესაძლებლობაზე მიგვიჩვენებს.

არაჩვეულებრივი ოსტატობით და მაღალი მხატვრული გემოვნებით სწყვეტს ქვითხუროთ თითოეული ლოდის მხატვრულ კომპოზიციას. იგი არასოდეს არ არღვევს ქვის მთლიანობას, მის მონუმენტულობას. დამოსახლარა მხატვრული სახე-




მწყემსის საფლავის ლოდი

ობა მხოლოდ შინაარსს აძლევს მას და ქვის სიმტკიცეს თითქოს უფრო აძლიერებს.

ოსტატი ლაკონური ხერხებით საესებით სძლევს დასმული ამოცანის გადაწყვეტას. მაგალითად, მეომრებისა და წარჩინებულთა საფლავის ლოდები, როგორც ჩანს, განსვენებულის საზოგადოებრივი და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით კეთდებოდა. ლოდი კარგად დაკუთხილ ფილას წარმოადგენს,



რომელზედაც დიდი ოსტატობითა და მაღალი მხატვრული ალღოთი გამოხატუ-
ლია მეომრის მკლავი გამართული მშვილდით. ილღის ქვეშ, ლოდის
გასწვრივ სწორე დაშნაა მოთავსებული, ხოლო შვილდსა და დაშნას შორის მძი-
მე ფრთიანი ლახტია. გარდა ამისა, ორი, სამი და მეტიც ნახევარ ბირთვებია
განლაგებული, რომლებიც ავსებენ ე. წ. ცარიელ ადგილებს და მთელ კომპოზი-
ციას წერტილს უსვამენ. არ ვიცი ეს ბირთვები რას ნიშნავენ, მაგრამ ყველა ლო-
დის სამკაულის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენენ.



გლების საფლავის ლოდი

ერთ ასეთსავე კომპოზიციაში მხარის მახლობლად ბირთვია მოთავსებული,
რომელსაც ნალარები გააჩნია და გრებილი წნული ორნამენტი უვლის. აქვე
მკლავზე კარგადა ჩანს სამკლაური, რომელიც მიგვიითიებს მიცვალებულის მა-
ღალ წოდებრივ და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. ცოტა განსხვავებით ასე-
თი ლოდი მეორეცაა. აქ მხოლოდ სამკლაური ნიშანი ჩანს. მეომართა სხვა ლო-
დები შედარებით ნაკლები ოსტატობითაა შესრულებული. შეიძლება ითქვას, რომ



მეომრებისათვის დაახლოვებით ერთი სქემით — თარგით კეთდებოდა საფლავის ქვა. ეს იმითაც მტკიცდება, რომ ერთ საფლავის ქვაზე მეომრის მშვილდისა და მკლავი შებრუნებითაა, იდაყვით მალაა გამოხატული და გამოკოდილი.

სხვა არის მშრომელ მოლაშქრეთა საფლავის ქვები. აქ უბრალოდ გათლილ ქვაზე, რომელსაც ნაპირები ვათლი და დაკუთხული არა აქვს, ტრადიციულად მშვილდამართული მკლავის გარდა კომპალი ან მწყემსური კავიანი ჯოხიცაა გამოხატული, რაც მივითითებს მეომრის ყოველდღიურ საქმიანობაზე და იმ საზოგადოებრივ ფენაზე, რომელსაც იგი ეკუთვნოდა — გლეხობაზე. ამ ლოდებზეცაა ტრადიციული თუ სიმბოლური ნახევარ ბირთვები მოთავსებული.

მეომრის საფლავზე ჩაქუჩის მაგვარი იარაღიცაა გამოსახული. სწორი დაშენის გარდა მრუდ ხმალიცა ვაქვს. ფრთიან ლახტს, მძიმე სახელურიანი იარაღი სკვლის ვფიქრობ, ლახტის მაგვარი ან მისი შემცველი უნდა ყოფილიყო ჩვენს წინაა IX და მისი შემდგომი საუკუნეების ფეოდალურ ზედა ფენების საბრძოლო აღჭურვილობის სრული სურათი.

ამ საფლავების ხილვისას იზადება ისეთი გრძნობა, თითქოს სამშობლოს დამცველებს სიკვდილის შემდეგ იარაღი არ დაუყრიათ, საფლავიდან ამოუყვიათ მშვილდ ამართული მარჯვენა და ყველა საბრძოლო იარაღით მზად არიან ხელახლა შეებან მომხდურ მტერს, რომელიც არც თუ ცოტა ჰყავდა საქართველოს, მით უმეტეს, ქვემო ქართლს.

განსაკუთრებით საინტერესოა სწორი კეტები, რომლებსაც თავზე ლითონის სიმძამები აქვთ გაკეთებული. ასეთები რამდენიმე სახისა გვხვდება და ყოველთვის ლოდზე თავით დაბლაა გამოსახული. შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს საბრძოლო კეტია რკინით მოჭედილი თავით. მით უმეტეს, რომ მშვილდთან ერთად მეომრის შეჭურვილობაში შედის. მაგრამ იგივე კეტი ზოგიერთ საფლავის ქვაზე მარტოა გამოსახული. იგი ფილის ზედაპირზე, მეტწილად შუაშია მოთავსებული და მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ტექნიკური შესრულების სრულყოფით, ისე მხატვრულ-კომპოზიციური მოთავსებით.

გვაქვს ასეთი შემთხვევაც, როცა ფილას კამარისებური ჩარჩო აქვს და ჩარჩოს შიგნით, შუაში ოდნავ ირიზად ჯვრის სახედ გამოსახულია დაშნა და ფილის ნაპირას კი თავმოჭედილი კეტი.

თუ ქვის დამუშავებას მივაქცევთ ყურადღებას, დავინახავთ, რომ ამის გამოხატული და გამოკოდებული გამოციდილი და დიდი ოსტატია. ვფიქრობთ, რომ დიდი უფლების მქონე პირისათვისაა ლოდად დადგმული.

იზადება კითხვა — ეს საბრძოლო კეტია თუ კვერთხი? რაიმე ძალაუფლების ნიშანი? მე უფრო ამ უკანასკნელისაკენ ვიხრები.

აშკარად ასეთივე უფლებამოსილების ნიშანი უნდა იყოს ყავარჯნის გამოხატულება საფლავის ლოდზე. კამარაში, მოცემულია შუაში ყავარჯენი, აქეთიქით ნახევარ ბირთვები და რალაც დისკო — ალბად ბური.

ეს საფლავის ლოდები დიდი ოსტატობით არის გათლილი და ბრწყინვალე კომპოზიციითაა წარმოდგენილი.

ძნელია თქმა, ვინ უნდა იყოს აქ დაკრძალული, მაგრამ ხალხის უხუცეს, თემის თუ სოფლის ბერძამას უნდა ეკუთვნოდეს ასეთი ყავარჯენი.

მთელი წყებაა საფლავის ქვებისა, რომლებზედაც კომბლები და კავიანი ჯო-



საფლაოს ქვა ცხენის გამოსახულებით



ხებია გამოსატული. იქნებ აქ საქმე გვაქვს მეჯოგეებთან ან მეცხვარეებთან. ვიანი ჯოხი მხოლოდ წერილფეხა საქონლის მწყემსებს აქვთ. კომბალი კი გლეხ-კაცის სამეურნეო და საბრძოლო ხელსაწყო-იარაღია.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ურმის გამოსახულება, რომელიც ოსტატობის თვალსაზრისით ბრწყინვალედაა შესრულებული, ან გუთნის გამოსახულება, რომელიც იქვე მანგლისის ტაძრის ეზოში იმყოფება. ორივე შემთხვევაში გამოსახულებების სიზუსტე მათ დოკუმენტალურ ღირებულებას ანიჭებს.

საკურადღებო მონაცემებს შეიცავს ორი საფლავის ქვის გამოსახულება. ერთზე, ძალიან ცუდად გაიჩვენა განიერპირიანი ნამგალი და დისკოს მაგვარი რამ, ალბად პური; ხოლო მეორეზე კარგი კომპოზიციური განაწილებით გარკვევითაა მოცემული ხითხუროს საწარმოო იარაღები. ამ დროისათვის ასეთი იარაღების კომპლექტური გამოსახულება, მე მგონი, სხვა არ მოგვეპოვება, ამიტომ ამ გამოსახულებათა ღირებულება და მნიშვნელობა ქართული მატერიალური კულტურის შესწავლის საქმეში მეტად დიდია.

აღსანიშნავია აგრეთვე საფლავის ლოდები, რომლებიც გლეხის სახლის ორ ქანობიან, კრამიტით დახურულ სახურავებს მიგვაგონებს. ერთზე „სახურავის“ ქვეშიდან განსვენებულის „ფეხები“ მოჩანს.

მომხიბლავია მხოლოდ არქიტექტურული მოტივებით შემკული საფლავის ქვები.

ოსტატები განსაკუთრებული მონდომებითა და დეკორატიულ-ორნამენტულ სახეთა მრავალნაირობით ჰქმნიან თითოეულ ლოდზე საკუთარ, დამოუკიდებელს, განუმეორებელსა და უზადლო მოტივს.

არც ერთ ლოდზე, დეკორატიულ-ორნამენტულ მოტივს გაბატონებული მდგომარეობა არა აქვს, არამედ მას ზუსტად გამოყოფილი ადგილი, მაღალი მხატვრული ღირსება და ზომიერება ახასიათებს.

ეს არქიტექტურული მოტივი, რომელიც ქართულ არქიტექტურას ახასიათებს, გადატანილია საფლავის ლოდზე და ისე ოსტატურადაა შერწყმული ლოდის ზომასთან, საერთოდ მის არქიტექტონიკასთან, რომ იგი მის ორგანულ — განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ამგვარად, ამ დროისათვის ქართული არქიტექტურის დეკორატიულ მშვენიერებას, ხალხის ყველა ფენების სიყვარული და გაგება დაუმსახურებია და იგი ჩამდგარა მის ყოველდღიურ სამსახურში და უფრო მეტიც, მის საუკუნო განსასვენებლის შემამკობლადაც ქცეულა.

ორნამენტული შემკულობა საფლავის ლოდზე არქიტექტურის დეტალს კი არ წარმოადგენს, არამედ თითონ საფლავის ქვა წარმოადგენს არქიტექტურულ სხეულს, სათანადო, მხოლოდ მისთვის მონახული დეკორატიულ-ორნამენტული შემკულობით.

ის საფლავის ლოდები, რომელზედაც მქონდა ლაპარაკი, XI საუკუნითა და მის მეტად ახლო დროით შემოიფარგლება. ეს აშკარად იკითხება რელიეფურ გამოსახულებათა იმ მონუმენტურობაში, მოცემული სიბრტყის იმ თავშეკავებულ შემკულობაში, რომელიც მხოლოდ სიდიადეს, ძლევამოსილებას გამოხატავს და რაც XI-XII საუკუნეების ხელოვნებას ახასიათებს.



ამავე სასაფლაოზე აღმოჩენილი ზოგიერთი საფლავის ლოდი გვაფიქრებინებს, რომ იგი უფრო ადრეულ პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს.

მომდევნო და განსაკუთრებით XVII-XVIII-XIX საუკუნეების საფლავის ქვები უამრავია.

ვფიქრობ, რომ ალგეთის ხეობის ძველ მცხოვრებთა საფლავის ლოდების შესწავლა მრავალ ახალ მასალას მოგვცემს, ჩვენი ქვეყნის ამ მხარის, ქვემო ქართლის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

ქვემო ქართლს ბევრი ჭირ-ვარამი გადახდენია, მის მიწაზე იღვრებოდა გარეშე მომხდურ და შინაური მტრის სისხლი. ბევრს, ქვემო ქართლის მამულის-შვილს შეუწირავს თავი, როგორც თავისი კუთხის კეთილდღეობისათვის, ისე სხვისთვისაც. ესენი თავიანთ ეპიტაფიებში ყველა წამკითხველისაგან (მნახველისაგან) შენდობას თხოულობენ. იქნებ იმიტომ, რომ თავის ქვეყნისათვის — მისი სიკეთისათვის, ცოცხლებთან ერთად ველარ იღწვიან. ჩვენ კი ველარ ვუვლით მათ საფლავებს. უამრავი საფლავის ქვა მიწაში ჩაიძირა. ბევრი მათგანი ადგილობრივ მშენებლობაში იქნა გამოყენებული. ზოგი სოფლის საურმე გზა საფლავის ქვებზე გადადის.

საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრების, ქალისა თუ კაცის, ხანდაზმულისა თუ ახალგაზრდის დიდი პატრიოტული ვალია დაიცვან წინაპართა საფლავები დაიცვან ის, რაც საუკუნეების მანძილზე მოგვითხრობს ხალხისა, აქედან მთელი ერის ყოველდღიურ ცხოვრების ისტორიას, მის ბედნიერებას და მის ავბედობას.

დაიცვან იქაც კი, სადაც ისტორიული ავბედითობის შედეგად ქართული მოსახლეობა აღარ არის და ეს ლოდებიღა ქადაგებენ მიწაწყლის ქართულობაზე ეს საფლავის ქვები „დაუწერელი ისტორიის ქვის ფურცლებია“...



ბორის კანდელაკი

საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების
კალინინის რაიონის პრეზიდენტის წევრი

ანთიმოზ ივერიელის ტაძარი

ბუქარესტში, ანთიმოზ ივერიელის ქუჩაზე (№ 29) მოთავსებულია ღამაში არქიტექტურულად გაფორმებული ტაძარი, რომელიც ანთიმოზ ივერიელის სა-



ანთიმოზ ივერიელი

ხელს ატარებს. იგი აშენებულია 1715 წელს ანთიმოზ ივერიელის ხარჯით და ბევრი რამ ამ შენობისა, როგორც მაგალითად კარები, კედლის მოზაიკა, ხეზე



კეთილობა თაღებზე გაკეთებულია ანთიმოზის ხელით. მასვე ეკუთვნის ნაწილობრივ კედლის მხატვრობაც. დღეს ამ ტაძარში ჩვეულებრივ მიმდინარეობს ღვთის მსახურება, წირვა-ლოცვა. ტაძრის გვერდით შენობაში კი გახსნილია ანთიმოზ ივერიელის მუზეუმი, რომელშიაც თავმოყრილია ფოტოდოკუმენტები, ხელნაწერები, წიგნები, ილუსტრაციები — ამსახველი ანთიმოზის ბოზოქარი ცხოვრებისა და შემოქმედებისა.

ორიოდე სიტყვით ანთიმოზ ივერიელის შესახებ. ანთიმოზი, როგორც თვითონ მიუთითებს თავის ვინაობას, ივერიიდან არის, ივერთა მხრიდან იძულებით გადახიზნული, მისი საერო სახელია ანდრია — დედამისის რქმეგია მარია. მამას—იონა. ანთიმოზი იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა იყიდა კონსტანტინეპოლში ტყვეთა ბაზარზე და თან წაიყვანა. ასწავლა მას წიგნების ბეჭდვა — სასტამბო საქმე. ანთიმოზმა შეისწავლა: თურქული, ბერძნული, არაბული და რუმინული ენები. იგი იყო შესანიშნავი ნიჭიერი მხატვარი, ემარჯვებოდა ხეზე კვეთა, ქვაზე მუშაობა, იყო მინიატურისტი — იმ დროისათვის ხელოვნების სფეროში ენციკლოპედიური ცოდნით შეიარაღებული ადამიანი.

როდესაც რუმინეთის მთავარმა კონსტანტინე ბრანკოვიანუმ მოინდომა ვლახეთში კულტურული რეფორმების გატარება მან მოიწვია კონსტანტინეპოლიდან ფრიად განსწავლული ზელოვანი ანთიმოზ ივერიელი და დაავალა მას ვლახეთში სასტამბო საქმის მოგვარება. ანთიმოზმა ეს დაავალება ბრწყინვალედ შეასრულა. 1691 წელს ანთიმოზმა ბუქარესტში პირველად სტამბის ოსტატად დაიწყო მუშაობა. იმავე წლის ზაფხულში კ. ბრანკოვიანუმ ანთიმოზი სტამბის გამგედ დანიშნა. 1691 წელსვე გამოსცა ანთიმოზმა I წიგნი ქრიზანტ ნატარასის მიერ ძველ ბერძნულიდან ახალ ბერძნულზე ნათარგმნი „ბასილ მაკედონელის რჩევა თავის შვილისა-ლეონისადმი“. ანთიმოზმა კარგად შეისწავლა რუმინული ენა და 1694 წელს იგი დანიშნეს სნაგოვი მოძღვრად (სნაგოვი ლამაზი ადგილია, ბუქარესტედან 30 კილომეტრით დაშორებით კუნძული) ანთიმოზმა სნაგოვში დაარსა სტამბა და შევირდებიც გაიჩინა— 1702 წ. სნაგოვის სტამბა დატოვა და ბუქარესტში გადმოვიდა 1705 წ. ანთიმოზი აირჩიეს რიმნიკის ეპისკოპოსად (ვლახეთის მმართველმა სცნო ყველაზე ღირსეულად ანთიმოზი ამ თანამდებობაზე). ანთიმოზმა რიმნიკში მოაწყო სტამბა, მოამზადა ნიადაგი, რომ მთელ რუმინეთში — არდეალში, მოლდავეთში და მუნტენიაში საეკლესიო სამსახური ყოფილყო ხალხისათვის გასაგებ — რუმინულ ენაზე და არა ბერძნულზე. ამისათვის ანთიმოზმა წინასწარ დაბეჭდა საეკლესიო წიგნები საჭირო რაოდენობით და გაატარა საეკლესიო რეფორმა რუმინულ ენაზე. ამ საეკლესიო წიგნებს ყველას ჰქონდა წარწერა „ანთიმოზ ივერიელი—რიმნიკის ეპისკოპოსი“. 1708 წელს 27 იანვარს გარდაიცვალა მიტროპოლიტი თეოდოსია, რომელმაც დატოვა ანდრეძი, რომ მიტროპოლიტად ანთიმოზ ივერიელი აერჩიათ. ასეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ანთიმოზი. 1708 წლის 21 თებერვალს დაამტკიცეს ანთიმოზი რუმინეთის მიტროპოლიტად. მეორე დღეს ანთიმოზს რუმინულ ენაზე ბრწყინვალე სიტყვა წარმოუთქვამს მისი მიტროპოლიტად არჩევის გამო. ანთიმოზის ეს სიტყვა ითვლება რუმინულ ენაზე წარმოთქმული მჭერმეტყველების ნიმუშად, რომლის მსგავსი ანთიმოზამდე არავის წარმოუთქვამს. როდესაც იერუსალიმის პატრიარქმა მოითხოვა რუმინეთის ეკლესია დამორჩილებოდა იერუსალიმს —



ანთიმოზმა პროტესტი განაცხადა და 1710 წელს პროტესტის წერილი დაწერა პატრიარქს და პირველად მოაწერა ხელი — „უნგროვლახელი ანთიმოზი.“ სხვა შემთხვევაში ყველგან იგი ხელს აწერდა ანთიმოზ ივერიელად.

ანთიმოზს დაწერილი აქვს: (4) წიგნი, (10) წიგნისათვის წინასიტყვაობა, (5) წიგნისათვის ლექსები, (6) წიგნისათვის ბოლოსიტყვაობა, თარგმნა ბერძნულად.



ანთიმოზ ივერიელის მონასტერი ბუჯიკარასტში

ლიდან (6) წიგნი ანთიმოზმა დაბეჭდა: 30 წიგნი ბერძნულ ენაზე, 24 რუმინულზე, 1—საეკლესიო სლავურზე, 8—ორ ენაზე ბერძნულ რუმინულზე, 2 ბერძნულ-არაბულზე, 1 ბერძნულ-რუმინულზე, 1 ბერძნულ სლავურ და რუმინულ ენაზე-სულ (64) დასახელების წიგნი დაბეჭდა. ძალზე დიდია ანთიმოზ ივერიელის დამსახურება. იგი სცილდება საქართველოს და რუმინეთის საზღვრებს და მას საკაცობრიო მნიშვნელობა ენიჭება. ანთიმოზ ივერიელი, თურქეთთან ბრძოლის დროს ერთმორწმუნე რუსეთს მიემხრო, ეს არ მოეწონათ რუმინეთის ხელისუ-



ფალთ. ანთიმოზს ჩამოართვეს მიტროპოლიტობის ხარისხი და სინას მთაზე გაგზავნეს, მაგრამ გაზად თურქებმა ანთიმოზი დაიჭირეს, აწამეს და მდინარეში გადაადგდეს. ეს მოხდა 1716 წლის 12 სექტემბერს. რუმინელ ხალხს უყვარს ანთიმოზი. პატრიისციემით იხსენიებს მას და მის სახელზე არა მარტო ქუჩა, ტაძარი და მუზეუმიცა, სახელმწიფო მუზეუმშიც აქვს ცალკე კუთხე, ანთიმოზის სურათი გამოაქვთ დემოსტრაციებზე თავიანთი ბელადების სურათებთან ერთად.

განსაკუთრებით დიდია ჩვენთვის ანთიმოზ ივერიელის დახმარება თბილისში ქართული სტამბის მოწყობის საქმეში. ქართველთა მეფე ვახტანგ VI დახმარება სთხოვა იერუსალიმის პატრიარქს სტამბის მოწყობისათვის. იერუსალიმის პატრიარქმა ქრიზანტ ნატარასმა ქართველთა მეფის თხოვნა გადაუგზავნა რუმინეთში ანთიმოზ ივერიელს. ანთიმოზმა რუმინეთის მმართველის კონსტანტინე ბრანკოვიანუსგან მიიღო რა ნებართვა, რომ დახმარებოდა ვახტანგ VI-ს, მაშინვე გამოგზავნა თბილისში თავისი საუკეთესო მესტამბე მიხაი იშტვანოვიჩი.

1708 წელს დაიწყო მუშაობა თბილისში. 1709 წლის 20 იანვარს დაბეჭდეს I ქართული წიგნი „სახარება“. ორი ცალი „სახარებისა“ გაგზავნეს რუმინეთში ანთიმოზ ივერიელთან. ამ ეგზემპლიარებს დართული ჰქონდათ ქების ლექსი 13 სტროფი, 16 მარცვლიანი შაირით დაწერილი, სადაც მოთხრობილია თბილისის სტამბის მოწყობის შესახებ, რა დახმარება გაუწია ვახტანგ VI-ს რუმინეთის მთავარმა კონსტანტინე ბრანკოვიანუმ და პატრიარქმა ქრიზანტ ნატარასმა.

ანთიმოზ ივერიელმა თბილისიდან მიღებული „სახარება“ ჩასვა ლამაზ ყდაში, გაუკეთა წარწერა და გაუგზავნა კ. ბრანკოვიანუს. ანთიმოზი წერდა მთავარს, რომ მისი დახმარებით ისე როგორც არაბეთში, ელადში, უნგრულახეთში და ა. შ. როგორც სამთხიდან მომდინარეობს მდინარეები: ფისონი, გეონი, ტიგროსი და ეფრათი ასევე თქვენი დახმარებით ამ ოთხ ქვეყანაში აყვავდა სტამბური სიტყვა, რომელსაც მოჰქონდა სარგებლობა ამ ქვეყნებისათვის და ამიტომაც თქვენი სახელი იცოცხლებს საუკუნეებში. უადრესად შენი ერთგული და მუდამ შენზე მლოცველი ანთიმ მიტროპოლიტი უნგრულახეთისა.

1709 წელს თბილისში დაიბეჭდა „სახარება“ „სამოციქულო“ და „დავითნი“.

1712 წელს კი „ვეფხისტყაოსანი“, რომლის რედაქტორი იყო ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქაელი, რომელმაც მის ბოლოს დაბეჭდა ლექსი:

„აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველი ნაწერი 3 ველისა,
უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა,
მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით კეთილმქმნელისა
და ნაღვაწი მისი მლოცველისა მესტამბე მიქაელისა“.

ჩემის აზრით, სწორედ ეს მიქაელი უნდა იყოს იმ ქების ლექსის ავტორიც, რომელიც რუმინეთში გაგზავნილ სახარების ცალზე იყო დაბეჭდილი.

თბილისში დაბეჭდილ ქართულ წიგნებს ბოლოს დართული აქვთ ანდერძები ვახტანგ მეექვსისა, მიხაი იშტვანოვიჩისა (მიხაი ბოლოს ხელს აწერდა — სტეფანისშვილი, სტეფანეს ძე) და რედაქტორის — ნიკოლოზ ორბელიანისა.

თბილისში დაბეჭდილი წიგნების მიხედვით, მიქაელის გარდა სტამბის მომუშავედ მოჩანან: ვინმე გიორგი მხატვარი, გარსევან — ყოფილი მღვდელი გაბრიელი, რომელიც რედაქტორადაც მუშაობდა, აბრამა სალუყაზანაშვილი (დიაკვანი



სტამბაში ვებარეო) ვახტანგის სტამბამ იარსება 1709 — 1712 წ. წ. და 1719 წ. წ. და 1722 წ. წ., 1712—1719 წლამდე ვახტანგი სპარსეთში იყო გაწვეული. 1722 წელს კი სტამბა თურქებმა დაარბიეს.

1750 წელს ერეკლე მეფემ განაახლა სტამბა კონსტანტინეპოლიდან მოწვეული ოსტატის დახმარებით, რაზედაც 20.000 მან. დახარჯა. ერეკლეს სტამბამ იარსება 1800 წლამდე და მასში 29 სახელწოდების წიგნი დაიბეჭდა. 1803 წ. წიგნების ბეჭდვა ქუთაისში დაიწყო.

ანთიმოზ ივერიელს ეკუთვნის მესტამბეთა 4 სტრიქონიანი ლექსი, რომელიც 1697 წელს სნაგოვში დაბეჭდილ „სახარებას“ დაურთო.

ნავთსაყუდელსა მენავე, რა მოვლენ განისვენებენ
 „მენავე ლელვა — გვემული განეროს ზღვასა წყრომასა,
 კალატოზნი და ხურონი რა მორჩეს თავის შრომასა,
 მათ სიხარულსა ვინ დათვლის, ანუ შევბისა ზომასა?
 და მესტამბე მათგან უალრეს იქს სიხარულის ნდომასა“.

მიხაი უნგროვლახელმა ამ ლექსის ვარიანტი 1710 წელს გამოცემულ ქართულ „კონდაკის“ ზოლოს დაბეჭდა ასეთი ვარიანტით:

„ნავთსაყუდელსა მენავე რა მივლენ განისვენებენ:
 მოყვასთა, თვისთა სამყოფთა ნახვა სწადს, მით ისვენებენ:
 ჭირთ მყოფი, ლხინსა შესულნი, მას აღარ მოიხსენებენ
 და რა ბეჭდვა მბეჭდავს უსრულდეს, თავს აღარ შეიჩვენებენ:

აღნიშნული ლექსი შეტანილია ვახტანგ VI ნაწერებში (1947 წლის გამოცემა აღ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით). ლექსი ავტორისათვის მიუწოდებია ლუბა მეფარიშვილს.

ფაქტიურად ეს ლექსი ეკუთვნის ანთიმოზ ივერიელს. პირველად იგი სნაგოვში (რუმინეთში) დაიბეჭდა, „სახარების“ ზოლოს.

ჩვენთვის საინტერესო მაინც ის არის, რომ საქართველოში პირველი სტამბა ქართველების მიერ ვახტანგ VI-სა და ანთიმოზ ივერიელის მიერ არის შექმნილი, რის გამოც შთამომავლობა დიდად დავალებული ვართ მათგან.



საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების IV რესპუბლიკური ყრილობა

* * *

3 ოქტომბერს, ქ. თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში გაიმართა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების IV რესპუბლიკური ყრილობა.

ყრილობის პრეზიდიუმში იყვნენ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, აქტივისტები.

დღის წესრიგში იყო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიში, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ო. თაქთაქიშვილმა.

არჩეულ იქნა ყრილობის საქმიანი ორგანოები — პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო კომისია.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკვპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ დ. ჩხიკვიშვილმა წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება ყრილობისადმი.

საანგარიშო მოხსენება საზოგადოების საქმიანობაზე გააკეთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ო. თაქთაქიშვილმა. მან აღნიშნა, — „ჩერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიყრაზე — 1917 წლის ნოემბერში რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისარიატმა მოუწოდა რუსეთის მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს, მატროსებს, ყველა მოქალაქეს გაუფრთხილდნენ მატერიალური კულტურის ძეგლებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე შექმნა ხალხმა. 1918 წლის აპრილში რუსეთის ფედერაციის სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოსცა დეკრეტი „რესპუბლიკის ძეგლების შესახებ“. ეს ფაქტები თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო თავისი ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე.

საზოგადოების მუშაობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქონებს ახლა, როცა მთელი ჩვენი ხალხი, მთელი პროგრესიული კაცობრიობა ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ქვემარტად საყოველთაო-სახალხო გაქანება მიენიჭა საზოგადოების საქმიანობას საქართველოში, რომელიც ესოდენ მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. ახლა რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქსა, რაიონულ



ცენტრსა და სოფელში აქტიურად მოქმედებენ ამ საზოგადოების წევრები.

ძეგლების პოპულარიზაციას ხელს უწყობს ხალხური და კლასიკური მუსიკის კონცერტები, რომლებიც ძეგლების ადგილას იმართება. ეს ახალი ფორმა ყველას მოეწონა და ფართო გამოხმობურებაც გამოიწვია. დიდი მუშაობა გაწეული ძეგლების რესტავრაციისათვის.

ასეთი დიდი, ნაყოფიერი, ფასდაუდებელი მნიშვნელობის მაგალითი უამრავია.

